

# საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეებზე

2011, №7

## საძიებელი

- 1. საპროცესო ვადა**
  - კერძო საჩივარი საპროცესო ვადაზე
  - სააპელაციო საჩივრის გასაჩივრების ვადის აღდგენის დაუშვებლობა
  - სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა
  - საპროცესო ვადის დაცვა
- 2. სარჩელის გამოხმობა**
  - მოპასუხის თანხმობა სარჩელის გამოხმობისას
  - სარჩელის გამოხმობის გამო განუხილველად დატოვება
- 3. უფლებამოსილების ფარგლები**
  - გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის უკან დაბრუნება ხელახლა განსახილველად
  - სააპელაციო სასამართლოს უფლებამოსილების ფარგლები
  - სასამართლოს უფლებამოსილება მტკიცებულებების გამოკვლევისას
- 4. გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძვლები**
  - გადაწყვეტილების გაუქმება დაუსაბუთებლობის გამო
  - გადაწყვეტილების გაუქმება უფლებამოსილი მოსამართლის ხელმოუწერლობის გამო
  - მხარის დაუსწრებლად საქმის განხილვის დაუშვებლობა
- 5. საკასაციო საჩივრის განუხილველად დატოვება**
  - საჩივრის განუხილველად დატოვება საკასაციო საჩივარზე უარის თქმის გამო
  - საჩივრის განუხილველად დატოვება საჩივრის შეტანის ვადის დარღვევის გამო
  - საჩივრის განუხილველად დატოვება ხარვეზის შეუვსებლობის გამო

# ა პ ე ლ ა ც ი ა

## კ ა ს ა ც ი ა

### 1. საპროცესო ვადა

#### საპროცესო ვადის დაცვა

##### განჩინება

18ს-1279-1241(კს-08)

14 იანვარი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. ქადაგიძე,  
ლ. მურუსიძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს კერძო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 07.08.08წ. განჩინებაზე.

##### აღწერილობითი ნაწილი:

ა. მ-ელმა 22.02.08წ. სასარჩელო განცხადებით მიმართა გორის რაიონულ სასამართლოს, მოპასუხეების – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურისა და გორის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) მიმართ, რომლითაც საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს 105-04/1082 11.02.08წ. გადაწყვეტილების, შემოსავლების სამსახურის 27.12.07წ. 18036 ბრძანებისა და გორის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) 01.10.07წ. 14139 საგადასახადო მოთხოვნის ბათილად ცნობა მოითხოვა.

გორის რაიონული სასამართლოს 08.05.08წ. გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ – სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი გორის საგადასახადო ინსპექციის 01.10.07წ. 14139 საგადასახადო მოთხოვნა, შემოსავლების სამსახურის 27.12.07წ. 18036 ბრძანება და საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს 11.02.08წ. 105-04/1082 გადაწყვეტილება; ა. მ-ელს ამ აქტების სრულად ბათილად ცნობის შესახებ სარჩელზე უარი ეთქვა უსაფუძვლობის გამო. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის გორის რეგიონალურ ცენტრს (საგადასახადო ინსპექციას), კანონმდებლობის საფუძველზე, დაევა ა. მ-ელის ბიუჯეტთან ანგარიშსწორების შესახებ სადავო პერიოდის დოკუმენტაციის გამოკვლევა, ფაქტობრივი გარემოებების დადგენა და ამ გარემოებათა შეფასების შემდეგ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (აქტების) გამოცემა.

გორის რაიონული სასამართლოს 08.05.08წ. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს გორის რეგიონალურმა ცენტრმა (საგადასახადო ინსპექციამ), საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურმა და საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურისა და გორის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) სააპელაციო საჩივრები განსახილველად იქნა მიღებული. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 07.08.08წ. განჩინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სააპელაციო საჩივარი გორის რაიონული სასამართლოს 08.05.08წ. გადაწყვეტილებაზე დატოვებულ იქნა განუხილველად.

სააპელაციო სასამართლომ საქმის მასალებით დადგენილად მიიჩნია, რომ აპელანტ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს გასაჩივრებელი, 08.05.08წ. გადაწყვეტილება 19.05.08წ. ჩაჰბარდა. გასაჩივრების თოთხმეტდღიანი ვადის ათვლა დაიწყო 20.05.08წ. და 02.06.08წ. დასრულდა, ხოლო სააპელაციო საჩივარი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე 04.06.08წ. იქნა შეტანილი, ანუ განჩინების მიღებიდან მე-16 დღეს, რითაც დაირღვა დასახელებული ნორმის მოთხოვნა. ამასთან, არ არსებობდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 61-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევები, რაც, სააპელაციო პალატის მოსაზრებით, წარმოადგენდა სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 07.08.08წ. განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, რომელმაც აღნიშნული განჩინების გაუქმება და საქმის არსებითად განსახილველად დაბრუნება მოითხოვა.

კერძო საჩივრის ავტორი თვლის, რომ სასამართლოს მსჯელობა არასწორია, ვინაიდან საქართველოს ფინანსთა სამინისტროს გორის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება 19.05.08წ. ჩაჰბარდა, აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე სამინისტროს მიერ სააპელაციო საჩივარი ფოსტას 02.06.08წ. ჩაჰბარდა, რაც დასტურდება შპს «საქართველოს ფოსტისათვის» კორესპონდენციის გადაცემის რეესტრის ამონაწერით. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 61-ე მუხლიდან გამომდინარე, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ არ არის დარღვეული საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის მოთხოვნა. იმის გამო, რომ სააპელაციო სასამართლომ ზეპირი განხილვის გარეშე შეამოწმა სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს არ მიეცა საშუალება, წარედგინა აღნიშნული დოკუმენტი და ამდენად, სააპელაციო სასამართლოსთვის განჩინების მიღებისას არ იყო ცნობილი აღნიშნული ფაქტის (დოკუმენტის) შესახებ.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ საქმის მასალების გაცნობისა და კერძო საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად მიიჩნია, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 61.3 მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედება, რომლის შესასრულებლადც დადგენილია ვადა, შეიძლება შესრულდეს ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამდე. თუ საჩივარი, საბუთები ან თანხა ფოსტას ან ტელეგრაფს ჩაჰბარდა ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამდე, ვადა გასულად არ ჩაითვლება.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ მხარეს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, გორის რაიონული სასამართლოს 08.05.08წ. გადაწყვეტილება 19.05.08წ. გადაეცა. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სააპელაციო საჩივარზე გორის რაიონული სასამართლოს შტამპით დასტურდება, რომ სააპელაციო საჩივარი გორის რაიონული სასამართლოს კანცელარიაში 04.06.08წ. არის შეტანილი. კერძო საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილი, შპს «საქართველოს ფოსტის» მიღებული წერილობითი კორესპონდენციის შესახებ 199 რეესტრით დასტურდება, რომ გზავნილი ფოსტას 02.06.08წ., მხარისათვის გორის რაიონული სასამართლოს 08.05.08წ. გადაწყვეტილების გადაცემიდან მე-14 დღეს ჩაჰბარდა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ ამ ეტაპზე არ არსებობს გასაჩივრების ვადის დარღვევის მოტივით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველი. ამდენად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ უნდა გაუქმდეს სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 07.08.08წ. განჩინება და საქმე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღების საკითხის ხელახლა გადასაწყვეტად გადაეცეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას. სააპელაციო სასამართლოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან დამატებით შეუძლია გამოითხოვოს 02.06.08წ. პერიოდში, სამინისტროდან გასული კორესპონდენციების ჟურნალი, რომლითაც დადასტურდება გორის რაიონული სასამართლოსათვის სააპელაციო საჩივრის 02.06.08წ. გაგზავნის ფაქტი.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე, 419-ე, 420-ე მუხლებით და

#### **და ა დ გ ი ნ ა :**

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 07.08.08წ. განჩინება;
2. საქმე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღების საკითხის ხელახლა გადასაწყვეტად გადაეცეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## საპროცესო ვადის დაცვა

### განჩინება

1ბს-1424-1382(კს-08) 14 იანვარი, 2009წ. ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატამ  
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. ქადაგიძე,  
ლ. მურუსიძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს კერძო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 11.08.08წ. განჩინებაზე.

#### აღწერილობითი ნაწილი:

27.11.06წ. შპს «...» სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას და მსხვილგადამხდელთა საგადასახადო ინსპექციის 11.09.06წ. 1419 საგადასახადო მოთხოვნის ნაწილობრივ ბათილად ცნობა, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს 22.11.06წ. 105-04/12018 გადაწყვეტილების ნაწილობრივ ბათილად ცნობა და მსხვილგადამხდელთა საგადასახადო ინსპექციის 08.09.06წ. 1233 ბრძანების ნაწილობრივ ბათილად ცნობა მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 07.05.08წ. გადაწყვეტილებით შპს «...» სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი მსხვილგადამხდელთა საგადასახადო ინსპექციის 11.09.06წ. 1419 საგადასახადო მოთხოვნა, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს 22.11.06წ. 105-04/12018 გადაწყვეტილება და საგადასახადო დეპარტამენტის 27.10.06წ. 12649 ბრძანება დღგ-ს და მოგების გადასახადის ნაწილში, მსხვილგადამხდელთა საგადასახადო ინსპექციას დაევალა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების სრულყოფილად შესწავლისა და შეფასების შედეგად ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურმა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მსხვილგადამხდელთა საგადასახადო ინსპექციამ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 11.08.08წ. განჩინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სააპელაციო საჩივარი დატოვებული იქნა განუხილვევად. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოსათვის გაგზავნილი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 07.05.08წ. გადაწყვეტილების ასლი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 09.07.08წ. ჩაჰბარდა, ხოლო სააპელაციო საჩივარი 25.07.08წ., მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემიდან მე-16 დღეს, გასაჩივრების 14 დღიანი ვადის დარღვევით შეიტანა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 11.08.08წ. განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ. კერძო საჩივრის ავტორმა აღნიშნა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 07.05.08წ. გადაწყვეტილების ასლი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 09.07.08წ. ჩაჰბარდა, ხოლო მისი სააპელაციო საჩივარი შპს «საქართველოს ფოსტას» 23.07.08წ. გადაეცა, რასაც ადასტურებს სათანადო წესით დამოწმებული წერილობითი კორესპონდენციის შესახებ 1137 რეესტრის ასლი, რომლითაც მტკიცდება, რომ 108-01/6974 სააპელაციო საჩივარი შპს «საქართველოს ფოსტას» ჩაჰბარდა 23.07.08წ.-ს. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიაჩნია, რომ სსკ-ის 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, მისი სააპელაციო საჩივარი გასაჩივრების ვადის დაცვით არის წარდგენილი. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და არსებითად განსახილველად საქმის სააპელაციო სასამართლოსათვის დაბრუნება მოითხოვა.

#### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ საქმის მასალების გაცნობისა და კერძო საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად მიიჩნია, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 61.3 მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედება, რომლის შესასრულებლადაც დადგენილია ვადა, შეიძლება შესრულდეს ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ

საათამდე. თუ საჩივარი, საბუთები ან ფულადი თანხა ფოსტას, ან ტელეგრაფს ჩაჰბარდა ვადის უკანასკნელი დღის ოცდაათხუთსაათამდე, ვადა გასულად არ ჩაითვლება.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ მხარეს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 07.05.08წ. გადაწყვეტილების ასლი 09.07.08წ. გადაეცა. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სააპელაციო საჩივარზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის შტამპით დასტურდება, რომ სააპელაციო საჩივარი სასამართლოს კანცელარიაში 25.07.08წ.-ს არის დარეგისტრირებული. ფინანსთა სამინისტროს ბლანკზე მითითებული სააპელაციო საჩივრის ნომერია 08-01/6974. კერძო საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილი, შპს «საქართველოს ფოსტის» მიღებული წერილობითი კორესპონდენციის შესახებ 1137 რეესტრით დასტურდება, რომ გზავნილი, შეკვეთილის წერილი 108-01/6974, ფოსტის მიერ მინიჭებული ნომრით 1734, საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში გასაგზავნად ფოსტას 23.07.08წ., მხარისათვის გადაწყვეტილების ასლის გადაცემიდან მე-14 დღეს ჩაჰბარდა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ ამ ეტაპზე არ არსებობს გასაჩივრების ვადის დარღვევის მოტივით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველი. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ უნდა გაუქმდეს სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 11.08.08წ. განჩინება და საქმე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღების საკითხის ხელახლა გადასაწყვეტად გადაეცეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას. სააპელაციო სასამართლოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან დამატებით შეუძლია გამოითხოვოს სადავო პერიოდში სამინისტროდან გასული კორესპონდენციების ჟურნალი(დედანი), რომლითაც უტყუარად დადასტურდება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 08-01/6974 სააპელაციო საჩივრის ფოსტისათვის ჩაბარების თარიღი.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე, 419-ე, 420-ე მუხლებით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 11.08.08წ. განჩინება;
2. საქმე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღების საკითხის ხელახლა გადასაწყვეტად გადაეცეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

#### **კერძო საჩივარი საპროცესო ვადაზე**

#### **განჩინება**

18ს-755-720(კს-09)

7 ივლისი, 2009 წელი ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. წეკელაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
პ. სილაგაძე

**დავის საგანი:** სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

2008 წლის 4 სექტემბერს შ. ძ-შვილმა სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში შს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მიმართ და მოითხოვა დაცვის პოლიციის დეპარტამენტის 2008 წლის 7 აგვისტოს 141/8/4-6519 წერილის ბათილად ცნობა და ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა 2005 წლის 6 აპრილიდან 2006 წლის 10 ნოემბრამდე იძულებით გაცდენილი დროის შრომის სტაჟში ჩათვლის შესახებ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილებით შ. ძ-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა, მოპასუხეს დაევალა მოსარჩელისათვის 2005 წლის 6 აპრილიდან 2006 წლის 10 ნოემბრამდე დროის შრომის სტაჟში ჩათვლა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა დაცვის პოლიციის დეპარტამენტმა და მოითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 24 აპრილის განჩინებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად, რაც სააპელაციო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368.5, 374.3 მუხლებით, დადგინდად მიიჩნია, რომ აპელანტს – დაცვის პოლიციის დეპარტამენტს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 2 აპრილის განჩინება ხარვეზის დადგენის შესახებ ჩაჰბარდა 2009 წლის 7 აპრილს. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს მიერ განსაზღვრული 5-დღიანი საპროცესო ვადის ათვლა დაიწყო 2009 წლის 8 აპრილს და დასრულდა 2009 წლის 13 აპრილს. ხარვეზის შევსების მიზნით კი, აპელანტმა სააპელაციო სასამართლოს მიმართა 2009 წლის 14 აპრილს, სააპელაციო სასამართლოს მიერ განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ აპელანტმა ხარვეზი არ შეავსო სააპელაციო სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში, რის გამოც არ არსებობს მისი დაშვების პროცესუალური წინაპირობა.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა დაცვის პოლიციის დეპარტამენტმა და მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 24 აპრილის განჩინების გაუქმება და სააპელაციო საჩივრის არსებითად განსახილველად დაბრუნება სააპელაციო სასამართლოსათვის შემდეგი მოტივით:

კერძო საჩივრის ავტორის მითითებით, ხარვეზის მითითების შესახებ სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 2 აპრილის განჩინება დაცვის პოლიციის დეპარტამენტს ჩაჰბარდა 2009 წლის 7 აპრილს, ვადის ათვლა დაიწყო 8 აპრილს, ხარვეზის შევსების მიზნით კი სახელმწიფო ბაჟის ქვითარი წარდგენილ იქნა 2009 წლის 14 აპრილს.

კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ 9 აპრილი, შრომის კოდექსის 20.1 მუხლის «ვ» ქვეპუნქტის შესაბამისად, იყო ოფიციალურად დასვენების დღე, 11 და 12 აპრილი – შაბათი და კვირა, რაც არ შეიძლება ჩაითვალოს სასამართლოს მიერ განსაზღვრულ 5-დღიან ვადაში, შესაბამისად, ხარვეზის შევსების ვადა მთავრდებოდა არა 13, არამედ 15 აპრილს.

ამდენად, კერძო საჩივრის ავტორმა მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ არ უნდა გამოეყენებინა სსსკ-ის 368.5 და 374.3 მუხლები, რადგან დაცვის პოლიციის დეპარტამენტმა ჯეროვნად შეასრულა სასამართლოს დავალბა ხარვეზის შევსების შესახებ.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს უსაფუძვლობის გამო და უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 24 აპრილის განჩინება შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ გასაჩივრებული განჩინების გამოტანისას არ დარღვეულა მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმები, სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, სწორად განმარტა იგი, კერძო საჩივარში მითითებულ დარღვევებს ადგილი არ ჰქონია, რის გამოც არ არსებობს სსსკ-ის 393-394-ე მუხლების შესაბამისად, მისი გაუქმების საფუძველი.

საკასაციო სასამართლო სსსკ-ის 407.2 მუხლის შესაბამისად, იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ დადგინდად მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 2 აპრილის განჩინება სააპელაციო საჩივარში ხარვეზის მითითების შესახებ აპელანტს – დაცვის პოლიციის დეპარტამენტს გაეგზავნა 2009 წლის 3 აპრილს და ჩაჰბარდა 2009 წლის 7 აპრილს, ხოლო ხარვეზის შევსების მიზნით, აპელანტმა სააპელაციო სასამართლოს მიმართა 2009 წლის 14 აპრილს.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მითითებას, რომ სსსკ-ის 60.1 მუხლის შესაბამისად, ხარვეზის შესავსებად სააპელაციო სასამართლოს მიერ განსაზღვრული 5-დღიანი საპროცესო ვადის ათვლა დაიწყო 2009 წლის 8 აპრილიდან, განჩინების მხარისათვის ჩაბარების მომდევნო დღიდან. ასევე იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ ხარვეზის შევსების 5-დღიანი ვადა ამოიწურა 2009 წლის 13 აპრილს, თანახმად სსსკ-ის 61.2 მუხლისა, რადგან 2009 წლის 12 აპრილი იყო კვირა, ხოლო მითი-

თებულის ნორმის შესაბამისად, თუ ვადის უკანასკნელი დღე ემთხვევა უქმე და დასვენების დღეს, ვადის დამთავრების დღედ ჩაითვლება მისი მომდევნო პირველი სამუშაო დღე.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით, მართებულად დატოვა განუხილველად სააპელაციო საჩივარი სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში ხარვეზის შეუვსებლობის გამო.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილია ვადები ამა თუ იმ მოქმედების შესრულებისათვის, როგორც სასამართლოსათვის, ასევე მხარეთათვის, ამასთან, დადგენილია სასამართლოს მიერ მხარეთათვის განსაზღვრულ საპროცესო ვადაში საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობის შედეგები, კერძოდ: თუ მხარემ სასამართლოს მიერ დანიშნულ საპროცესო ვადაში არ შეასრულა საპროცესო მოქმედება, იგი კარგავს ამ მოქმედების შესრულების შესაძლებლობას.

საკასაციო სასამართლო უსაფუძვლობის გამო ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის არგუმენტს, რომ ხარვეზის შესავსებად განსაზღვრული 5-დღიანი საპროცესო ვადის განმავლობაში 9, 11 და 12 აპრილი იყო დასვენების დღეები, რომლებიც არ უნდა ჩათვლილიყო ხარვეზის შევსების ვადაში. აღნიშნული არ გამომდინარეობს საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნებიდან, რადგან სსსკ-ის მე-60 მუხლის განსაზღვრავს საპროცესო ვადის გამოთვლის წესს, ხოლო ამავე კოდექსის 60.1 მუხლის შესაბამისად, საპროცესო მოქმედების შესრულების ვადა განისაზღვრება ზუსტი კალენდარული თარიღით და არა შრომის კოდექსით განსაზღვრული სამუშაო დღეებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ კანონის მართებულად გამოყენებისა და განმარტების შედეგად საქმეზე არსებითად სწორი განჩინება დაადგინა, კერძო საჩივარი არ შეიცავს დასაბუთებულ არგუმენტაციას სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების კანონშესაბამობის შესახებ, შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 24 აპრილის განჩინება.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანება საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე, 390-ე, 399-ე, 410-ე, 419-420-ე მუხლებით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 24 აპრილის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### **სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა**

#### **განჩინება**

18ს-912-874 (კს-09)

9 სექტემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ცისკაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ნ. სხირტლაძე,

პ. სილაგაძე

**დავის საგანი:** ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა, საჯარო რეესტრის მონაცემებში შესაბამისი ცვლილების შეტანა

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

ს. ჩ-უამ 2008 წლის ოქტომბერში სასარჩელო განცხადებით მიმართა სამტრედიის რაიონულ სასამართლოს, მოპასუხეების სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობის, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სამტრედიის სარეგისტრაციო სამსახურისა და რ. ჩ-უას მიმართ და მოითხოვა ბათილად იქნეს ცნობილი

2002 წლის 17 დეკემბრის სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარის ხელშეკრულება სამტრედიის რაიონის გამგეობასა და რ. ჩ-უას შორის 1007 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე, ასევე 2004 წლის 18 მარტის 1152/2004 რ. ჩ-უას სახელზე გაცემული მიწის საკუთრების მოწმობის ბათილად ცნობა და 1702 და 700 კვ.მ. მიწის ნაკვეთების მესაკუთრედ დარეგისტრირება.

სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 17 მარტის გადაწყვეტილებით მოსარჩელის მოთხოვნა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ – ბათილად იქნა ცნობილი 2002 წლის 17 დეკემბრის სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარის ხელშეკრულება სამტრედიის რაიონის გამგეობასა და რ. ჩ-უას შორის 1007 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე; უარი ეთქვა მოსარჩელეს 2004 წლის 18 სექტემბრის 1152/2004 რ. ჩ-უას სახელზე არსებული მიწის საკუთრების მოწმობის ბათილად ცნობის და 1702 კვ.მ და 700 კვ.მ მიწის ნაკვეთების მესაკუთრედ დარეგისტრირების მოთხოვნაზე. სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობას და რ. ჩ-უას მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრათ 50 ლარის გადახდა სოლიდარულად.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ს. ჩ-უამ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 14 მაისის განჩინებით ს. ჩ-უას და მისი წარმომადგენლის ჯ. შ-იას სააპელაციო საჩივარი სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 17 მარტის გადაწყვეტილებაზე დარჩა განუხილველად.

სააპელაციო პალატამ დადგინილად მიიჩნია, რომ სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 17 მარტის გადაწყვეტილების ასლი 2009 წლის 31 მარტს გაეგზავნა ს. ჩ-უას და 2009 წლის 2 აპრილს ჩაბარდა ს. ჩ-უას წარმომადგენელს ჯ. შ-იას.

სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ აპელანტს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-12 მუხლის შესაბამისად განემარტა სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 17 მარტის გადაწყვეტილების გასაჩივრების თაობაზე; ხოლო ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, წარმომადგენლისათვის გაგზავნილი დოკუმენტი ჩაითვლება მხარისათვის გაგზავნილად, ხოლო მხარისათვის გაგზავნილი – წარმომადგენლისათვის გაგზავნილად. სასამართლომ გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის პირველი ნაწილი და ამავე კოდექსის 63-ე მუხლი; ამ ნორმის თანახმად საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ. საჩივარი ან საბუთები, რომლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველი დარჩება. სააპელაციო სასამართლომ დადგინილად მიიჩნია, რომ მითითებული გადაწყვეტილება 2009 წლის 2 აპრილს ჩაბარდა ს. ჩ-უას წარმომადგენელს ჯ. შ-იას, რომელსაც სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა ამოეწურა 2009 წლის 16 აპრილს, სააპელაციო საჩივარი კი შეტანილ იქნა კანონით გათვალისწინებული 14-დღიანი ვადის დარღვევით.

სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა საქართველო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 374-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის მიხედვით, თუ სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ესა თუ ის პირობა არ არსებობს, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ.

სააპელაციო პალატის განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა ს. ჩ-უამ და მოითხოვა სააპელაციო პალატის განჩინების გაუქმება და საქმის განსახილველად დაბრუნება.

კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლები, რომელიც არეგულირებს მხარეებზე უწყების და არა გადაწყვეტილების ასლის ჩაბარებას; კერძო საჩივრის ავტორი თვლის, რომ სასამართლოს უნდა გამოეყენებინა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 259-ე მუხლი, რომლის მიხედვით, მხარეებს თავიანთი განცხადების საფუძველზე გადაეცემათ სასამართლოს გადაწყვეტილების ასლები არაუგვიანეს 3 დღისა განცხადების შემოტანიდან.

კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებით, პირველი ინსტანციის სასამართლომ გადაწყვეტილების ასლი გაუგზავნა მისი წარმომადგენლის, მისი მეუღლის – მ. ჩ-უას წარმომადგენელ ადვოკატ ჯ. შ-იას, ხოლო მას და მის მეუღლეს კი ასლები არ გაეგზავნათ კანონით დადგენილი წესით. იმის გამო, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების ასლი არც მას და არც მის წარმომადგენელს, მის მეუღლეს, მ. ჩ-უას არ ჩაბარებიათ, კერძო საჩივრის ავტორი თვლის, რომ გასაჩივრების ვადა არ უნდა ჩაითვალოს გაშვებულად და სააპელაციო საჩივარი ცნობილი იქნეს დასაშვებად.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის მოტივების შემოწმების შედეგად თვლის, რომ ს. ჩ-უას კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს; მოცემულ საქმეზე უცვლელი უნდა დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 14 მაისის განჩინება შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულია საა-



პელაციო საჩივრის წარდგენის ვადა. ამ ნორმის თანახმად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა შეადგენს 14 დღეს. ამ ვადის გაგრძელება (აღდგენა) არ შეიძლება და იგი იწყება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად ითვლება დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის ჩაბარება ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების შესაბამისად.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად წარმომადგენლისათვის გაგზავნილი დოკუმენტი ჩაითვლება მხარისათვის გაგზავნილად, ხოლო მხარისათვის გაგზავნილი – წარმომადგენლისათვის გაგზავნილად. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის მე-8 ნაწილის თანახმად ფოსტით ან კურიერის მეშვეობით მოქალაქისათვის გაგზავნილი სასამართლო უწყება მას უნდა ჩაჰბარდეს პირადად, ხოლო მოქალაქის სამუშაო ადგილზე, ასევე, ორგანიზაციისათვის გაგზავნილი უწყება უნდა ჩაჰბარდეს კანცელარიას ან ასეთივე დანიშნულების სტრუქტურულ ერთეულს ანდა პირს, ხოლო ასეთის არყოფნის შემთხვევაში – ორგანიზაციის შესაბამის უფლებამოსილ პირს, რომელიც უწყებას ადრესატს გადასცემს. ამ ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში უწყების ჩაბარება დასტურდება უწყების მეორე ეგზემპლარზე უწყების მიმღების ხელმოწერით. როგორც საქმის მასალებით ირკვევა, სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 17 მარტის გადაწყვეტილება ს. ჩ-უას გაეგზავნა 2009 წლის 31 მარტს და მის წარმომადგენელ – ჯ. შ-იას ჩაჰბარდა 2009 წლის 2 აპრილს. ამიტომ მოცემული გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრების კანონით დადგენილი 14-დღიანი ვადის დინება დაიწყო 2009 წლის 3 აპრილს და ამოიწურა 2009 წლის 16 აპრილს, რომელიც იყო სამუშაო დღე – ხუთშაბათი. ს. ჩ-უამ სააპელაციო საჩივარი სამტრედიის რაიონულ სასამართლოში წარადგინა 2009 წლის 1 მაისს. ამდენად, ს. ჩ-უამ დაარღვია სააპელაციო საჩივრის წარდგენის კანონით განსაზღვრული 14-დღიანი ვადა.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს საქმეში წარმოდგენილ მინდობილობაზე, რომლითაც ს. ჩ-უამ ჯ. შ-იას მიანიჭა უფლებამოსილება გაასაჩივროს ნებისმიერი აქტი (გადაწყვეტილება, განჩინება), შეიტანოს საჩივარი სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოში, აწარმოოს საქმე სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოში. ეს მინდობილობა გაცემულია 2008 წლის 12 დეკემბერს და იგი ძალაშია 2011 წლის 12 დეკემბრამდე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო სასამართლო თვლის, რომ გასაჩივრებული განჩინების გამოტანისას სააპელაციო სასამართლოს კანონის მოთხოვნები არ დაურღვევია, რის გამოც ს. ჩ-უას კერძო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი არ არსებობს.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე-420-ე მუხლებით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. არ დაკმაყოფილდეს ს. ჩ-უას კერძო საჩივარი;
2. უცვლელი დარჩეს მოცემულ საქმეზე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 14 მაისის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### **სააპელაციო საჩივრის გასაჩივრების ვადის აღდგენის დაუშვებლობა**

#### **განჩინება**

18ს-1020-978(კს-09)

24 სექტემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ლ. მურუსიძე

**დავის საგანი:** გასაჩივრების ვადის აღდგენა

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

2006 წლის 18 ივლისს თ. ხ-მემ სასარჩელო განცხადებით მიმართა რუსთავის საქალაქო სასამართლოს მოპასუხეების – რუსთავის შს სამმართველოსა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართ და მოითხოვა მიღებულ და მიუღებელ ზიანს შორის სხვაობის ანაზღაურება, ინვალიდისათვის საჭირო ავტო-

მოზილის შეძენა ან მისი ღირებულების ანაზღაურება, სატრანსპორტო საშუალების შეკეთება და საწვავ-საც-ხები საშუალებების შეძენის ხარჯების ანაზღაურება, ყოველთვიური ასანაზღაურებელი თანხის 288,61 ლარის დაკისრება და მორალური ზიანის ანაზღაურება.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 28 ნოემბრის საოქმო განჩინებით, მოსარჩელის შუამდგომლობის საფუძველზე, მოპასუხეთა რიცხვიდან ამოირიცხა ერთ-ერთი მოპასუხე – ქ. რუსთავის შს სამმართველო.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილებით თ. ხ-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა თ. ხ-ძემ, რომლითაც მოითხოვა რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 10 პრილის განჩინებით აღნიშნული საქმე განსახილველად გადაეგზავნა უფლებამოსილ სასამართლოს – თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 11 იანვრის განჩინებით თ. ხ-ძის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ – გაუქმდა რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახალი განხილვის მიზნით დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 21 აპრილის გადაწყვეტილებით თ. ხ-ძის სასარჩელო მოთხოვნები არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა თ. ხ-ძემ და მოითხოვა რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 21 აპრილის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 31 ოქტომბრის განჩინებით თ. ხ-ძის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად აპელანტის მიერ გადაწყვეტილების სააპელაციო საჩივრით გასაჩივრების კანონით დადგენილი ვადის გაშვების მოტივით.

2009 წლის 5 იანვარს თ. ხ-ძემ განცხადებით მიმართა სასამართლოს, რომლის საფუძველზეც მოითხოვა სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 31 ოქტომბრის განჩინების გაუქმება და საპროცესო ვადის აღდგენა იმ მოტივით, რომ რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 21 აპრილის გადაწყვეტილება ჩაბარდა მის მეუღლეს, ვინაიდან იგი იმყოფებოდა რაიონში, უვლიდა ავადმყოფ მამას, რომელიც გარდაიცვალა 2008 წლის 6 ოქტომბერს, სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების საპროცესო ვადის პერიოდში, რის გამოც არ მიეცა გადაწყვეტილების გასაჩივრების საშუალება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 2 თებერვლის განჩინებით თ. ხ-ძეს უარი ეთქვა განცხადების დაკმაყოფილებაზე უსაფუძვლოების მოტივით.

აღნიშნულ განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა თ. ხ-ძემ. კერძო საჩივრის ავტორი კერძო საჩივარში მიუთითებს, რომ მამის გარდაცვალება სასამართლოს მიერ მიჩნეულ უნდა ყოფილიყო საპატიო მიზეზად და უნდა აღდგეს კანონით დადგენილი სააპელაციო საჩივრის შეტანის საპროცესო ვადა.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, კერძო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ კერძო საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა შეადგენს 14 დღეს. ამ ვადის გაგრძელება არ შეიძლება და იგი იწყება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან.

როგორც საქმის მასალებით ირკვევა, რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 21 აპრილის გადაწყვეტილება ჩაბარდა თ. ხ-ძის მეუღლეს 2008 წლის 24 სექტემბერს, რაც დასტურდება იმავე გზავნილზე მეუღლის ხელმოწერით. სააპელაციო საჩივარი კი შეტანილია 2008 წლის 17 ოქტომბერს, ესე იგი დარღვეულია სააპელაციო საჩივრის წარდგენის კანონით დადგენილი 14-დღიანი ვადა.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ სასამართლო უწყების ჩამბარებულმა სასამართლოში გამოსამახებელი პირი ვერ ნახა მხარის მიერ მითითებულ მისამართზე იგი უწყებას აბარებს მასთან მცხოვრებ ოჯახის რომელიმე სრულწლოვან წევრს. უწყების ჩაბარება ამ ნაწილით გათვალისწინებული პირისათვის ჩაითვლება უწყების ჩაბარებად ადრესატისათვის, რაც დასტურდება უწყების მეორე ეგზემპლარზე უწყების მიმღების ხელმოწერით.

აქედან გამომდინარე, თ. ხ-ძის მეუღლის მიერ სასამართლო გადაწყვეტილების ჩაბარება ნიშნავს იმას, რომ თ. ხ-ძეს გადაწყვეტილება ჩაჰბარდა 2008 წლის 24 სექტემბერს და სააპელაციო საჩივრის წარდგენის ვადის ათვლა უნდა დაიწყოს სწორედ ამ დროიდან.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სააპელაციო საჩივრის წარდგენის 14-დღიანი ვადა არის კანონით დადგენილი ვადა. სასამართლო ვერ შეცვლის ან ვერ გააგრძელებს კანონისმიერ ვადებს. კანონისმიერი ვადის აღდგენა დაუშვებელია, თუ კანონი თვითონვე შეიცავს მითითებულ აკრძალვას. ასეთი ტიპის აკრძალვა მოცემულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის პირველ ნაწილში, რომელიც შეიცავს ცალსახა მითითებას სააპელაციო საჩივრის შეტანის 14-დღიანი ვადის გაგრძელების დაუშვებლობის თაობაზე. აღნიშნულ ნორმას აქვს აღმკვეთი ხასიათი და მოქმედი საპროცესო კანონმდებლობა ამ ნორმით გათვალისწინებული ვადის აღდგენას არ ითვალისწინებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მოკლებულია თ. ხ-ძის კერძო საჩივრის დაკმაყოფილების პროცესუალურ შესაძლებლობას, რის გამოც უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 2 თებერვლის გასაჩივრებული განჩინება.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე, 74-ე მუხლის პირველი ნაწილით, 419-ე, 420-ე მუხლებით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. თ. ხ-ძის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 2 თებერვლის განჩინება
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### **სააპელაციო საჩივრის გასაჩივრების ვადის აღდგენის დაუშვებლობა**

#### **განჩინება**

<sup>1</sup>ბს-898-860(კს-09)

29 ოქტომბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ნ. ქადაგიძე,

პ. სილაგაძე

**დავის საგანი:** გასაჩივრებული განჩინების გაუქმება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

2008 წლის 23 დეკემბერს ქ. ქუთაისის მ. ბალანჩივაძის სახელობის ცენტრალური სამუსიკო სკოლის პედაგოგებმა – თ. ა-ძემ, ი. ჟ-იანმა, მ. ჭ-შვილმა, თ. ა-იანმა და სხვებმა (სულ 93-მა პირმა) სასარჩელო განცხადებით მიმართეს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს.

მოსარჩელებმა აღნიშნეს, რომ 2007 წლის მაისი-დეკემბრის თვეებში მუშაობდნენ მ. ბალანჩივაძის სახელობის ცენტრალურ სამუსიკო სასწავლებელში, რომელიც ფინანსდებოდა ადგილობრივი ბიუჯეტიდან. მხარეებმა აღნიშნეს, რომ სამუსიკო სასწავლებელს მათ მიმართ გააჩნდა სახელფასო დავალიანება, რის გამოც ითხოვდნენ, ქ. ქუთაისის მერიას დაკისრებოდა 2007 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებული, მ. ბალანჩივაძის სახელობის ცენტრალური სამუსიკო სასწავლებლის პედაგოგთა სახელფასო დავალიანების ანაზღაურება ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 22 აპრილისა და 26 ივნისის გადახდის ბრძანებების შესაბამისად.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 3 თებერვლის გადაწყვეტილებით ქ. ქუთაისის მ. ბალანჩივაძის სახელობის ცენტრალური სამუსიკო სასწავლებლის პედაგოგების: თ. ა-იანის, თ. ა-ძის, მ. გ-ულის, მ. ფ-ძის, თ. ს-ძის, თ. ქ-ძის, ე. ფ-შვილისა და სხვათა სარჩელი სახელფასო დავალიანების ანაზღაურების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 3 თებერვლის გადაწყვეტილების ასლი კანონით დადგენილი წესით გაეგზავნათ მოსარჩელებს და ჩაჰბარდა მოსარჩელე ქ. ბ-ძეს 2009 წლის 1 აპრილს, ხოლო მ. გ-ულს – 2009 წლის 11 თებერვალს.

2009 წლის 4 მაისს ქუთაისის საქალაქო სასამართლოში ქ. ქუთაისის მ. ბალანჩივაძის სახელობის სამუსიკო სასწავლებლის პედაგოგების მიერ წარდგენილ იქნა სააპელაციო საჩივარი, რომელიც საქმის მასალებთან ერთად გადაიგზავნა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 20 მაისის განჩინებით ქ. ქუთაისის მ. ბალანჩივაძის სახელობის სამუსიკო სასწავლებლის პედაგოგთა სააპელაციო საჩივარი ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 3 თებერვლის გადაწყვეტილებაზე დარჩა განუხილველი.

სააპელაციო სასამართლომ საქმის მასალების საფუძველზე დადგენილად მიიჩნია, რომ 2009 წლის 3 თებერვლის გადაწყვეტილების ასლი ერთ-ერთ მოსარჩელეს – ქ. ბ-ძეს ჩაჰბარდა პირადად 2009 წლის 1 აპრილს.

ასევე სააპელაციო სასამართლომ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 3 თებერვლის გადაწყვეტილებაზე გაკეთებული მინაწერით დადასტურებულად მიიჩნია, რომ აღნიშნული გადაწყვეტილების ასლი 2009 წლის 11 თებერვალს ჩაბარდა მოსარჩელე მ. გ-ულს.

სასამართლომ მიიჩნია, რომ, მართალია, საქმეში წარმოდგენილია მოსარჩელეთა წარმომადგენლის – ა. ბ-ძის მიერ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 3 თებერვლის გადაწყვეტილების ასლის 2009 წლის 22 აპრილს ჩაბარების დამადასტურებელი მტკიცებულება, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ მარწმუნებლებს (ქ. ბ-ძესა და მ. გ-ულს) გადაწყვეტილების ასლი ჩაჰბარდათ 2009 წლის 11 თებერვალს, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით გადაწყვეტილება წარმომადგენლისათვის ჩაბარებულად ითვლებოდა 2009 წლის 11 თებერვალს, რის გამოც ქ. ქუთაისის მ. ბალანჩივაძის სამუსიკო სკოლის პედაგოგთა სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 20 მაისის განჩინება კერძო საჩივრით გასაჩივრებულ იქნა ქ. ქუთაისის მ. ბალანჩივაძის სახელობის სამუსიკო სასწავლებლის პედაგოგების წარმომადგენლის – ა. ბ-ძის მიერ.

კერძო საჩივრის ავტორმა აღნიშნა, რომ მ. ბალანჩივაძის სახელობის სამუსიკო სასწავლებლის 93 პედაგოგი სასამართლოში დავას აწარმოებდა სათანადო რწმუნებით, მისი უშუალო ხელმძღვანელობით, რის გამოც სასამართლო ვალდებული იყო შესაბამისი გადაწყვეტილება ჩაეხარებინა მისთვის, როგორც მოსარჩელეთა წარმომადგენლისათვის. კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, დადასტურებულია, რომ მას გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდა 2009 წლის 22 აპრილს. მხარის განმარტებით, ერთ-ერთი მარწმუნებლისათვის გადაწყვეტილების ჩაბარება შეიძლება განხილულ იქნეს მხოლოდ მის მოთხოვნაზე უარის თქმით და არა მთელი მოსარჩელების სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველად, რამდენადაც ქ. ბ-ძესა და მ. გ-ულს წარმომადგენლობითი უფლებამოსილება სხვა პედაგოგების მიერ გაცემული არ ჰქონიათ. შესაბამისად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარების ათვლა უნდა დაწყებულიყო 2009 წლის 22 აპრილიდან, რა შემთხვევაშიც, მას როგორც წარმომადგენელს სააპელაციო საჩივრის წარდგენის ვადა დარღვეული არ ჰქონდა.

აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, ა. ბ-ძემ კერძო საჩივრით ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 20 მაისის განჩინების გაუქმება და არსებითი განხილვისათვის საქმის სააპელაციო სასამართლოში დაბრუნება მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 24 ივლისის განჩინებით წარმოებაში იქნა მიღებული ქუთაისის მ. ბალანჩივაძის სახელობის სამუსიკო სკოლის პედაგოგთა წარმომადგენლის, ა. ბ-ძის კერძო საჩივარი და საქმის განხილვა დაინიშნა ზეპირი მოსმენის გარეშე.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატა საქმის მასალების გაცნობის, კერძო საჩივრის საფუძვლიანობისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დასტურდება, რომ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 3 თებერვლის გადაწყვეტილება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესების დაცვით გაეგზავნა მოსარჩელებს სარჩელში მითითებულ მისამართზე და ჩაჰბარდა ერთ-ერთ მოსარჩელეს – ქ. ბ-ძეს 2009 წლის 1 აპრილს.

საქმის მასალებით ასევე დგინდება, რომ მოსარჩელეთა მიერ სარჩელში ძირითად მისამართად მითითებულია ქ. ქუთაისის მ. ბალანჩივაძის სახელობის სამუსიკო სკოლის მისამართი, რომელიც წარმოადგენს მოსარჩელეთა სამუშაო ადგილის მისამართს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, სასამართლო უწყება (გზავნილი) ადრესატს ბარდება მხარის მიერ მითითებული ძირითადი მისამართის (ფაქტობრივი ადგილსამყოფელის) ალტერნატიული მისამართის, სამუშაო ადგილის ან სასამართლოსათვის ცნობილი სხვა მისამართის მიხედვით.

საკასაციო სასამართლო საქმის მასალებზე მითითებით განმარტავს, რომ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილება გაგზავნილი იყო ყველა მოსარჩელის – ქ. ქუთაისის მ. ბალანჩივაძის სამუსიკო სასწავლებლის პედაგოგების სახელზე. შესაბამისად, მოსარჩელემ – ქ. ბ-მემ ჩაიბარა რა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 3 თებერვლის გადაწყვეტილება, იკისრა ვალდებულება, აღნიშნული გადაწყვეტილება გადაეცა ყველა მოსარჩელისათვის.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლის თანახმად, თუ სასამართლო უწყების ჩამბარებელმა სასამართლოში გამოსამძახებელი პირი ვერ ნახა მხარის მიერ მითითებულ მისამართზე, იგი უწყებას აბარებს მასთან მცხოვრებ ოჯახის რომელიმე სრულწლოვან წევრს. ამასთან, ხსენებული ნორმა ითვალისწინებს უწყების მიმღები პირის ვალდებულებას, უწყება დაუყოვნებლივ ჩააბაროს ადრესატს. უწყების ჩაბარება ამ ნაწილით გათვალისწინებული პირისათვის ჩაითვლება უწყების ჩაბარებად ადრესატისათვის, რაც დასტურდება უწყების ეგზემპლარზე უწყების მიმღების ხელმოწერით.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 3 თებერვლის გადაწყვეტილების ასლი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით გაგზავნათა მოსარჩელებს მათ მიერ სარჩელში მითითებულ მისამართზე და ჩაბარდა ერთ-ერთ მოსარჩელეს – ქ. ბ-მეს, ხოლო გზავნილის მიმღებმა პირმა ჩაიბარა რა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 3 თებერვლის გადაწყვეტილება, თავის თავზე აიღო პასუხისმგებლობა, გზავნილი გადაეცა ყველა ადრესატისათვის. ამასთან, ხსენებული გზავნილით არ დასტურდება, რომ მან უარი განაცხადა გზავნილის მიღებაზე.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით გაგზავნილი გადაწყვეტილების ჩაბარება ერთ-ერთი მოსარჩელისათვის – ქ. ბ-მისათვის, ითვლება გადაწყვეტილების ყველა მოსარჩელისათვის ჩაბარებად.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით მხარეთათვის დადგენილი ვადები ამა თუ იმ საპროცესო მოქმედების შესასრულებლად, ასევე დადგენილია კანონით დადგენილ ვადაში საპროცესო მოქმედების, მათ შორის, სასამართლო გადაწყვეტილების (განჩინების) გასაჩივრების, შეუსრულებლობის შედეგი – თუ მხარემ კანონით დადგენილ ვადაში არ შეასრულა საპროცესო მოქმედება – არ გაასაჩივრა სასამართლო გადაწყვეტილება (განჩინება), იგი კარგავს ამ საპროცესო მოქმედების შესრულების შესაძლებლობას.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სასამართლოს ყველა გადაწყვეტილების, განჩინების, ბრძანების, დადგენილების ასლი უნდა გადაეცეს მხარეს. ხოლო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა შეადგენს 14 დღეს. ამ ვადის გაგრძელება არ შეიძლება და იგი იწყება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად ითვლება დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის ჩაბარება მითითებული კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების შესაბამისად. ამდენად, აღნიშნული მუხლი ატარებს იმპერატიულ ხასიათს და გასაჩივრების ვადის ათვლას ცალსახად უკავშირებს გადაწყვეტილების მხარისათვის ჩაბარების მომენტს.

ამასთან, საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-13 მუხლის მეორე პუნქტზე, რომლის შესაბამისად, სასამართლო მხარეებს ან მათ წარმომადგენლებს უგზავნის იმ გადაწყვეტილებების, განჩინებების ან ბრძანების ასლს, რომელიც ექვემდებარება გასაჩივრებას იმავე ან ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში. წარმომადგენლისათვის გაგზავნილი დოკუმენტი ჩაითვლება მხარისათვის გაგზავნილად, ხოლო მხარისათვის გაგზავნილი – წარმომადგენლისათვის გაგზავნილად.

აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო არ ეთანხმება კერძო საჩივრის ავტორის განმარტებას იმ გარემოებასთან დაკავშირებით, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების ერთ-ერთ მარწმუნებელზე ჩაბარება შეიძლება განხილულ იქნეს მხოლოდ მის მოთხოვნაზე უარის თქმის და არა ყველა მოსარჩელისათვის სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველად.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ქ. ქუთაისის მ. ბალანჩივაძის სახელობის სამუსიკო სასწავლებლის პედაგოგების წარმომადგენლის – ა. ბ-მის კერძო საჩივარი უსაფუძველოა, სააპელაციო პალატის განჩინება მიღებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისად და არ არსებობს მისი გაუქმების სამართლებრივი საფუძველი.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

**და ა დ გ ი ნ ა:**

1. ქ. ქუთაისის მ. ბალანჩივაძის სახელობის სამუსიკო სასწავლებლის პედაგოგების წარმომადგენლის – ა. ბ-ძის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 20 მაისის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## 2. სარჩელის გამოხმობა

### მოპასუხის თანხმობა სარჩელის გამოხმობისას

#### განჩინება

18ს-1333-1292(კ-08)

1 ივლისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. ქადაგიძე,  
ლ. მურუსიძე

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83<sup>1</sup> მუხლის შესაბამისად, ზეპირი მოსმენის გარეშე, განიხილა სს «...» წარმომადგენლის, რ. ლ-ურის განცხადება სს «...» სასარჩელო განცხადების გამოხმობის თაობაზე.

#### აღწერილობითი ნაწილი:

29.06.07წ. სს «...» მარნეულის მუნიციპალური გამგეობისა და მარნეულის მუნიციპალური ზედამხედველობის განყოფილების წინააღმდეგ სასარჩელო განცხადებით მიმართა მარნეულის რაიონულ სასამართლოს. მოსარჩელემ მარნეულის მუნიციპალური ზედამხედველობის განყოფილების 25.05.07წ. <sup>14</sup> ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა და უნებართვო მშენებლობის დემონტაჟის შესახებ დადგენილების გამოცემის დავალდებულება მოითხოვა. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ მის კუთვნილ ტერიტორიაზე ვ. ბ-ულმა უკანონოდ აწარმოვა მშენებლობა. 19.12.06წ. სს «...» განცხადებით მიმართა მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობას და აცნობა მის კუთვნილ ტერიტორიაზე ვ. ბ-ულის მიერ უკანონო მშენებლობის წარმოების თაობაზე. ბანკმა უკანონო ქმედების აღკვეთა და შესაბამისი ღონისძიებების გატარება მოითხოვა. ადმინისტრაციულმა ორგანომ მიიღო მშენებლობის შეჩერების და არა – უკანონო მშენებლობის დემონტაჟის გადაწყვეტილება. მიწის ნაკვეთის კანონიერი მესაკუთრე ვერ იყენებდა მის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთს დანიშნულებისამებრ, რითაც მნიშვნელოვანი ზიანი ადგებოდა. 14.05.07წ. განმეორებით მიმართა მოპასუხეს და უკანონო მშენებლობის დემონტაჟის შესახებ გადაწყვეტილების მიღება მოითხოვა, რაზეც უარი მიიღო.

მარნეულის რაიონული სასამართლოს 18.02.08წ. გადაწყვეტილებით სს «...» სასარჩელო განცხადება დაკმაყოფილდა – ბათილად იქნა ცნობილი მარნეულის მუნიციპალური ზედამხედველობის განყოფილების 25.05.07წ. <sup>14</sup> ადმინისტრაციული აქტი და მარნეულის მუნიციპალური ზედამხედველობის განყოფილებას დაევა სს «...» საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მშენებლობის დარღვევით აშენებული შენობა-ნაგებობის დემონტაჟის თაობაზე დადგენილების მიღება. სასამართლომ მიიჩნია, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ ადმინისტრაციული აქტის გამოცემისას არ გამოიკვლია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები და არ შეაფასა ისინი, კერძოდ, არ გამოითხოვა დოკუმენტები და საკადასტრო რუკა. სასამართლომ აღნიშნა, რომ საჯარო რეესტრის ჩანაწერების მიხედვით, მიწის ნაკვეთის, რომელზეც ვ. ბ-ულმა მშენებლობა აწარმოვა, მესაკუთრე იყო სს «...», რაც ასევე დაადასტურა მარნეულის მუნიციპალური ზედამხედველობის განყოფილების წარმომადგენელმა. მოპასუხეს არ გაურკვევია, ჰქონდა თუ არა მშენებლობის ნებართვა ვ. ბ-ულს და ადმინისტრაციულ წარმოებაში არ მოუწვევია სს «...». სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმის გარემოებების სრულყოფილი გამოკვლევისა და ურთიერთშეჯერების შემდეგ ადმინისტრაციულ ორგანოს, შესაძლოა, სხვაგვარი გადაწყვეტილება მიეღო. სასამართლომ საფუძვლიანად მიიჩნია სს «...» მოთხოვნა მშენებლობის დემონტაჟის შესახებ. სასამართლომ მიუთითა «არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის შესახებ» კანონის მე-4 მუხლის მე-7 ნაწილზე, რომლის თანახმად, არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოებს უფლება აქვთ მიიღონ დადგენილება კანონმდებლობის დარღვევით აშენებული, ადგენილი, რეკონსტრუირებული ან/და დამონტაჟებული შენობა-ნაგებობის მთლიანად ან ნაწილობრივი დემონტაჟის შესახებ. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხე ორგანიზაცია წარმოადგენდა ქ. მარნეულში სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის განმხორციელებელ ორგანოს და უფლებამოსილი იყო გამოეცა დემონტაჟის შესახებ ადმინისტრაციული აქტი. დემონტაჟის საფუძველს წარმოადგენდა ის, რომ მშენებლობა სათანადო ნებართვის

გარეშე და სხვის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე იყო წარმოებული. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მესამე პირმა ვ. ბ-ულმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის **30.06.08წ.** გადაწყვეტილებით ვ. ბ-ულის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა მარნეულის რაიონული სასამართლოს **18.02.08წ.** გადაწყვეტილება, სს «...» სარჩელი არ დაკმაყოფილდა – მოსარჩელეს დაეკისრა ვ. ბ-ულის სასარგებლოდ **150** ლარის გადახდა. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ვ. ბ-ულის სახელზე საჯარო რეესტრში რეგისტრირებულია **998** კვ.მ მიწის ნაკვეთი მდებარე ქ. მარნეულში, ... ქ. <sup>1</sup>...-ში. **28.05.04წ.** სს «...» ლ. შ-ძისაგან შეიძინა **369** კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი, მდებარე ქ. მარნეულში, ... ქ. <sup>1</sup>...-ში. ნაკვეთი **01.11.07წ.** რეგისტრირებული იქნა საჯარო რეესტრში. სადავო შენობა-ნაგებობა ემიჯნება სს «...» და ვ. ბ-ულის მიწის ნაკვეთებს. მიწის ნაკვეთზე, რომელზეც განლაგებულია სადავო შენობა-ნაგებობა, ვ. ბ-ულს და მოპასუხეებს, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და ლ. შ-ძეს შორის მიმდინარეობს დავა სასამართლოში. **19.12.06წ.** სს «...» განცხადებით მიმართა მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობას, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება მშენებლობის შეჩერების შესახებ. **14.05.07წ.** სს «...» განმეორებით მიმართა მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობას და მოითხოვა მის მიერ შეძენილი მიწის ნაკვეთზე უნებართვო მშენებლობის დემონტაჟი, რაზეც განემარტა, რომ მშენებლობა შეჩერებული იყო, ვინაიდან მიწის ნაკვეთზე მიმდინარეობდა დავა სასამართლოში. დავის დასრულების შემდეგ სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე ადმინისტრაციული ორგანო მიიღებდა გადაწყვეტილებას შენობა-ნაგებობის დემონტაჟის შესახებ. დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ადმინისტრაციული ორგანო მოქმედებდა დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, მის მიერ არ დარღვეულა ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის პრინციპები, კერძოდ, მიუკერძოებლობისა და კანონიერების პრინციპი. ვინაიდან სადავო მიწის ნაკვეთზე დავა მიმდინარეობდა სასამართლოში, ზედამხედველობის სამსახურმა მართებულად უთხრა უარი სს «...» სადავო შენობა-ნაგებობის დემონტაჟზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის **30.06.08წ.** გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა სს «...». კასატორმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღება მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის **18.02.09წ.** განჩინებით სს «...» საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა მიჩნეული და მისი განხილვა დაინიშნა ზეპირი მოსმენით.

**01.07.09წ.** სასამართლო სხდომაზე კასატორის წარმომადგენელმა იშუამდგომლა სარჩელის გამოხმობისა და განუხილველად დატოვების შესახებ, ვინაიდან სს «...» საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე აგებული შენობა-ნაგებობის დემონტაჟი მესამე პირმა, ვ. ბ-ულმა, უკვე განახორციელა.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატა სს «...» წარმომადგენლის, რ. ლ-ურის განცხადების განხილვის შედეგად თვლის, რომ განცხადება სარჩელის გამოხმობის შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს და მოცემულ საქმეზე განუხილველად დარჩეს სს «...» სასარჩელო განცხადება შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის **399-ე** მუხლის თანახმად, საქმის განხილვა საკასაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რომლებიც დადგენილია სააპელაციო სასამართლოში საქმეთა განხილვისათვის, გარდა იმ გამონაკლისებისა, რომელთაც ეს თავი შეიცავს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის **372-ე** მუხლის თანახმად, საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის, ამ თავში მოცემული ცვლილებებითა და დამატებებით.

«საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ» **28.12.07წ.** საქართველოს კანონით სამოქალაქო საპროცესო კოდექსის **83<sup>1</sup>** მუხლი ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით, რითაც სარჩელის გამოხმობა დასაშვები გახდა საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე, რაც მოსარჩელეს უფლებას აძლევს, სარჩელი გაიხმოს საკასაციო ინსტანციაში საქმის წარმოების დროს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის **83<sup>1</sup>** მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოსარჩელეს უფლება აქვს გამოიხმოს სარჩელი ისე, რომ უარი არ თქვას თავის მოთხოვნაზე. სარჩელის გამოხმობა დასაშვებია საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე. სარჩელის გამოხმობა საკასაციო წესით საქმის განხილვისას დასაშვებია მოპასუხის თანხმობით. თუ მოპასუხე არ არის თანახმა, სასამართლომ უნდა განიხილოს და გადაწყვიტოს საქმე. ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად თუ სასამართლო დააკმაყოფილებს სარჩელის გამოხმობის შესახებ მოსარჩელის განცხადებას, მას გამოაქვს განჩინება სარჩელის განუხილველად დატოვებისა და მისი მოსარჩელისათვის დაბრუნების თაობაზე, ამასთანავე, მოსარჩელეს დაუბრუნდება მხოლოდ შესაბამისი ინსტანციის სასა-

მართლოში მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი. საკასაციო წესით საქმის განხილვისას სარჩელის გამოხმობის დაკმაყოფილების შემთხვევაში, სასამართლო აუქმებს ქვედა ინსტანციის სასამართლოების გადაწყვეტილებებს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 275-ე მუხლის «ვ» ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო, მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით, განუხილველად დატოვებს სარჩელს, თუ დაკმაყოფილება მოსარჩელის შუამდგომლობა სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების გამოხმობის შესახებ.

სს «...» წარმომადგენლმა განცხადებით მოითხოვა სარჩელის გამოხმობა და აღნიშნულ მოთხოვნას მოპასუხეების: მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და მარნეულის მუნიციპალიტეტის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ზედამხედველობის განყოფილების წარმომადგენლები დაეთანხმნენ. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ სარჩელის გამოხმობის თაობაზე სს «...» შუამდგომლობა აკმაყოფილებს სსკ-ის 83<sup>1</sup> მუხლის მოთხოვნას, რის გამოც სს «...» სარჩელი განუხილველად უნდა დარჩეს და დაუბრუნდეს იგი მოსარჩელეს. კასატორს უნდა დაუბრუნდეს მის მიერ საკასაციო ინსტანციაში საქმის განსახილველად გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 300 ლარის ოდენობით.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83<sup>1</sup> მუხლით, 275-ე მუხლის «ვ» ქვეპუნქტით და 284-ე მუხლებით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. სს «...» წარმომადგენლის, რ. ლ-ურის განცხადება სარჩელის გამოხმობის შესახებ დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს მოცემულ საქმეზე გამოტანილი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 30.06.08წ. გადაწყვეტილება და მარნეულის რაიონული სასამართლოს 18.02.08წ. გადაწყვეტილება;
3. სს «...» სარჩელი მოპასუხე მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და მარნეულის მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის სამსახურის მიმართ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისა და უნებართვო მშენებლობის დემონტაჟის შესახებ დადგენილების გამოცემის დავალდებულების თაობაზე დარჩეს განუხილველი;
4. სს «...» დაუბრუნდეს მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 300 ლარის ოდენობით;
5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### **სარჩელის გამოხმობის გამო განუხილველად დატოვება**

#### **განჩინება**

18ს-365-350(კ-09)

31 ივლისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: **ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),**  
**ნ. სხირტლაძე,**  
**პ. სილაგაძე**

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83<sup>1</sup> მუხლის შესაბამისად, ზეპირი მოსმენის გარეშე, განიხილა მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის განცხადება სარჩელის გამოხმობის შესახებ.

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

2005 წლის 21 თებერვალს მცხეთის რაიონის სოფელ მუხრანის თემის გამგეობამ სარჩელი აღძრა მცხეთის რაიონულ სასამართლოში, მოპასუხეების – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მცხეთის სარეგისტრაციო სამსახურისა და გ. მ-შვილის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა 0,35 ჰა მიწის ნაკვეთზე მცხეთის რაიონის სოფ. ... მცხოვრები გ. მ-შვილის საკუთრების უფლების რეგისტრაციის შესახებ საჯარო რეესტრში 2005 წლის 11 აპრილს განხორციელებული ჩანაწერის გაუქმება და გამოთავისუფლებული მიწის ნაკვეთის მოსარჩელისთვის დაბრუნება.

მცხეთის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 30 ივნისის საოქმო განჩინებით მოცემულ საქმეში თანამოპასუხეებად ჩაბმულ იქნენ თ. მ-შვილი, ა. მ-შვილი, კ. მ-შვილი და ნ. მ-შვილი.



მცხეთის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 19 ივლისის განჩინებით მოპასუხე მცხეთის სარეგისტრაციო სამსახური შეიცვალა სათანადო მოპასუხით – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოთი.

მცხეთის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 10 იანვრის განჩინებით მოსარჩელე მცხეთის რაიონის სოფელ მუხრანის თემის გამგეობა შეიცვალა უფლებამონაცვლით – მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობით.

მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობამ დაზუსტებული სარჩელი წარადგინა მცხეთის რაიონულ სასამართლოში, მოპასუხეების – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მცხეთის სარეგისტრაციო სამსახურის და გ., თ., ა., ნ. და კ. მ-შვილების მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა მცხეთის რაიონის სოფ. ... მდებარე 0,35 ჰა მიწის ნაკვეთზე გ., თ., ა., ნ. და კ. მ-შვილების საკუთრების უფლების რეგისტრაციის შესახებ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მცხეთის სარეგისტრაციო სამსახურში არსებული ჩანაწერის, მისი ძალაში შესვლის დღიდან, ბათილად ცნობა.

მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 10 აპრილის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი მცხეთის რაიონის სოფ. ... მდებარე 0,35 ჰა მიწის ნაკვეთზე გ., თ., ა., ნ. და კ. მ-შვილების საკუთრების უფლების რეგისტრაციის შესახებ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მცხეთის სარეგისტრაციო სამსახურში არსებული ჩანაწერი.

მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 10 აპრილის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს გ. და თ. მ-შვილების წარმომადგენლებმა მ. მ-შვილმა და თ. გ-შვილმა, რომელთაც მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 3 ნოემბრის გადაწყვეტილებით გ. და თ. მ-შვილების წარმომადგენლების – მ. მ-შვილისა და თ. გ-შვილის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა მცხეთის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 10 აპრილის გადაწყვეტილება და საქმეზე მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სასარჩელო განცხადება არ დაკმაყოფილდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 3 ნოემბრის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობამ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 12 მარტის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საკასაციო საჩივარი; მხარეებს მიეცათ უფლება, 2009 წლის 12 მარტის განჩინების ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში წარმოედგინათ მოსაზრება, თუ რამდენად იყო დასაშვები განსახილველად საკასაციო საჩივარი საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 13 აპრილის განჩინებით მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ა» ქვეპუნქტით და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრებით, 2009 წლის 23 ივნისს, 14.00 საათზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 28 ივლისის სხდომაზე მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობამ წარმოადგინა განცხადება, რომლითაც გამოიხმო სარჩელი. იმავე სხდომაზე მოწინააღმდეგე მხარის (მოპასუხეების) – გ. და თ. მ-შვილების წარმომადგენელმა თ. გ-შვილმა თანხმობა განაცხადა მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ სარჩელის გამოხმობაზე.

2009 წლის 30 ივლისს მოწინააღმდეგე მხარემ (მოპასუხემ) – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მცხეთის სარეგისტრაციო სამსახურმა საქართველოს უზენაეს სასამართლოში წარმოადგინა განცხადება, რომლითაც მან თანხმობა განაცხადა მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ სარჩელის გამოხმობაზე.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო სარჩელის გამოხმობის შესახებ მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის განცხადების განხილვის შედეგად მიიჩნევს, რომ ხსენებული განცხადება უნდა დაკმაყოფილდეს.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე მუხლის მიხედვით, საქმის განხილვა საკასაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რომლებიც დადგენილია სააპელაციო სასამართლოში საქმეთა განხილვისათვის, გარდა იმ გამონაკლისებისა, რომელთაც ეს თავი (საქმის წარმოება საკასაციო სასამართლოში) შეიცავს. ამავე კოდექსის 372-ე მუხლის თანახმად, საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში

წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის, ამ თავში (საქმის წარმოება სააპელაციო სასამართლოში) მოცემული ცვლილებებითა და დამატებებით.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ «საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილებები-სა და დამატებების შეტანის შესახებ» საქართველოს 2007 წლის 28 დეკემბრის კანონით საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83<sup>1</sup> მუხლი ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით, რის შემდეგაც სარჩელის გამოხმობა დასაშვები გახდა საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე, რაც მოსარჩელეს უფლებას აძლევს, სარჩელი გამოიხმოს საკასაციო ინსტანციის სასამართლოში საქმის წარმოების დროს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოსარჩელეს უფლება აქვს გამოიხმოს სარჩელი ისე, რომ უარი არ თქვას თავის მოთხოვნაზე. სარჩელის გამოხმობა დასაშვებია საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე. სარჩელის გამოხმობა საკასაციო წესით საქმის განხილვისას დასაშვებია მოპასუხის თანხმობით. თუ მოპასუხე არ არის თანახმა, სასამართლო უნდა განიხილოს და გადაწყვიტოს საქმე. ამავ მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ სასამართლო დააკმაყოფილებს მოსარჩელის განცხადებას სარჩელის გამოხმობის შესახებ, მას გამოაქვს განჩინება სარჩელის განუხილველად დატოვებისა და მისი მოსარჩელისათვის დაბრუნების თაობაზე. საკასაციო წესით საქმის განხილვისას სარჩელის გამოხმობის დაკმაყოფილების შემთხვევაში, სასამართლო აუქმებს ქვედა ინსტანციის სასამართლოების გადაწყვეტილებებს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 275-ე მუხლის პირველი ნაწილის «ვ» ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო, მხარის განცხადებით, განუხილველად დატოვებს სარჩელს, თუ დაკმაყოფილდება მოსარჩელის შუამდგომლობა სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების გამოხმობის შესახებ.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ, ვინაიდან მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობამ განცხადებით გამოიხმო სარჩელი, რასაც დაეთანხმნენ მოპასუხეების – გ. და თ. მ-შვილების წარმომადგენელი თ. გ-შვილი და მოპასუხე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მცხეთის სარეგისტრაციო სამსახური, მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის განცხადება სარჩელის გამოხმობის შესახებ აკმაყოფილებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილის ნორმის მოთხოვნას, რის გამოც მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სარჩელი განუხილველი უნდა დარჩეს და იგი დაუბრუნდეს მოსარჩელეს, ხოლო ქვედა ინსტანციის სასამართლოების მიერ მოცემულ საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილებები გაუქმდეს.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, 83<sup>1</sup>-ე მუხლებით, 275-ე მუხლის პირველი ნაწილის «ვ» ქვეპუნქტით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის განცხადება სარჩელის გამოხმობის შესახებ დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს მოცემულ საქმეზე გამოტანილი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 3 ნოემბრის გადაწყვეტილება და მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 10 აპრილის გადაწყვეტილება;
3. მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სარჩელი მოპასუხეების – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მცხეთის სარეგისტრაციო სამსახურისა და გ., თ., ა., კ. და ნ. მ-შვილების მიმართ, საჯარო რეესტრის ჩანაწერის ბათილად ცნობის თაობაზე, დარჩეს განუხილველი და იგი დაუბრუნდეს მოსარჩელეს;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### **მოპასუხის თანხმობა სარჩელის გამოხმობისას**

#### **განჩინება**

18ს-868-830(კს-09)

10 სექტემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ნ. ქადაგიძე,

პ. სილაგაძე

**დავის საგანი:** გასაჩივრებული განჩინების გაუქმება

**აღწერილობითი ნაწილი:**

2006 წლის 17 თებერვალს რ. მ-ელმა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხე – საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და მესამე პირების – საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის სალიკვიდაციო კომისიის მიმართ, ჯანმრთელობისათვის ვნებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 22 მაისის გადაწყვეტილებით რ. მ-ელის სარჩელი მოპასუხე – საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, მესამე პირების – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის სალიკვიდაციო კომისიის მიმართ დაკმაყოფილდა – საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს დაევალა რ. მ-ელისათვის პროცესის დაწყების მოწვეული ზიანის ანაზღაურების მიზნით 2005 წლის 18 მაისიდან ყოველთვიურად 418 ლარისა და 55 თეთრის გადახდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 4 მარტის განჩინებით საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 22 მაისის გადაწყვეტილება.

აღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გასაჩივრებულ იქნა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ. კასატორმა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მოსარჩელისათვის სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 5 ნოემბრის განჩინებით საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა – გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 4 მარტის განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

2009 წლის 19 მაისს, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში საქმის განხილვისას რ. მ-ელმა განცხადება-შუამდგომლობით მიმართა სააპელაციო პალატას საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83<sup>1</sup> მუხლის შესაბამისად სარჩელის გამხმობისა და მისი განუხილველად დატოვების შესახებ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 22 მაისის განჩინებით რ. მ-ელის შუამდგომლობა სარჩელის გამხმობის თაობაზე დაკმაყოფილდა – გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 22 მაისის გადაწყვეტილება და განუხილველად იქნა დატოვებული რ. მ-ელის სარჩელი საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიმართ, ჯანმრთელობისათვის ვნებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გასაჩივრებულ იქნა რ. მ-ელის მიერ, რომელმაც აღნიშნა, რომ მისი განცხადება სარჩელის გამხმობაზე უარის თქმის შესახებ გამოწვეული იყო იმ გარემოებით, რომ სააპელაციო პალატამ მხარეთა შუამდგომლობის საფუძველზე რამდენჯერმე გადადო სასამართლო სხდომა იმ საფუძველით, რომ საქართველოს უზენაეს სასამართლოში იხილებოდა ანალოგიური საქმეები, რომელთაც ექნებოდათ პრეიუდიციული ძალა რ. მ-ელის გადაწყვეტილებაზე.

კერძო საჩივრის ავტორმა აღნიშნა, რომ 2009 წლის 22 მაისს მისმა კოლეგებმა მიიღეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს დასაბუთრებული განჩინებები მსგავსი კატეგორიის დავებზე, რის შემდეგაც მოსარჩელე სააპელაციო სასამართლოში დაუკავშირდა მოსამართლის თანაშემწეს და დაადგინა, რომ მოწინააღმდეგე მხარეს არ ჰქონდა წარმოდგენილი თანხმობა სარჩელის გამხმობის თაობაზე შუამდგომლობასთან დაკავშირებით, რის შემდეგაც მან მიმართა სასამართლოს განცხადებით სარჩელის გამხმობაზე უარის თქმის შესახებ. თუმცა, აღმოჩნდა, რომ სასამართლოს მიერ უკვე მიღებული იყო განჩინება სარჩელის გამხმობის თაობაზე შუამდგომლობის დაკმაყოფილების შესახებ.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, კერძო საჩივრის ავტორი ითხოვდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 22 მაისის განჩინების გაუქმებას და საქმის ხელახალი განხილვისათვის იმავე სასამართლოში დაბრუნებას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 2 ივლისის განჩინებით წარმოებაში იქნა მიღებული რ. მ-ელის კერძო საჩივარი და საქმის განხილვა დაინიშნა ზეპირი მოსმენის გარეშე.

**სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატა საქმის მასალების გაცნობის, კერძო საჩივრის საფუძვლიანობისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დასტურდება, რომ 2009 წლის 19 მაისს რ. მ-ელმა განცხადება-შუამდგომლობით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83<sup>1</sup> მუხლის შესაბამისად სარჩელის გამოხმობა და მისი განუხილველად დატოვება მოითხოვა.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე მუხლის თანახმად, საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის, ამ თავში მოცემული ცვლილებებითა და დამატებებით.

«საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ» 2007 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონით სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83<sup>1</sup> მუხლი ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით, რომლის მიხედვითაც სარჩელის გამოხმობა დასაშვებია გახდა საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე, რაც მოსარჩელეს უფლებას აძლევს სარჩელი გაიხმოს სააპელაციო ინსტანციაში საქმის წარმოების დროს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოსარჩელეს უფლება აქვს გამოიხმოს სარჩელი ისე, რომ უარი არ თქვას თავის მოთხოვნაზე. სარჩელის გამოხმობა დასაშვებია საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე. სარჩელის გამოხმობა სააპელაციო წესით საქმის განხილვისას დასაშვებია მოპასუხის თანხმობით. თუ მოპასუხე არ არის თანახმა, სასამართლომ უნდა განიხილოს და დაწვეტიტოს საქმე.

საკასაციო სასამართლო უსაფუძვლოდ მიიჩნევს კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ მის მიერ სარჩელის გამოხმობაზე უარის თქმის შესახებ განცხადების შეტანის დროს სააპელაციო სასამართლოში არ იყო წარმოდგენილი ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სპეციალური უფლებამოსილებით აღჭურვილი წარმომადგენლის წერილობითი თანხმობა სარჩელის გამოხმობის თაობაზე, ვინაიდან საქმის მასალებში დაცული მტკიცებულებებით დგინდება, რომ 2009 წლის 22 მაისს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს წარმომადგენლის მიერ სააპელაციო პალატისათვის წარდგენილ იქნა განცხადება, რომლითაც მხარე დაეთანხმა რ. მ-ელის შუამდგომლობას საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83<sup>1</sup> მუხლის შესაბამისად სარჩელის გამოხმობისა და მისი განუხილველად დატოვების შესახებ, რის შემდეგაც თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მიერ მიღებულ იქნა განჩინება.

საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ კონკრეტულ შემთხვევაში, რ. მ-ელმა გამოავლინა ნება თავის სარჩელზე საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ, რასაც მოპასუხე – საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს წარმომადგენელი 2009 წლის 22 მაისის წერილით დაეთანხმა. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ რ. მ-ელის მოთხოვნა სარჩელის გამოხმობის თაობაზე აკმაყოფილებდა ზემოაღნიშნული ნორმის მოთხოვნას. სააპელაციო სასამართლოში სარჩელის გამოხმობის თაობაზე შუამდგომლობის განხილვისას მხარის მიერ არ იყო წარმოდგენილი განცხადება სარჩელის გამოხმობაზე უარის თქმის შესახებ. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს მიერ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83<sup>1</sup> მუხლის მეორე ნაწილით დადგენილი წესით, სარჩელი განუხილველად იქნა დატოვებული და დაუბრუნდა იგი მოსარჩელეს.

ამდენად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ რ. მ-ელის კერძო საჩივარი უსაფუძვლოა, სააპელაციო პალატის განჩინება მიღებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისად და არ არსებობს მისი გაუქმების სამართლებრივი საფუძველი.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. რ. მ-ელის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 22 მაისის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### 3. უფლებამოსილების ფარგლები

#### სააპელაციო სასამართლოს უფლებამოსილების ფარგლები

##### განჩინება

18ს-1300-1260(კ-08)

10 მარტი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. წვეპლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ლ. მურუსიძე

**დავის საგანი:** ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა

##### აღწერილობითი ნაწილი:

2007 წლის 13 თებერვალს ნ. შ-იამ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ და მოითხოვა 1992-1993 წლებში საქართველოს მთლიანობისათვის ბრძოლაში მონაწილეობის დადგენა და ვეტერანის სტატუსის მინიჭება შემდეგი საფუძველით:

მოსარჩელის მითითებით, 1992-1993 წლებში მონაწილეობდა საქართველოს მთლიანობისათვის ბრძოლაში. 1992 წლის ნოემბრიდან ირიცხებოდა 24-ე ბრიგადის 247-ე საარტილერიო დივიზიონში დაზვერვის ოცეულში. 1992 წლის დეკემბერში საბრძოლო ოპერაციის ჩატარებისას მიიღო მძიმე ჭრილობა თავის არეში, რაც დასტურდება საბრძოლო მოკვლევით, საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მართვის კომპიუტერული ცენტრის ცნობით, საქართველოს სამხედრო ძალების ცენტრალური სამხედრო სამედიცინო საექსპერტო კომისიის დადგენილებით, ასევე სენაკის სპეციალიზებული ფსიქიატრიული სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის ბიუროს ცნობით, მიუხედავად აღნიშნულისა, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო არ ადასტურებს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში მოსარჩელის მონაწილეობას.

ნ. შ-იას სარჩელი არ ცნო მოპასუხე საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ და მოითხოვა მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა იმ მოტივით, რომ თავდაცვის სამინისტროს საარქივო მასალებში არ მოიპოვებოდა ნ. შ-იას ჩარიცხვა-ამორიცხვის ბრძანება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 16 მარტის გადაწყვეტილებით ნ. შ-იას სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის პირადი შემადგენლობის დეპარტამენტის 2007 წლის 5 თებერვლის 11282 წერილი და მოპასუხეს დაევალა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შედეგად ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა, რაც საქალაქო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

საქალაქო სასამართლოს მითითებით, საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის პირადი შემადგენლობის დეპარტამენტის 11282-01.02.2007 წერილი, რომლის თანახმად, შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობის დეპარტამენტის საარქივო მასალების არსებულ მონაცემებში არ მოიპოვება ნ. შ-იას შესახებ მონაცემები, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 2.1 მუხლის «დ» ქვეპუნქტის შესაბამისად, წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს.

საქალაქო სასამართლომ იხელმძღვანელა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96.1, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4 მუხლებით და საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებებზე დაყრდნობით დადასტურებულად მიიჩნია, რომ 24-ე ბრიგადის 247-ე საარტილერიო დივიზიონის რიგით ნ. შ-იას 1993 წლის დიაგნოზით დაუდგინდა ჭრილობები ორივე ფეხზე, თავის ქალის ტრავმის ნარჩენი მოვლენები, პოსტტრავმული ენცეფალოპათია მყარი ასთენო-დეპრესიული სინდრომი.

ამდენად, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევის გარეშე.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ და მოითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 16 მარტის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი მოტივით:

აპელანტმა მიიჩნია, რომ საქალაქო სასამართლომ გადაწყვეტილების გამოტანის დროს იხელმძღვანელა კანონით, რომლითაც არ უნდა ეხელმძღვანელა, არ იხელმძღვანელა კანონით, რომლითაც უნდა ეხელმძღვანელა.

აპელანტის მითითებით, ნ. შ-იას განცხადების შესაბამისად, შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ჯ-1 პირადი შემადგენლობის დეპარტამენტში ჩატარდა ადმინისტრაციული წარმოება, რომლითაც დადგინდა, რომ საარქივო მასალებში მის მიმართ არანაირი ინფორმაცია არ მოიპოვებოდა და გაიცა შესაბამისი პასუხი.

აპელანტის მითითებით, საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა თავდაცვის სამინისტროს მიერ წარდგენილი მტკიცებულება, კერძოდ, შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ჯ-1 პირადი შემადგენლობის დეპარტამენტის სოციალურ საკითხთა სამმართველოს უფროსის წერილი, რომლის თანახმად, ეჭვს იწვევდა თავდაცვის მინისტრის წარდგენილი 2001 წლის 15 თებერვლის 198 ბრძანების სინამდვილე, რადგან დეპარტამენტში არსებული 198 ბრძანება დათარიღებული იყო 5 თებერვლით და იგი შინაარსობრივად განსხვავდებოდა 15 თებერვლის ბრძანებისაგან.

აპელანტის მითითებით, საარქივო მასალების გადამოწმების შედეგად, არ აღმოჩნდა არც ერთი დოკუმენტი მოსარჩელის საომარ მოქმედებებში მონაწილეობის შესახებ. საქალაქო სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია, რომ არ ჩატარებულა ადმინისტრაციული წარმოება და დაინტერესებულ მხარეს არ მისცემია შესაძლებლობა მოსაზრებების წარსადგენად, რადგან საქალაქო სასამართლომ არ გაითვალისწინა საარქივო მასალების გადამოწმების რეალური შედეგები. ინფორმაციის არ არსებობა საარქივო მასალებში არ არის გამოწვეული მოპასუხის ბრალით, შესაბამისად, მოპასუხე ვერ გასცემს ჩარიცხვა-ამორიცხვის ბრძანებებს სათანადო დოკუმენტების არარსებობის გამო და ვერ აწარმოებს მოკვლევას.

თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ ცნო მოწინააღმდეგე მხარემ – ნ. შ-იამ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 27 თებერვლის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 16 მარტის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს, რაც სააპელაციო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, სასარჩელო განცხადებიდან და სასამართლო პროცესზე მოსარჩელის განმარტებიდან დგინდება, რომ იგი ითხოვდა არა მხოლოდ ადმინისტრაციული აქტის გამოცემას მისი საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობის შესახებ, არამედ, ვეტერანის სტატუსის მინიჭებასაც, რაზეც არ უმსჯელია საქალაქო სასამართლოს და საქმეში მხარედ არ მოუწვევია ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტი და ამ სასარჩელო მოთხოვნაზე სასამართლოს პოზიცია არ ასახულა სასამართლოს გადაწყვეტილებაში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ დარღვეულად მიიჩნია სსსკ-ის 249.3 249.5 მუხლები და მიუთითა, რომ სააპელაციო სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას შეაფასოს სასამართლოს დასკვნები, რაც სსსკ-ის 394-ე მუხლის «ე1» მუხლის შესაბამისად, გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველია.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, საქალაქო სასამართლომ ბათილად ცნო საქართველოს შეიარაღებული ძალების 2007 წლის 0102 11282 წერილი, მხარეს კი არსებითად უარი ეთქვა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 2007 წლის 5 თებერვლის 1638 წერილით, რომლის თაობაზეც საქალაქო სასამართლოს არ უმსჯელია.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ და მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 27 თებერვლის განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი მოტივით:

კასატორის მითითებით, სააპელაციო სასამართლომ საქმის განხილვისას იხელმძღვანელა კანონით, რომლითაც არ უნდა ეხელმძღვანელა და არ იხელმძღვანელა კანონით, რომლითაც უნდა ეხელმძღვანელა, გადაწყვეტილება დაუსაბუთებელი და არასრულია და მიღებულია საპროცესო ნორმების დარღვევით.

კასატორის მითითებით, სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ საქალაქო სასამართლოს განმწესრიგებელ სხდომაზე მოსარჩელემ დააკონკრეტა სასარჩელო მოთხოვნა და მოითხოვა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ გამოცემული 2007 წლის 01.02.2007 წლის 11282 წერილის ბათილად ცნობა, შესაბამისად, სასარჩელო მოთხოვნას არ წარმოადგენდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 2007 წლის 3 თებერვლის 1638 წერილის ბათილად ცნობა და ვეტერანის სტატუსის მინიჭება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორმა არასწორად მიიჩნია საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება იმ მოტივით, რომ სასამართლოს არ უმსჯელია სასარჩელო მოთხოვნაზე ვეტერანის სტატუსის მინიჭების შესახებ, რადგან აღნიშნული მოსარჩელეს არ მოუთხოვის და სსსკ-ის 248-ე მუხლიდან გამომდინარე, სასამართლო არ არის უფლებამოსილი გასცდეს სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებს.

გარდა აღნიშნულისა, კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლოს უნდა ემსჯელა აპელაციის მოტივებზე და უარი უნდა ეთქვა სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

კასატორის მითითებით, «საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ» კანონის მე-15 მუხლის მე-5 და მე-6 ნაწილებით სამინისტროს კომპეტენცია დგინდება კანონით ან კანონის საფუძველზე გამოცემული საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების საფუძველზე და

ახორციელებს მისი კომპეტენციის ფარგლებში შემავალ საქმიანობას. ამავე კანონის 18.2 მუხლით სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფის კომპეტენცია განისაზღვრება სამინისტროს დებულებით, რომელსაც ამტკიცებს მინისტრი. შესაბამისად, საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2006 წლის 25 აპრილის 1146 ბრძანებით დამტკიცდა საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ჯ-1 პირადი შემადგენლობის დეპარტამენტის დებულება.

კასატორის მოსაზრებით, შეიარაღებული ძალების დეპარტამენტის უარი გამოცემულია აღნიშნული დეპარტამენტის მიერ მისი კომპეტენციის ფარგლებში, კერძოდ, თავდაცვის მინისტრის 2006 წლის 25 აპრილის 1146 ბრძანების მე-6 მუხლის «ტ» პუნქტის შესაბამისად, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის, 97.1 მუხლის «ზ» ქვეპუნქტით გათვალისწინებული მტკიცებულებათა გამოკვლევის შედეგად.

საკასაციო სასამართლოს 2009 წლის 13 იანვრის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34.3 «გ» მუხლის საფუძველზე/პროცესუალური კასაცია.

მოწინააღმდეგე მხარეს წერილობითი შესაგებელი არ წარმოუდგენია.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობისა და საკასაციო საჩივრის მოტივების შემოწმების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 27 თებერვლის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული განჩინების გამოტანისას დაარღვია საპროცესო სამართლის ნორმები, კერძოდ, გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, არასწორად შეაფასა საქმის ფაქტობრივი გარემოებები, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის შესაბამისად, განჩინების გაუქმების საფუძველია.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას იმის თაობაზე, რომ საქალაქო სასამართლომ არ იმსჯელა რა მოსარჩელის მოთხოვნაზე ვეტერანის სტატუსის მინიჭების შესახებ, ასევე ბათილად ცნო საქართველოს შეიარაღებული ძალების 2007 წლის 11282 წერილი და არ უმსჯელია საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 2007 წლის 5 თებერვლის 1638 წერილზე, რომლითაც არსებითად ეთქვა უარი ნ. შ-ის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, აღნიშნული მოტივით სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმე სსსკ-ის 385-ე მუხლის შესაბამისად, ექვემდებარებოდა საქალაქო სასამართლოს მიერ ხელახლა განხილვას.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს ამგვარი დასკვნა არ გამომდინარეობს საქმის გარემოებებიდან, რადგან საქმის მასალების მიხედვით, საქალაქო სასამართლოს განმწესრიგებელი სხდომის ოქმის თანახმად, მოსარჩელემ დააზუსტა სასარჩელო მოთხოვნა და მოითხოვა ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობა და ახალი ადმინისტრაციული აქტის გამოცემა, ასევე, საქალაქო სასამართლოს მთავარ სხდომაზე მოსარჩელემ მოითხოვა ახალი ადმინისტრაციული აქტის გამოცემა, რითაც მიენიჭებოდა ვეტერანის სტატუსი. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების აღწერილობით ნაწილშიც მიეთითა, რომ მოსარჩელემ დააზუსტა სასარჩელო მოთხოვნა და მოითხოვა საქართველოს შეიარაღებული ძალების 2007 წლის 11282 წერილის ბათილად ცნობა და ჩარიცხვა-ამორიცხვის შესახებ ადმინისტრაციული აქტის გამოცემა. აღნიშნული გარემოებების შეფასების გარეშე სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქალაქო სასამართლოს არ უმსჯელია სრულად სასარჩელო მოთხოვნებზე.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საქმის გარემოებები არ ქმნიდა ამგვარი დასკვნის ერთმნიშვნელოვნად გაკეთების წინაპირობას, რადგან სასამართლოს სხდომის ოქმებში ასახულია მხარის პოზიცია, რაზეც სააპელაციო სასამართლოს არ უმსჯელია და არ შეუფასებია, მით უფრო, სსსკ-ის 377.1 მუხლის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლო საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერებას ამოწმებს სააპელაციო საჩივრის ფარგლებში, აღნიშნული საპროცესო დარღვევების თაობაზე კი სააპელაციო პრეტენზია წარდგენილი არ ყოფილა. თავად მოსარჩელე არ იზიარებდა თავდაცვის სამინისტროს არგუმენტებს საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების უკანონობის თაობაზე და სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე ითხოვდა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების უცვლელად დატოვებას.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ კონკრეტულ შემთხვევაში არსებობდა საქალაქო სასამართლოს მიერ საქმის ხელახლა განხილვის პროცესუალური წინაპირობა სსსკ-ის 385.1 მუხლის «ა» ქვეპუნქტის შესაბამისად, რადგან საქალაქო სასამართლოს მხრიდან ადგილი ჰქონდა სსსკ-ის 394-ე მუხლის «ე» პუნქტის დარღვევას – საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების დასაბუთება იყო იმდენად არასრული, რომ შეუძლებელი იყო მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება, რასაც საკასაციო სასამართლო ვერ დაეთანხმება, რადგან საქალაქო სასამართლომ გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ მოსარჩელის მიერ დაზუსტე-

ბული იყო სასარჩელო მოთხოვნა და ამგვარ ვითარებაში იმსჯელა მოსარჩელის მოთხოვნაზე – საომარ მოქმედებებში მონაწილეობის შესახებ ადმინისტრაციული აქტის გამოცემის თაობაზე.

გარდა აღნიშნულისა, სააპელაციო სასამართლოს არ დაუსაბუთებია არსებობდა თუ არა კონკრეტულ შემთხვევაში სსსკ-ის 385.2 მუხლით გათვალისწინებული წინაპირობა სააპელაციო სასამართლოს თავად განიხილა საქმე არსებითად და მიეღო გადაწყვეტილება საქალაქო სასამართლოში საქმის დაბრუნების გარეშე.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს იმ პირობებში, თუ მიიჩნევდა, რომ საქალაქო სასამართლოს მიერ ნამსჯელი არ იყო სასარჩელო მოთხოვნებზე და საქმე განხილული იყო მითითებული საპროცესო დარღვევებით, თავად შეეძლო სასარჩელო მოთხოვნის დაზუსტების შედეგად ემსჯელა მოსარჩელის მოთხოვნებზე, ამასთან, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ უნდა შეაფასოს, კონკრეტულ შემთხვევაში არსებობდა თუ არა ორი დამოუკიდებელი მოთხოვნა – 1992-1993 წლებში საქართველოს მთლიანობისათვის ბრძოლაში მონაწილეობის შესახებ ადმინისტრაციული აქტის გამოცემა და ვეტერანის სტატუსის მინიჭება, რადგან აღნიშნული არც საქმის მასალებით და არც სასარჩელო განცხადებით არ დასტურდება, ამასთან, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ვეტერანის სტატუსის მინიჭება წარმოადგენს სარჩელის მიზანს, რადგან სოციალური გარანტიის მისაღებად – ვეტერანის პენსიის დასაწინიშნად პირს მინიჭებული უნდა ჰქონდეს ვეტერანის სტატუსი, რაზეც უარი ეთქვა ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტის მიერ იმ მოტივით, რომ სტატუსის მისანიჭებლად მოსარჩელეს უნდა წარედგინა თავდაცვის სამინისტროს მიერ გაცემული ე.წ «ყვითელი ცნობა» საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობის შესახებ. ამდენად, მოსარჩელე სწორედ ვეტერანის სტატუსის მინიჭების მიზნით ითხოვდა საომარ მოქმედებებში მონაწილეობის შესახებ შესაბამისი ცნობის გაცემას. ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ აღნიშნული მოთხოვნები ურთიერთდაკავშირებულია, მაგრამ იმ პირობებში, თუ სააპელაციო სასამართლო მიიჩნევდა, რომ მოსარჩელის მოთხოვნა იყო ვეტერანის სტატუსის მინიჭება, თავად შეეძლო ემსჯელა აღნიშნულის თაობაზე და საქმეში მოეწვია ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტი.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ სსსკ-ის 385.2 მუხლის შესაბამისად, თავად უნდა განიხილოს საქმე, იმსჯელოს ზემოთ მითითებულ გარემოებებზე და სათანადო სამართლებრივი შეფასება მისცეს მათ საქმეზე ობიექტური და კანონიერი გადაწყვეტილების დასადგენად.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2 მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე, 390-ე 399-ე, 408.3, 412-ე მუხლებით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 27 თებერვლის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### **გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის უკან დაბრუნება ხელახლა განსახილველად**

#### **განჩინება**

18ს-1206-1168(კ-08)

12 მარტი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. ქადაგიძე,  
მ. ცისკაძე

**დავის საგანი:** ადმინისტრაციული აქტების ბათილად ცნობა

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

2006 წლის 17 მაისს ა. გ-ორმა, ი. ხ-ვამ, მ. გ-ვილმა, ლ. ც-ძემ, ე. გ-ვმა, გ. გ-ძემ, ჯ. კ-ანმა, დ. კ-ძემ სარჩელით მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს, მოპასუხე ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის მიმართ და ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2005 წლის 17 ოქტომბრის 120/57 ბრძანების ბათილად ცნობა და ქ. თბილისში, ... ქ. 15-ში დაწყებული მშენებლობის შეჩერება მოითხოვეს.



მოსარჩელებმა აღნიშნეს, რომ ისინი იყვნენ ქ. თბილისში, ...-ის ქუჩის მცხოვრებნი. მათი საცხოვრებელი სახლები ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საბინაო მეურნეობის სამმართველოსთან არსებული შენობების ავარიულობის ხარისხისა და მისი დაშლა-აღდგენის მიზანშეწონილობის დამდგენი კომისიის 1999 და 2002 წლების დასკვნების საფუძველზე, ცნობილი იყო მწვავე ავარიულად, აღდგენა-გამაგრების მიზანშეწონილობით და რეკომენდირებული იყო მათი დროული დანგრევა. ქ. თბილისში მომხდარმა მიწისძვრებმა მდგომარეობა უფრო გააუარესა და ხსენებული სახლები რეალური ჩამოქცევის საფრთხის წინაშე იყო. აღნიშნული სახლების მომიჯნავედ დაიწყო მშენებლობა, რომლის დამკვეთი უცნობი იყო. აღნიშნულის თაობაზე მოსარჩელებმა მიმართეს ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფროსს. ამასთან, საჩივარი შეიტანეს ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურში, მაგრამ უშედეგოდ. მოგვიანებით, ელექტროდენის ბოძზე გაკრული აბრის მეშვეობით მოსარჩელეთათვის ცნობილი გახდა, რომ მშენებლობის დამკვეთი იყო ი. ხ-ძე, ხოლო მშენებლობის ნებართვა გაიცა ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის მიერ.

მოსარჩელებმა სადავო აქტი უკანონოდ მიიჩნიეს და აღნიშნეს, რომ იგი ეწინააღმდეგებოდა კანონს და არსებითად დარღვეული იყო მისი მომზადებისა და გამოცემის კანონით დადგენილი წესი, რაც ხსენებული აქტის ბათილად ცნობის საფუძველს წარმოადგენდა.

საქალაქო სასამართლოს სხდომაზე მოსარჩელებმა დააზუსტეს სასარჩელო მოთხოვნების ოდენობა და მოითხოვეს ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2005 წლის 9 დეკემბრის 120/739 ბრძანების, 2005 წლის 21 სექტემბრის არქიტექტურულ-გეგმარებითი 16-96 დავალების, 2007 წლის 25 იანვრის 15/38 ნებართვისა და 2006 წლის 8 ივნისის 189 ბრძანების ბათილად ცნობა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 19 ივნისის განჩინებით საქმეში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ მესამე პირად ი. ხ-ძე ჩაება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 19 ივნისის განჩინებით საქმეში მესამე პირად ჩაება ი. ხ-ძე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ სადავო აქტები გამოცემული იყო კანონმდებლობის სრული დაცვით და არ არსებობდა მათი გაუქმების კანონიერი საფუძველი. აქვე სასამართლომ მიუთითა, რომ მოპასუხის მიერ დაწყებული იყო ადმინისტრაციული წარმოება, ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის მიერ გამოცემული აღმჭურველი ადმინისტრაციული აქტების გადახედვის მიზნით და მიუხედავად იმისა, რომ შეთანხმებულ პროექტს თან ახლდა დადებითი დასკვნა, მოპასუხე მხარემ გაითვალისწინა მოსარჩელე მხარის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ მუშაობის პროცესში მძიმე ტექნიკას შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოეხდინა საცხოვრებელი სახლების მდგომარეობაზე და მიიღო 1389 ბრძანება, რომლითაც დამკვეთს დაევალა, მშენებლობის განხორციელებისას სამშენებლო ტვირთების გადაადგილება ხუთ ტონამდე ავტომანქანებით, ხუთი კილომეტრი სიჩქარით. ამასთან, სასამართლომ მიუთითა შპს «ტრანსპორტის» 2006 წლის 31 მაისის 124/06 დასკვნაზე, რომელშიც მითითებული იყო სადავო ტერიტორიაზე მშენებლობის მიმდინარეობის შესაძლებლობის შესახებ.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრეს ა. გ-ორმა, ი. ხ-ვამ, მ. გ-შილიმა, ლ. ც-ძემ, ე. გ-ვამ, ჯ. კ-ანმა და დ. კ-ძემ, რომლებმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 22 ივნისის განჩინებით ა. გ-ორის, ი. ხ-ვას, მ. გ-შილის, ლ. ც-ძის, ე. გ-ვას, ჯ. კ-ანისა და დ. კ-ძის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო საჩივრით გაასაჩივრა ი. ხ-ძემ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორი აღნიშნავდა, რომ სარჩელი იყო დაუშვებელი, ვინაიდან გასაჩივრებული ადმინისტრაციული აქტები არ აყენებდა უშუალო და პირდაპირ ზიანს მოსარჩელებს და არ ზღუდავდა მათ კანონიერ უფლებებსა და ინტერესს.

სადავო ადმინისტრაციული აქტები ეყრდნობოდა მრავალრიცხოვან, კანონით გათვალისწინებულ უდავო და საკმარის მტკიცებულებებს იმის დასადასტურებლად, რომ ამ სადავო აქტების საფუძველზე წარმოებული მშენებლობა ზიანს არ აყენებდა მოსარჩელებს.

კასატორის აღნიშვნით, სასამართლომ არ იმსჯელა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებებსა და მტკიცებულებებზე, ყოველმხრივ სრულად და ობიექტურად არ განიხილა ეს მტკიცებულებები, არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა. ასევე არ იმსჯელა მოსარჩელების ახსნა-განმარტებაზე

პირდაპირი და უშუალო ზიანის არარსებობის შესახებ, რითაც დაარღვია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4, მე-5 მუხლების, 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 244-ე, 249-ე მუხლის მე-4 ნაწილის, 377-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 394-ე მუხლის «ე» ქვეპუნქტის მოთხოვნები.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 26 დეკემბრის განჩინებით ი. ხ-ძის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 22 ივნისის განჩინება და საქმე განსახილველად იმავე სასამართლოს დაუბრუნდა.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლო არ იყო უფლებამოსილი, შემოფარგლულიყო მხოლოდ ზოგადი მითითებით იმის თაობაზე, რომ გადაწყვეტილება დაუსაბუთებელი იყო. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ იმ შემთხვევაში, თუ სააპელაციო სასამართლო ამ მოტივით აუქმებდა გადაწყვეტილებას და საქმეს უკან აბრუნებდა ხელახალი განხილვისათვის, მას განჩინებაში მკვეთრად უნდა მიეთითებინა, საქმისათვის მნიშვნელობის მქონე რომელი გარემოებები საჭიროებდა გამოკვლევას, რომელი მტკიცებულებები უნდა ყოფილიყო შეგროვებული, შემოწმებული, შეფასებული და რომელი კონკრეტული საპროცესო მოქმედება უნდა შეესრულებინა საქმის ხელახლა განმხილველ სასამართლოს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 26 დეკემბრის განჩინებით ი. ხ-ძის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა – გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 22 ივნისის განჩინება და საქმე განსახილველად იმავე სასამართლოს დაუბრუნდა.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლო არ იყო უფლებამოსილი, შემოფარგლულიყო მხოლოდ ზოგადი მითითებით იმის თაობაზე, რომ გადაწყვეტილება დაუსაბუთებელი იყო. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ იმ შემთხვევაში, თუ სააპელაციო სასამართლო ამ მოტივით აუქმებდა გადაწყვეტილებას და საქმეს უკან აბრუნებდა ხელახალი განხილვისათვის, მას განჩინებაში მკვეთრად უნდა მიეთითებინა, საქმისათვის მნიშვნელობის მქონე რომელი გარემოებები საჭიროებდნენ გამოკვლევას, რომელი მტკიცებულებები უნდა ყოფილიყო შეგროვებული, შემოწმებული და შეფასებული, რომელი კონკრეტული საპროცესო მოქმედება უნდა შეესრულებინა საქმის ხელახლა განმხილველ სასამართლომ.

საკასაციო სასამართლომ ასევე მიუთითა იმ გარემოებაზეც, რომ დავის საგანს წარმოადგენდა ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის მიერ მშენებლობის მიზნით გაცემული ნებართვების ბათილად ცნობა. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქმეში დაცული იყო ყველა შესაბამისი მტკიცებულება, კერძოდ, საექსპერტო დასკვნა, დასკვნა საინჟინრო გეოლოგიური კვლევის შედეგების შესახებ, ქალაქგეგმარებითი სამსახურის დასკვნა და ა.შ., რაც სააპელაციო სასამართლოს აძლევდა შესაძლებლობას, საქმეზე თვითონ მიეღო არსებითი გადაწყვეტილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 3 ივნისის განჩინებით ა. გ-რის, ლ. ც-ძის, მ. გ-შვილის, ე. გ-ვას, ი. ხ-ვას, ჯ. ქ-ლისა და დ. კ-ძის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

აღნიშნული გადაწყვეტილება ი. ხ-ძემ საკასაციო წესით გაასაჩივრა. კასატორმა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორი მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლომ უგულვებლყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 26 დეკემბრის განჩინების სავალდებულო სამართლებრივი შეფასებები, რითაც დაარღვია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

კასატორის განმარტებით, პროცესის ეკონომიურობის, ეფექტიანი და სწრაფი მართლმსაჯულების პრინციპიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს თვითონ უნდა მიეღო გადაწყვეტილება, რაც სააპელაციო სასამართლომ უკვე მეორედ არ გააკეთა, მით უფრო, საკასაციო სასამართლოს განჩინებიდან გამომდინარე, აღნიშნულის ყველა წინაპირობა არსებობდა. ამასთან, საქმის განხილვა მიმდინარეობდა 2 წელზე მეტი, სააპელაციო სასამართლომ საქალაქო სასამართლოში საქმის უკან დაბრუნებით კი იმავე ვადით გადადო საბოლოო გადაწყვეტილების მიღება, რაც, კასატორის მოსაზრებით, ეწინააღმდეგებოდა სამართლიანი სასამართლოს უფლებას, კერძოდ, საქმის გონივრულ ვადებში განხილვის პრინციპს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 31 ოქტომბრის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული ი. ხ-ძის საკასაციო საჩივარი; მხარეებს მიეცათ უფლება, 2008 წლის 31 ოქტომბრის განჩინების ჩაბარებიდან 14 დღის ვადაში წარმოედგინათ მოსაზრება, თუ რამდენად იყო დასაშვები განსახილველად საკასაციო საჩივარი საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით; საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დასაშვებობის შემოწმება განისაზღვრა 2008 წლის 25 დეკემბრამდე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 25 დეკემბრის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ა» ქვეპუნქტის შესაბამისად, ი. ხ-მის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნეს დასაშვებად და მისი განხილვა დაინიშნა 2009 წლის 12 მარტს, მხარეთა დასწრების გარეშე.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობა, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. ამავე კოდექსის 385-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს უბრუნებს პირველი ინსტანციის სასამართლოს ხელახლა განსახილველად, თუ: ა) ადგილი აქვს 394-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებს; ბ) გასაჩივრებული სასამართლო გადაწყვეტილებით არასწორად ეთქვა უარი დაუსწრებელი გადაწყვეტილების თაობაზე შეტანილი საჩივრის დაშვებაზე; გ) გასაჩივრებული გადაწყვეტილება შეეხება მხოლოდ სარჩელის დასაშვებობას; დ) გასაჩივრებული გადაწყვეტილება არასწორად გამოტანილი განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილებაა. ხსენებული მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს შეუძლია არ გადააგზავნოს საქმე უკან და თვითონ გადაწყვიტოს იგი.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სააპელაციო სასამართლო გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერებასა და დასაბუთებულობას ამოწმებს, როგორც ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი თვალსაზრისით, ანუ საქმეს განიხილავს, როგორც ფაქტობრივი გარემოებების დადგენის, ისე მათი სამართლებრივი შეფასების კუთხით. საამისოდ კი სააპელაციო სასამართლოს გააჩნია ყველა ის საპროცესო მექანიზმი, რაც აუცილებელია პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების ყოველმხრივი შემოწმებისა და საქმის სრულყოფილი, კომპლექსური განხილვისათვის. მართალია, სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილია, საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნოს პირველი ინსტანციის სასამართლოს, თუმცა მას ასევე შეუძლია არ გადააგზავნოს საქმე უკან და თვითონ გადაწყვიტოს იგი, ანუ არსებითად განიხილოს საქმე და მიიღოს მასზე გადაწყვეტილება. სააპელაციო სასამართლოს უფლებამოსილება, პირველი ინსტანციის სასამართლოსთვის საქმის დაბრუნების გარეშე, თვითონ, გადაწყვიტოს საქმე, ემყარება საპროცესო ეკონომიის პრინციპს. სააპელაციო სასამართლო იმ შემთხვევაშია უფლებამოსილი, დაუბრუნოს საქმე პირველი ინსტანციის სასამართლოს ხელახლა განსახილველად, თუ მას არ შეუძლია სრულყოფილად გამოიკვლიოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები ან როდესაც გასაჩივრებული გადაწყვეტილება იმდენად დაუსაბუთებელია, რომ სააპელაციო სასამართლო ვერ შეამოწმებს მას ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით, ანუ ობიექტურად უნდა არსებობდეს სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოსათვის უკან გადაგზავნის სამართლებრივი საფუძველი.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ა. გ-ორმა, ი. ხ-ვამ, მ. გ-შვილმა, ლ. ც-ძემ, ე. გ-ვამ, გ. გ-ძემ, ჯ. კ-ანმა, დ. კ-ძემ სასარჩელო განცხადებით ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2005 წლის 17 ოქტომბრის 120/57 ბრძანების ბათილად ცნობა და ქ. თბილისში, ... ქ. 15-ში დაწყებული მშენებლობის შეჩერება მოითხოვეს. შესაბამისად, სარჩელის საგანს წარმოადგენდა ადმინისტრაციული აქტების ბათილად ცნობა.

საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 26 დეკემბრის განჩინებით გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 22 ივნისის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ დავის საგანს წარმოადგენდა თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის მიერ მშენებლობის მიზნით გაცემული ნებართვების ბათილად ცნობა. როგორც საქმის მასალების ანალიზი ცხადყოფდა, საქმეში დაცული იყო ყველა შესაბამისი მტკიცებულება, კერძოდ, საქესპერტო დასკვნა, დასკვნა საინჟინრო გეოლოგიური კვლევის შედეგების შესახებ, ქალაქგეგმარებითი სამსახურის დასკვნა და ა.შ., რაც სააპელაციო სასამართლოს აძლევდა შესაძლებლობას, საქმეზე თვითონ მიეღო არსებითი გადაწყვეტილება. აქედან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნია, რომ საქმის ხელახალი განხილვისას სასამართლოს უნდა ემსჯელა წარმოდგენილ მტკიცებულებებზე და მიეღო არსებითი გადაწყვეტილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლო საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოში დაბრუნების ერთადერთ საფუძვლად მიუთითა შემდეგ გარემოებაზე, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტი-

ლების მიღებისას არ გაურკვევია, სადავო აქტის მიღებისას დაცული იყო თუ არა კანონმდებლობით მისი გამოცემისათვის დადგენილი პირობები. ასევე, არ გაურკვევია, მოპასუხის მიერ დაცული იყო თუ არა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი ადმინისტრაციული წარმოების წესი, მოწვეული იყვნენ და მონაწილეობდნენ თუ არა მოსარჩელები, როგორც დაინტერესებული პირები, ადმინისტრაციულ წარმოებაში და ხომ არ იქნა დარღვეული საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლით განსაზღვრული ვალდებულება. ამდენად, პირველი ინსტანციის სასამართლომ მიზანშეწონილად არ მიიჩნია, საქმის ხელახლა განხილვისთვის დაბრუნების გარეშე თვითონ მიეღო გადაწყვეტილება.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 26 დეკემბრის განჩინებით საკასაციო სასამართლომ მიუთითა სააპელაციო სასამართლოს, რომ საქმეში იყო ყველა მტკიცებულება, რაც სააპელაციო სასამართლოს მისცემდა შესაძლებლობას, განეხილა მოცემული საქმე და მიეღო გადაწყვეტილება, სააპელაციო სასამართლომ კი ამის ნაცვლად 2008 წლის 3 ივნისის განჩინებით გააუქმა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნა იმავე სასამართლოს.

ზემოაღნიშნული გარემოებები და გასაჩივრებული განჩინების მოტივაცია საკასაციო სასამართლოს აძლევს საფუძველს, გააუქმოს გასაჩივრებული განჩინება და საქმე განსახილველად დაუბრუნოს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 412-ე მუხლით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ი. ხ-მის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 3 ივნისის განჩინება და საქმე განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. მხარეთათვის სახელმწიფო ბაჟის დაკისრების საკითხი გადაწყდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას;
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

#### **სააპელაციო სასამართლოს უფლებამოსილების ფარგლები**

#### **განჩინება**

18ს-1110-1072(კ-08)

1 აპრილი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ცისკაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ნ. სხირტლაძე,

პ. სილაგაძე

**დავის საგანი:** ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ნაწილობრივ ბათილად ცნობა

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

ა. ტ-იევმა 2007 წლის ოქტომბერში სარჩელი აღძრა გარდაბნის რაიონულ სასამართლოში მოპასუხე გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიმართ და მოთხოვა გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 6 სექტემბრის 1107 განკარგულების მე-2 ნაწილის ბათილად ცნობა და საიჯარო ხელშეკრულების აღდგენა.

გარდაბნის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 16 ნოემბრის გადაწყვეტილებით ა. ტ-იევის სარჩელი მოპასუხე გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიმართ მესამე პირი-საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 6 სექტემბრის 1107 განკარგულების მე-2 ნაწილის ბათილად ცნობის თაობაზე დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 6 სექტემბრის 1107 განკარგულების მე-2 ნაწილი და აღნიშნულ ნაწილში გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დაევალა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით

დადგენილი პროცედურებით და ვადებით განიხილოს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს განცხადება საიჯარო ხელშეკრულების გაუქმების შესახებ, რის შემდეგაც გამოსცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება ეფუძნება შემდეგ მოტივებს:

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ გარდაბნის რაიონის გამგეობის 2005 წლის 5 აგვისტოს 1131 დადგენილებით მოსარჩელეს გარდაბნის რაიონის ტერიტორიიდან იჯარით გამოეყო 500 ჰა სასოფლო-სამეურნეო მიწა, რის საფუძველზეც 2005 წლის 28 ნოემბერს გარდაბნის რაიონის გამგეობასა და ა. ტ-იევს შორის გაფორმდა სასოფლო სამეურნეო მიწის იჯარის ხელშეკრულება 30 წლის ვადით 500 ჰა მიწაზე. სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ ადმინისტრაციული წარმოების დაწყების საფუძველი გახდა საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2007 წლის 5 ივლისის 11/334 წერილი, რომლითაც მინისტრი ზოგადად ითხოვს გაუქმდეს დაბა ...-ში სამხედრო აეროდრომისა და სასწავლო პოლიგონის ტერიტორიაზე ადრე გაფორმებული საიჯარო ხელშეკრულებები და შემდგომში თავდაცვის სამინისტროსთან შეუთანხმებლად არ მოხდეს თავდაცვის სამინისტროს მიწების განკარგვა. აღნიშნული წერილი ადმინისტრაციული წარმოების დაწყების საფუძველი გახდა. სასამართლომ მიიჩნია, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ მოსარჩელე არ მიიწვია ადმინისტრაციულ წარმოებაში, რითაც დაარღვია ადმინისტრაციული წარმოების პროცედურები. სასამართლომ იქვე მიუთითა, რომ ამ წერილში არ არის მითითებული დანართის შესახებ.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 8 მაისის გადაწყვეტილებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გარდაბნის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 16 ნოემბრის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; ა. ტ-იევს სასარჩელო განცხადება დაკმაყოფილდა ნაწილობრივ – სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 6 სექტემბრის 1107 განკარგულების მე-2 პუნქტი და გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დაევალა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ სადავო ნაწილში ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

სააპელაციო პალატამ გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილად მიიჩნია, რომ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2007 წლის 5 ივლისის 11/334 წერილის თანახმად, დაბა ...-ში მდებარე სამხედრო აეროდრომისა და სასწავლო პოლიგონს შორის, რომელიც ბოლო წლებში სამხედრო თვალსაზრისით მინიმალურად იყო დატვირთული, მიენიჭა მნიშვნელოვანი სამხედრო სტრატეგიული როლი. პირადი შემადგენლობის მომზადებისა და სწავლების პროცესის ორგანიზებას კი დიდ პრობლემას უქმნის ის გარემოება, რომ სამხედრო აეროდრომისა და სასწავლო პოლიგონის მნიშვნელოვანი ნაწილი იჯარით გაცემული აღმოჩნდა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით. მოცემული წერილით სახელმწიფოებრივი და სამხედრო-სტრატეგიული ინტერესებიდან გამომდინარე საქართველოს თავდაცვის მინისტრი ითხოვდა დაბა ...-ში სამხედრო აეროდრომისა და სასწავლო პოლიგონის ტერიტორიებზე ადრე გაფორმებული სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარის ხელშეკრულების გაუქმებას და შემდგომში თავდაცვის სამინისტროსთან შეუთანხმებლად მიწების განკარგვას. ამავე განკარგულებით დგინდება, რომ არსებული საგეგმო-კარტოგრაფიული მასალებისა და სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარის ხელშეკრულების შესწავლის საფუძველზე დადგენილი იქნა ...-ის სამხედრო აეროდრომისა და სასწავლო პოლიგონის ტერიტორიებიდან იჯარით გაცემული სასოფლო-სამეურნეო მიწის მდგომარეობა. ამავე განკარგულების მე-2 პუნქტით ბათილად იქნა ცნობილი გარდაბნის რაიონის გამგეობის 2005 წლის 5 აგვისტოს 1131 დადგენილების პირველი პუნქტი, 1.37 ქვეპუნქტი და მის საფუძველზე ა. ტ-იევთან 2006 წლის 20 სექტემბერს დადებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის იჯარის ხელშეკრულება. სააპელაციო პალატამ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის მოადგილის 2007 წლის 3 იანვრის 1108/2 წერილით ეცნობა გარდაბნის რაიონის არქიტექტურისა და ქალაქმშენებლობის სამსახურის მთავარ არქიტექტორს 2006 წლის 24 ნოემბრის 1186 წერილზე აღთაკლიის საკრებულოში «...» ტერიტორიაზე მოქ. ა. ტ-იევს ფერმის განთავსებასთან დაკავშირებით, რომ ვინაიდან აღნიშნული ტერიტორია არ წარმოადგენდა თავდაცვის სამინისტროს მფლობელობას, მისი განკარგვა მთლიანად გარდაბნის რაიონის მმართველობის ადგილობრივი ორგანოების პრეროგატივა იყო. გარდაბნის რაიონის არქიტექტურისა და ქალაქმშენებლობის სამსახურის 2006 წლის 24 ნოემბრის 1186 წერილით კი დადგინდა, რომ ა. ტ-იევი ფერმის განთავსებას ითხოვდა და სიტუაციური გეგმა შეთანხმებული იყო ა. ტ-იევს საიჯარო მიწის ფართობზე, რომელიც მდებარეობდა გარდაბნის რაიონში აღთაკლიის საკრებულოში, ანუ იმ ტერიტორიაზე, რომელზეც ა. ტ-იევს გაფორმებული ჰქონდა საიჯარო ხელშეკრულება. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ სხვა რაიმე ხელშეკრულება ა. ტ-იევს მიერ მიწის იჯარით ფლობის ფაქტთან დაკავშირებით მხარეთა მიერ წარმოდგენილი არ ყოფილა. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, მითითებული მტკიცებულებები ურთიერთგამომრიცხავია, რაც საჭიროებს

მის ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ შესწავლას სადავო აქტის გამომცემი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს და დაინტერესებული პირის ა. ტ-იევის მონაწილეობით.

სააპელაციო პალატამ ვერ გაიზიარა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოსაზრება იმის შესახებ, რომ სასამართლოს თვითონ უნდა დაედგინა საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებები და სრულად გამოეკვლია მტკიცებულებები; სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, სადავო შემთხვევა წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს კანონით მინიჭებულ დისკრეციულ უფლებამოსილებას, შესაბამისად თავად გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულო ვალდებული მისთვის მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილება განახორცილოს კანონით დადგენილ ფარგლებში, საქმისათვის მნიშვნელოვან მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, შესაბამისი სამსახურებისა და სპეციალისტების მონაწილეობით. სააპელაციო პალატამ ასევე ვერ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება, რომ მხარეს სადავოდ არ გაუხდია საკრებულოს 2007 წლის 6 სექტემბრის სხდომის ოქმი <sup>116</sup>. პალატის მოსაზრებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლით რეგლამენტირებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს წარმოადგენს გასაჩივრებული გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 6 სექტემბრის <sup>1107</sup> განკარგულება და არა საკრებულოს სხდომის ოქმი და მიუთითა «ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ» საქართველოს კანონის 43-ე მუხლის მე-3 პუნქტზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა რა, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლით, შეამოწმა გასაჩივრებული გადაწყვეტილება, ჩათვალა, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი არ არის საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის მოთხოვნათა გათვალისწინებით ჩამოყალიბებული, რის გამოც სააპელაციო პალატამ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 393-ე მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით გააუქმა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და ამავე კოდექსის 386-ე მუხლის შესაბამისად მიიღო ახალი გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ და მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

კასატორის აზრით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად გამოიყენა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილი, კასატორი თვლის, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ გადაწყვეტილება მიიღო არა იმის გამო, რომ დაადგინა, აქტი გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, არამედ იმის გამო, რომ მისი მიღება მომხდარია აქტის მომზადებისათვის დადგენილი პროცედურული წესების დარღვევით, რაც, კასატორის მითითებით, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენების საფუძველს არ წარმოადგენს.

კასატორი მიუთითებს, რომ თვით სააპელაციო სასამართლომ არ გამოიკვლია საქმეში არსებული მტკიცებულებანი, კერძოდ, გასაჩივრებული განკარგულების დანართი, რომელიც შედგენილია გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობის შესაბამისი სამსახურის სპეციალისტის მიერ, რადგან, მისი აზრით, დასახელებული დანართი უდავოდ ადასტურებს, რომ განკარგულება ა. ტ-იევის ნაწილში მიღებულია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევის შემდეგ. ამასთან სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ ა. ტ-იევის მიერ არ გასაჩივრებულა განკარგულება დანართის ნაწილში, რაც სააპელაციო სასამართლოს ართმევდა პროცესუალურ შესაძლებლობას ემსჯელა გასაჩივრებული განკარგულების დაუსაბუთებლობისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლთან შეუსაბამობაზე.

კასატორი მიიჩნევს, რომ საქმეში მტკიცებულების სახით წარდგენილია საკრებულოს სხდომის ოქმი, რომელიც მოსარჩელის მიერ არ არის გასაჩივრებული, რის გამოც სააპელაციო სასამართლოს ამ ოქმით დადგენილი გარემოებანი უტყუარი მტკიცებულების სახით უნდა მიეღო.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატა საქმის მასალების განხილვის, საკასაციო საჩივრის შემოწმების, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის შედეგად თვლის, რომ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, მოცემულ საქმეზე უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 8 მაისის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ გარდაბნის რაიონის გამგეობის 2005 წლის 5 აგვისტოს <sup>1131</sup> დადგენილებით მოსარჩელეს გარდაბნის რაიონის ტერიტორიიდან იჯარით გამოეყო 500 ჰა სასოფლო-სამეურნეო მიწა, რის საფუძველზეც გარდაბნის რაიონის გამგეობასა და ა. ტ-იევის შორის 2005 წლის 28 ნოემბერს გაფორმდა სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარის ხელშეკრულება 30 წლის ვადით 500 ჰა მიწის ნაკვეთზე. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 2007 წლის 5 ივლისის <sup>11/334</sup> წერილით საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულს ქვემო ქართლში ეცნობა, რომ დაბა ...-ში მდებარე სამხედრო აეროდრომსა და სასწავლო პოლიგონს შორის, რომელიც ბოლო წლებში სამხედრო თვალსაზრისით მინიმალურად იყო დატვირთული, მიენიჭა მნიშვნელოვანი სამხედრო სტრატეგიული როლი. პირადი შემადგენლობის

მომზადებისა და სწავლების პროცესის ორგანიზებას კი დიდ პრობლემებს უქმნის ის გარემოება, რომ სამხედრო აეროდრომისა და სასწავლო პოლიგონის მნიშვნელოვანი ნაწილი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით იჯარით გაცემული აღმოჩნდა. იმავე წერილში მითითებულია, სახელმწიფოებრივი და სამხედრო-სტრატეგიული სამხედრო ინტერესებიდან გამომდინარე შესაბამის სამსახურებმა უნდა გააუქმონ დაბა ...-ში სამხედრო აეროდრომისა და სასწავლო პოლიგონის ტერიტორიებზე ადრე გაფორმებული მიწის იჯარის ხელშეკრულებები და შემდგომში თავდაცვის სამინისტროსთან შეუთანხმებლად არ განხორციელებულიყო მიწების განკარგვა.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ «საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ვაზიანის სამხედრო აეროდრომისა და სასწავლო პოლიგონის ტერიტორიებიდან იჯარით გაცემულ სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთებზე საიჯარო ხელშეკრულებების გაუქმების შესახებ» გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 6 სექტემბრის 107 განკარგულებით არსებული საგემო-კარტოგრაფიული მასალებისა და სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარის ხელშეკრულების შესწავლის საფუძველზე დადგენილი იქნა ...-ის სამხედრო აეროდრომისა და სასწავლო პოლიგონის ტერიტორიებიდან იჯარით გაცემული სასოფლო-სამეურნეო მიწების მდგომარეობა (დანართი 11). ამავე განკარგულების მე-2 პუნქტით კი ბათილად იქნა ცნობილი გარდაბნის რაიონის გამგეობის 2005 წლის 5 აგვისტოს 131 დადგენილების პირველი პუნქტის 1.37 ქვეპუნქტი და მის საფუძველზე ა. ტ-იევთან 2006 წლის 20 სექტემბერს დადებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის იჯარის ხელშეკრულება. საქმეში წარმოდგენილია გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის სასოფლო-სამეურნეო მიწის საკითხებში სპეციალისტის მიერ შედგენილი, საქართველოს თავდაცვის მინისტრის წერილით (11/334, 05.07. 2007წ) მიღებული რუკის მიხედვით დაბა ...-ში სამხედრო აეროდრომისა და სასწავლო პოლიგონის ტერიტორიებიდან (დიდი ნაწილი-ყოფილი აღთაკლის ბალანსზე რიცხული) იჯარით გაცემული სასოფლო-სამეურნეო მიწების შესახებ, დანართი 11; ამ დანართის მე-2 პუნქტში მითითებულია ა. ტ-იევის, მცხ. სოფ. ..., იჯარით გაცემული 500 ჰა – ყოფილი აღთაკლის საკრებულოს ბალანსზე რიცხული (სასწავლო პოლიგონის) მიწის ნაკვეთის თაობაზე. საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილზე, რომლის თანახმად, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, იგი უფლებამოსილია, სადავო საკითხის გადაწყვეტლად, ბათილად ცნოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და დაავალოს ადმინისტრაციულ ორგანოს, ამ გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი. სასამართლო ამ გადაწყვეტილებას იღებს, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისათვის არსებობს მხარის გადაუდებელი კანონიერი ინტერესი.

საკასაციო პალატა თვლის, რომ მოცემული დავის გადასაწყვეტად სააპელაციო პალატას არ უნდა გამოეყენებინა ზემოაღნიშნული ნორმა, რადგან სასამართლომ არ დაასაბუთა რატომ იყო შეუძლებელი, თვითონ გამოეკვლია საქმის გარემოებები და სადავო საკითხის არსებითად გადაწყვეტით, საქმეზე დასაბუთებული გადაწყვეტილება მიეღო. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ არ იმსჯელა მოპასუხის მოტივებზე იმის შესახებ, გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისათვის საკმარისი იყო თუ არა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევის მოცულობა სადავო მიწის «სამხედრო სტატუსის», ასევე იჯარის ხელშეკრულების საგნის მიმართ სამხედრო სტრატეგიული ინტერესის გათვალისწინებით.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს, პირველ ყოვლისა, თვითონ უნდა დაედგინა შესაბამისი ფაქტობრივი გარემოებები, გამოეკვლია საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები, საჭიროების შემთხვევაში თვითონ უნდა დაეკითხა სპეციალისტები. საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლით განმტკიცებულ ინკვიზიციურობის პრინციპზე, რომლის თანახმად, ადმინისტრაციული საქმის განხილვისას სასამართლო უფლებამოსილია, თავისი ინიციატივით მიიღოს გადაწყვეტილება დამატებითი ინფორმაციის ან მტკიცებულების წარმოსადგენად.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ დაარღვია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის მიხედვით, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს სასამართლო სხდომაზე მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. ყოველივე ზემოაღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ სააპელაციო პალატის გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია, რის გამოც იგი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის «ე1» ქვეპუნქტის თანახმად, კანონის დარღვევით მიღებულად უნდა ჩაითვალოს.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

## დაადგინა:

1. ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი;
2. გაუქმდეს მოცემულ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 8 მაისის გადაწყვეტილება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე პალატას;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## სასამართლოს უფლებამოსილება მტკიცებულებების გამოკვლევისას

### განჩინება

18ს-1264-1226(2კ-09) 15 აპრილი, 2009 წ., ქ. თბილისი  
საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. ცისკაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. სხირტლაძე,  
პ. სილაგაძე

**დავის საგანი:** დავალიანების ანაზღაურება

#### აღწერილობითი ნაწილი:

შპს «...-მა» 2005 წლის აგვისტოში სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში მოპასუხე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიმართ და მოითხოვა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის 2005 წლის 18 მაისის 1439 საგადასახადო მოთხოვნის გაუქმება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილებით შპს «...-ის» სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ – სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის თბილისის საგადასახადო ინსპექციის 2005 წლის 18 მაისის 1439 საგადასახადო მოთხოვნა შპს «...-ის» მიმართ მოგების გადასახადის ნაწილში და დაევალა მოპასუხე – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის თბილისის საგადასახადო ინსპექციას საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა შესწავლისა და გამოკვლევის შემდეგ, ამ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში გამოეცა ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შპს «...-ის» სახელმწიფოს წინაშე დავალიანების შესახებ მოგების ნაწილში.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება ეფუძნება შემდეგ მოტივებს: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ შემოწმებული იქნა შპს «...-ის» ბიუჯეტთან ანგარიშსწორების საკითხი, რომელმაც მოიცვა 2004 წლის 1 იანვრიდან 2005 წლის 1 იანვრამდე პერიოდი; 2005 წლის 6 მაისის შემოწმების აქტით შპს «...-ს» დაერიცხა დამატებით, აგრეთვე, მოგების გადასახადის ნაწილში - 467028 ლარი. ამასთან, საგადასახადო კოდექსის 68-ე მუხლის თანახმად, მოხდა სავარაუდო დარიცხვა; საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ შპს «...-ს» წარედგინა 2005 წლის 18 მაისის 1439 საგადასახადო მოთხოვნა, რომლითაც მოგების ნაწილში საწარმოს დაერიცხა 467028 ლარი (ძირითადი 271923 ლარი, ჯარიმა 190346 ლარი, საურავი 4759 ლარი).

პირველი ინსტანციის სასამართლომ გამოიყენა საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-80 მუხლის პირველი ნაწილი და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის «დ» ქვეპუნქტი.

სასამართლომ აღნიშნა, რომ სასამართლო დავალების მიუხედავად, მხარეების მიერ წარდგენილი არ იქნა მასალები ფოტის საგადასახადო ინსპექციიდან; საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის 2005 წლის 28 ივლისის 1585-ს ბრძანების შესაბამისად, დადასტურებულია, რომ ვერ ხერხდება თბილისის რიგი ჩამბარებლების (გამყიდველი ფიზიკური პირების) იდენტიფიცირება სპასპორტო მონაცემებისა და საცხოვრებელი ადგილის დაუზუსტებლობის გამო. ამავდროულად, სასამართლოში არ იქნა მხარეების მიერ წარდგენილი საბაჟო დეპარტამენტში არსებული მასალები და შესყიდვის აქტების დედნები;

პირველი ინსტანციის სასამართლოს მითითებით, შემოწმების აქტში, რომელიც «საგადასახადო მოთხოვნის» საფუძველს წარმოადგენს, მითითებულია, რომ საწარმოზე დამატებით მოგების გადასახადის დაკისრე-



ბა განპირობებულია იმ გარემოებით, რომ შპს «...-ში» არსებული საბუთებიდან გამომდინარე ვერ ხერხდება მომწოდებელი ფიზიკური პირების იდენტიფიცირება შეძენილ თხილზე, რითაც დარღვეულია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 68-ე მუხლის მოთხოვნები (2005 წლის პირველ იანვრამდე მოქმედი რედაქცია).

სასამართლომ ჩათვალა, რომ არსებობს ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობის პირობები, რაც იმაში გამოიხატება, რომ არსებითად დარღვეულია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის თბილისის საგადასახადო ინსპექციის 2005 წლის 18 მაისის 1439 «საგადასახადო მოთხოვნის», მომზადებისა და გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, რომელთა დაცვის შემთხვევაში შესაძლებელი იქნებოდა სადავო საკითხთან დაკავშირებით სხვაგვარი გადაწყვეტილების მიღება.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციამ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 20 მაისის განჩინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე საკასაციო საჩივრები შეიტანეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურმა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონალურმა ცენტრმა (საგადასახადო ინსპექცია) და მოითხოვეს გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა. კასატორები თვლიან, რომ სააპელაციო სასამართლოს შეეძლო თავისი ინიციატივით შეეგროვებინა მოცემული დავის გადასაწყვეტად საჭირო მტკიცებულებები საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-19 მუხლის შესაბამისად, რაც არ განუხორციელებია.

კასატორის – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონალური ცენტრის მოსაზრებით, სასამართლომ არ გამოიკვლია და არ შეისწავლა საქმეში არსებული ყველა დოკუმენტი. კასატორის აზრით, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-80 მუხლის და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის სრული დაცვით. კასატორის მოსაზრებით, სასამართლოს შეეძლო თავისი ინიციატივით შეეგროვებინა მტკიცებულებები საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-19 მუხლის შესაბამისად, რაც არ განუხორციელებია.

კასატორის – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მოსაზრებით, სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მოთხოვნა; კასატორის აზრით, უსაფუძვლოა სასამართლოს მოსაზრება იმის შესახებ, რომ სასამართლოში არ იქნა წარმდგენილი მასალები ფოთის საგადასახადო ინსპექციიდან.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) საკასაციო საჩივრების მოტივების შემოწმების შედეგად თვლის, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) საკასაციო საჩივრები უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ; მოცემულ საქმეზე უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 20 მაისის განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე პალატას შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ დადგინებულად მიიჩნია ფაქტობრივი გარემოება იმის შესახებ, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ შემოწმებული იქნა შპს «...-ის» ბიუჯეტთან ანგარიშსწორების საკითხი, რომელმაც მოიცვა 2004 წლის 1 იანვრიდან 2005 წლის 1 იანვრამდე პერიოდი. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსაზრება იმის შესახებ, რომ მხარეებმა სასამართლოს დავალების მიუხედავად არ წარმოადგინეს ფოთის საგადასახადო ინსპექციიდან მასალები, რომლითაც საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის 2005 წლის 28 ივლისის 11585 ბრძანების შესაბამისად დადასტურებულია, რომ ვერ ხერხდება თხილის რიგი ჩამბარებელი (გამყიდველი) ფიზიკური პირების იდენტიფიცირება საპასპორტო მონაცემებისა და საცხოვრებელი ადგილის დაუზუსტებლობის გამო. ამასთან, სასამართლომ მიუთითა, რომ მხარეებმა არ წარმოადგინეს საბაჟო დეპარტამენტში არსებული მასალები და შესყიდვის აქტების დედნები. საკასაციო პალატას დაუსაბუთებლად მიაჩნია სასამართლოს ამგვარი მსჯელობა, რადგან საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლით განმტკიცებულია ადმინისტრაციულ პროცესში შეჯიბრებითობისა და სასამართლოს მიერ საქმის გარემოებების გამოკვლევის პრინციპი. ამ ნორმის თა-

ნახმად, ადმინისტრაციული საქმის განხილვისას მხარეები სარგებლობენ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლით მინიჭებული უფლება-მოვალეობებით, ამასთან, სასამართლო უფლებამოსილია, თავისი ინიციატივით მიიღოს გადაწყვეტილება დამატებითი ინფორმაციის ან მტკიცებულების წარმოსადგენად. ამიტომ საკასაციო სასამართლოს დასაბუთებულად მიაჩნია კასატორების მოსაზრება იმის შესახებ, რომ მოცემულ საქმეზე სააპელაციო სასამართლოს შეეძლო, თავისი ინიციატივით შეეგროვებინა დავის გადასაწყვეტად საჭირო მტკიცებულებები საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-19 მუხლის შესაბამისად, რაც არ განუხორციელებია. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ, ინკვიზიციურობის პრინციპიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს უნდა გამოეყენებინა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-19 მუხლის პირველი ნაწილი, რომელშიც მითითებულია, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 103-ე მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების გარდა, სასამართლო უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივითაც შეაგროვოს ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ სადავო სამართლებრივი ურთიერთობის მოსაწესრიგებლად გამოყენებული უნდა იქნეს 2004 წლის 1 იანვრიდან 2005 წლის 1 იანვრამდე მოქმედი რედაქციით საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული ნორმები, რამდენადაც შპს «...-ის» ბიუჯეტთან ანგარიშსწორების საკითხის შემოწმებამ მოიცვა სწორედ აღნიშნული პერიოდი. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ 2005 წლის 1 იანვრამდე მოქმედი საგადასახადო კოდექსის 257-ე მუხლის თანახმად კი გასაჩივრების პროცესში საგადასახადო დარიცხვის მცდარობის მტკიცების ტვირთი ეკისრება საგადასახადოს გადამხდელს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით საკასაციო პალატას დაუსაბუთებლად მიაჩნია სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება იმის შესახებ, რომ მოპასუხემ სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, 2005 წლის 18 მაისის 1439 საგადასახადო მოთხოვნა გამოსცა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, რის გამოც სააპელაციო სასამართლომ არასწორად გამოიყენა მოცემულ შემთხვევაში ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტი. ამ ნორმის თანახმად, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, იგი უფლებამოსილია, სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად ცნოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და დაავალოს ადმინისტრაციულ ორგანოს, ამ გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი. სასამართლო ამ გადაწყვეტილებას იღებს, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისათვის არსებობს მხარის გადაუდებელი კანონიერი ინტერესი.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო პალატის განჩინების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია, რის გამოც იგი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის «ე<sup>1</sup>» ქვეპუნქტის თანახმად, კანონის დარღვევით მიღებულად უნდა ჩაითვალოს.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) საკასაციო საჩივრები;
2. გაუქმდეს მოცემულ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 20 მაისის განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე პალატას;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### **4. გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძვლები**

**გადაწყვეტილების გაუქმება  
დაუსაბუთებლობის გამო**

**განჩინება**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა  
 შემადგენლობა: მ. ცისკაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
 ნ. სხირტლაძე,  
 ლ. მურუსიძე

**დავის საგანი:** ქმედების განხორციელება

**აღწერილობითი ნაწილი:**

შპს «...მა» და შპს «...-მ» 2002 წლის 5 დეკემბერს სასარჩელო განცხადებით მიმართეს სასამართლოს, მოპასუხეების – თბილისის ისანი-სამგორის საოლქო საგადასახადო ინსპექციისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის მიმართ და მოითხოვეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის 2000 წლის 9 ოქტომბრის 1176 და 2000 წლის 8 ნოემბრის 1181 ბრძანებების, ისანი-სამგორის რაიონის საგადასახადო ინსპექციის ადმინისტრაციული აქტის – 2002 წლის 29 ნოემბრის 101/2682 მიწერილობის გაუქმება, მოპასუხისათვის დავალება, განახორციელოს კანონის შესაბამისად ჩატარებულ ოპერაციაზე სერია ბ'1860438 და სერია ბ'1860435 ანგარიშ-ფაქტურებით განსაზღვრული დღგ-ისა და აქციზის ჩათვლები შპს „...-ის“ და შპს „...-ს“ პირად ბარათებზე.

მოსარჩელები განმარტავენ, რომ შპს «...» წარმოადგენს შპს «...-ის» უფლებამონაცვლეს, რაც დგინდება ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 103/4-865 დადგენილებით;

შპს «...-ის» მიერ ნასყიდობის ხელშეკრულებით შპს «...-საგან» 2000 წლის 17 მაისს შეძენილი იქნა 34000 კგ თამბაქოს პროდუქცია, რაზედაც იმავე წლის 25 მაისს შედგა მიღება-ჩაბარების აქტი. აღნიშნულ ოპერაციაზე შპს «...-ს» მიერ 2000 წლის 25 მაისს გამოწერილი იქნა საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა სერია ბ'1860438, გასავლის ზედდებული, გადახდის დასაზუსტებლად სალაროს შემოსავლის ორდერი 112. შეძენილ საქონელზე შპს «...-ის» მიერ გადახდილი იქნა სრული თანხა, მათ შორის, დღგ და აქციზი;

შპს «...-ს» მიერ შპს «...-საგან» 2000 წლის 10 ივლისს ნასყიდობის ხელშეკრულებით შეძენილ იქნა ხილის კონცენტრატების დამამზადებელი დანადგარი, რაზედაც შედგა 2000 წლის 15 ივლისის მიღება-ჩაბარების აქტი. აღნიშნულ ოპერაციაზე შპს «...-ს» მიერ 2000 წლის 15 ივლისს გამოწერილი იქნა საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა სერია ბ'1860435, გასავლის ზედდებული, გადახდის დასაზუსტებლად გამოიწერა ქვითარი, სალაროს შემოსავლების ორდერის ყუა 111/07, 112/07.

ზემოხსენებული ოპერაციების მართლზომიერების შესამოწმებლად ჩატარდა მოკვლევა, რაზედაც 2002 წლის 12 ნოემბერს საგამოძიებო დეპარტამენტის კახეთის სამხარეო საგამოძიებო სამსახურის მიერ გამოტანილი იქნა დადგენილება სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე უარის თქმის შესახებ შპს «...-ისა» და შპს «...-ს» ხელმძღვანელ პირთა მიმართ მართლსაწინააღმდეგო ქმედების არარსებობის გამო. საქართველოს მთავარი სამხედრო პროკურატურის მიერ ჩატარებული მოკვლევით და 2002 წლის 19 ოქტომბრის ექსპერტთა დასკვნით დადგენილი იქნა შპს «...-სა» და შპს «...-ის» მიერ საქონლის მიღებისა და გადახდის ფაქტი, რის შესახებაც ეცნობა ისანი-სამგორის საოლქო საგადასახადო ინსპექციას.

მოსარჩელეთა მითითებით, შეძენილ საქონელზე გადახდილი დღგ და აქციზი საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით ექვემდებარება ჩათვლას. იმის გამო, რომ ოპერაციების მართლზომიერების დადგენის მიზნით გამოძიება ტარდებოდა, აღნიშნული უფლების გამოყენება ვერ განახორციელეს. ჩათვლის განხორციელების მიზნით, 2000 წლის 28 ნოემბერს წერილით მიმართეს ისანი-სამგორის საგადასახადო ინსპექციას, რაზედაც 2002 წლის 29 ნოემბრის 104/2682 წერილით უსაფუძვლოდ ეთქვათ უარი ჩათვლის განხორციელებაზე. საგადასახადო ინსპექციის პასუხი ეფუძნებოდა საგადასახადო დეპარტამენტის 2000 წლის 8 ნოემბრის 1181 და 2000 წლის 9 ოქტომბრის ბრძანებებს, რომლებიც მიიღეს ისანი-სამგორის საგადასახადო ინსპექციის 2002 წლის 29 ნოემბრის პასუხთან ერთად. საგადასახადო ინსპექციის წერილის თანახმად, საგადასახადო დეპარტამენტის 2000 წლის 9 ოქტომბრის 1176 ბრძანების მე-9 პუნქტისა და 2000 წლის 8 ნოემბრის 1181 ბრძანების გათვალისწინებით, ჩათვლის მისაღებად გადამხდელი ვალდებულია, წარადგინოს საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის მე-3 პირი დღგ-ის ყოველთვიურ დეკლარაციასთან ერთად. შესაბამისად, ანგარიშ-ფაქტურის მე-3 პირის წარუდგენლობის შემთხვევაში გადამხდელს უარი უნდა ეთქვას ჩათვლის განხორციელებაზე.

აღნიშნული ადმინისტრაციული აქტი მოსარჩელებს მიაჩნიათ უკანონოდ, ვინაიდან 2000 წლის 1 სექტემბრამდე მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი იყო სხვა ფორმის ანგარიშ-ფაქტურები და მათი ჩათვლის ამჟამად მოქმედი კანონმდებლობისაგან განსხვავებული წესი, რის გამოც ისინი ვერ შეძლებენ, წარადგინონ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების სხვადასხვა პირი იმ უბრალო მიზეზით, რომ ანგარიშ-ფაქტურების იმ ოდენობით ვგნემპლარები არ ჰქონდა.

ქ. თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილებით შპს «...-სა» და შპს «...-ის» სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ – ბათილად იქნა ცნობილი ისანი-სამგორის საოლქო საგადასახადო ინსპექციის 2002 წლის 29 ნოემბრის 104/2682 მიწერილობა; დაევალა ისანი-

სამგორის საოლქო საგადასახადო ინსპექციას განეხორციელებინა ჩათვლა: ა) შპს «...-ის» აღრიცხვის ბარათზე დღგ-ს ანგარიშზე 2000 წლის 15 ივლისის სერია ბ'860435 საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის მიხედვით. ბ) შპს «...-ის» აღრიცხვის ბარათზე დღგ-სა და აქციზების ანგარიშზე 2000 წლის 25 მაისის სერია ბ'860438 საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის მიხედვით. უარი ეთქვათ შპს «...-ს» და შპს «...-ის» საგადასახადო დეპარტამენტის 2000 წლის 9 ოქტომბრის 1176 და 8 ნოემბრის 1181 ბრძანებების გაუქმებაზე.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 28 აპრილის განჩინებით თბილისის ისანი-სამგორის საოლქო საგადასახადო ინსპექცია შეიცვალა მისი უფლებამონაცვლე თბილისის საგადასახადო ინსპექციით; ამავე სასამართლოს 2007 წლის 9 ოქტომბრის განჩინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტი შეიცვალა მისი უფლებამონაცვლე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურით; საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექცია შეიცვალა მისი უფლებამონაცვლე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციით; ამავე სასამართლოს 2008 წლის 29 იანვრის განჩინებით დაკმაყოფილდა შპს «...-ს» განცხადება და იგი საქმეში მესამე პირად იქნა ჩაბმული.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 11 მარტის გადაწყვეტილებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; ქ. თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილების იმ ნაწილის შეცვლით, რომლითაც სარჩელი დაკმაყოფილდა (გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-2 და მე-3 პუნქტები) სააპელაციო პალატის მიერ მიღებული იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც შპს «...-ს» და შპს «...-ს» სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ 2005 წლის 1 იანვრამდე მოქმედი საქართველოს საგადასახადო კოდექსის 6.2 მუხლის თანახმად, დღგ და აქციზი განეკუთვნება საერთო-სახელმწიფოებრივ გადასახადებს. 90-ე მუხლის თანახმად დღგ, როგორც არაპირდაპირი გადასახადი, არის საქართველოს ტერიტორიაზე საქონლის, სამუშაოს, მომსახურების წარმოების და მიმოქცევის პროცესში შექმნილი ღირებულების, აგრეთვე საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანილი ყველა დასაბეგრი საქონლის ღირებულების ნაწილის, ბიუჯეტში სავალდებულო შენატანი; 122-ე მუხლის თანახმად, აქციზი არის არაპირდაპირი გადასახადი, რომელიც გადაიხდება აქციზური საქონლის მიწოდებისას ფასთან ერთად; 166-ე მუხლის თანახმად, დღგ-ის გადახდელი ვალდებულია, რეგისტრაციის ადგილის მიხედვით საგადასახადო ორგანოში წარადგინოს დღგ-ს დეკლარაცია, ყოველ საანგარიშო პერიოდზე დეკლარაციის წარსადგენად დადგენილ ვადაში გადაიხადოს დღგ; 123-ე მუხლის თანახმად, აქციზის გადახდელად ითვლება პირი, რომელიც აწარმოებს აქციზურ საქონელს ან ეწევა იმპორტს საქართველოში, თუ ამ კარით სხვა რამ არ არის დადგენილი;

სააპელაციო პალატა აღნიშნავს, რომ, მართალია, საგადასახადო კოდექსის 217-ე მუხლის თანახმად, საგადასახადო კონტროლს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მიერ გადასახადის გამოანგარიშების სისწორესა და დროულ გადახდაზე, ისევე, როგორც გადასახადების ადმინისტრირებისა და მოკრების ყველა ასპექტზე, ახორციელებენ საგადასახადო ორგანოები, მაგრამ ამავე კოდექსის 114.1-ე მუხლის თანახმად, ამ მუხლის დებულებათა გათვალისწინებით ჩასათვლელი დღგ-ს თანხა არის გადასახადის თანხა, რომელიც დასაბეგრი ოპერაციის დროის მიხედვით გადახდილია წარდგენილი ანგარიშ-ფაქტურების შესაბამისად ან საბაჟო დეკლარაციის მიხედვით. დღგ-ს ჩათვლას დაექვემდებარება საქართველოს ბიუჯეტში გადახდილი დღგ-ს თანხა;

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 10 მარტის გადაწყვეტილებით ჩაითვალა, რომ 1997 წლის საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული დღგ-ს თანხის ჩათვლა წარმოადგენს შესაბამისი პირის უფლებას, გარკვეული პირობების დადგომის შემდეგ მიიღოს სახელმწიფოს მხრიდან დღგ-ით გათვალისწინებული თანხის გადახდილად აღიარება.

საქმის მასალებით დადასტურებულია, რომ შპს «...-ს» 2000 წლის 15 ივლისის სერია ბ' 1860435 საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის თანახმად, დღგ 600000 ლარის ოდენობით, ხოლო 2000 წლის 25 მაისის სერია ბ' 1860438 საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის თანახმად, დღგ 153680 ლარის და აქციზი 680000 ლარის ოდენობით, სახელმწიფო ბიუჯეტში არ გადაუხდია, სახელმწიფო ბიუჯეტთან ანგარიშსწორება საერთოდ არ უწარმოებია და საქმეში არსებული მასალების თანახმად, მასზე ირიცხება ბიუჯეტის ვადაგადაცილებული დავალიანება, მათ შორის, დამატებული ღირებულების გადასახადი, ძირითადი – 879273.60, საურავი – 2685618.95 ლარის ოდენობით, აღნიშნულის საწინააღმდეგო მტკიცებულება კი წარმოდგენილი არ არის. ამდენად, შპს «...-ს» ეკონომიკური საქმიანობა განახორციელა საგადასახადო კანონმდებლობის მოთხოვნათა უგულვებელყოფით, სახელმწიფოს ბიუჯეტში არ გადაიხდა რა გადასახდელი თანხა.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ, ვინაიდან განსახილველ შემთხვევაში შპს «...-ს» მიერ მითითებული საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების მიხედვით გადასახადი სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდილი არ ყოფილა, მხოლოდ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურები, ხელშეკრულებები, მიღება-ჩაბარების, ურთიერთშედარე-

ბის აქტები, გასავლის ზედდებულები და გადახდის ქვითრები ვერ გახდება სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი, ვინაიდან შპს «...-ს» მიერ გადახდილი არ არის და საქმეში წარმოდგენილი არ არის მითითებული თანხების საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდის დამადასტურებელი ქვითრები.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში მითითებული საქართველოს საგადასახადო კოდექსის 129-ე მუხლის პირველი ნაწილი, განსახილველ შემთხვევაში არ შეიძლება გამხდარიყო აქციზის ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველად, ვინაიდან მოსარჩელეთა მიერ საქმეში წარმოდგენილი აქტის თანახმად, შპს «...-საგან» შესყიდული ჰომოგენიზებული თამბაქო დამზადებულია საქართველოში, შეძენილი თამბაქოს დატენიანება კი ამ ნორმით დადგენილი შეღავათებისათვის გათვალისწინებულ გარემოებას არ წარმოადგენს.

სასამართლომ ასევე დადგენილად ჩათვალა, რომ შპს «...-ს», როგორც გამყიდველს, საქმეზე წარმოდგენილ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურებში მითითებულ დასაბეგრ ოპერაციებზე კანონით დადგენილი წესით დეკლარირება არ მოუხდენია და შესაბამისი თანხები სახელმწიფო ბიუჯეტში არ გადაუხდია. ამიტომ სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის ისანი-სამგორის საოლქო ინსპექციის 2002 წლის 29 ნოემბრის 104/2682 წერილით მოსარჩელეებს სწორად ეთქვათ უარი გადამხდელთა პირად ბარათზე ჩათვლების გატარებაზე და აღნიშნული წერილის, როგორც ადმინისტრაციული აქტის, ბათილად ცნობის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 მუხლით გათვალისწინებული საფუძველი არ არსებობს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 11 მარტის გადაწყვეტილებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა შპს «...-მ» და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება. კასატორს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზეა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისათვის საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის «გ» ქვეპუნქტით, იმავე მუხლის მე-3 ნაწილითა და 394-ე მუხლის «ე1» ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძველები, კერძოდ, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამომტანმა სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი, რამაც უკანონო და დაუსაბუთებელი გადაწყვეტილების გამოტანა განაპირობა და მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია. კასატორის მოსაზრებით, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გამოტანილია საპროცესო სამართლის ნორმების უხეში დარღვევით, სასამართლომ მოცემული საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივ გარემოებებსა და მტკიცებულებებს მცდარი სამართლებრივი შეფასება მისცა. შესაბამისად, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გამოტანილია საქმეში არსებული მტკიცებულებების ყოველმხრივი, სრულყოფილი და ობიექტური გამოკვლევა-შეფასების გარეშე, რითაც დარღვეულ იქნა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნა.

კასატორს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში სასამართლომ არასწორად განმარტა საქართველოს საგადასახადო კოდექსის ის ნორმები, რომლებიც სადავო პერიოდში მოქმედებდა და აწესრიგებდა დღგ-ს ჩათვლასთან დაკავშირებულ სამართალურთიერთობებს, კერძოდ, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 114-ე მუხლის იმ რედაქციის თანახმად, რომელიც მოქმედებდა შპს «...-ს» მიერ დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების პერიოდში, ჩათვლას ექვემდებარებოდა არა მხოლოდ ბიუჯეტში გადახდილი, არამედ გადასახდელი თანხა. ამდენად, კასატორს მიაჩნია, რომ შპს «...» სრულად აკმაყოფილებდა ზემოხსენებული ნორმით დადგენილ მოთხოვნებს და მის მიერ გადახდილი თანხა ექვემდებარებოდა ჩათვლას.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, საკასაციო საჩივრის დასაბუთებულობისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმების, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის შედეგად თვლის, რომ შპს «...-ს» საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს; მოცემულ საქმეზე გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 11 მარტის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც არ დაკმაყოფილდა შპს «...-ის» სარჩელი და საქმე ამ ნაწილში ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე პალატას შემდეგ გარემოებათა გამო:

როგორც საქმის მასალებით ირკვევა, შპს «...-ის» (შპს «...-ის» უფლებამონაცვლეა შპს «...») მიერ ნასყიდობის ხელშეკრულებით შპს «...-გან» 2000 წლის 17 მაისს შეძენილი იქნა 34000 კგ. ჰომოგენიზირებული თამბაქოს პროდუქცია; აღნიშნულ ოპერაციაზე შპს «...-ს» მიერ 2000 წლის 25 მაისს გამოწერილ იქნა საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა სერია ბ1860438, გასავლის ზედდებული, გადახდის დასაზუსტებლად სალაროს შემოსავლის ორდერი 112. შეძენილ საქონელზე შპს «...-ის» მიერ გადახდას დაექვემდებარა აქციზი 680,000 ლარის და დღგ-ს – 153,680 ლარის ოდენობით.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ სადავო სამართლებრივი ურთიერთობის მოსაწესრიგებლად გამოყენებული უნდა იქნეს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 2000 წლის 25 მაისისათვის მოქმედი რედაქციით გათვალისწინებული ნორმები. საკასაციო სასამართლო მიუთითებს 2005 წლის 1 იანვრამდე მოქმედი საგადასახადო კოდექსის 28-ე მუხლის მე-3 ნაწილზე, რომლის თანახმად საგა-

დასახადო ვალდებულება ეკისრება გადასახადის გადამხდელს საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილ იმ გარემოებათა წარმოქმნის მომენტიდან, რომლებიც ითვალისწინებს გადასახადის გადახდას.

საკასაციო სასამართლოს დასაბუთებულად მიაჩნია კასატორის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ სააპელაციო სასამართლომ დღგ-ს ჩათვლასთან დაკავშირებით არასწორად განმარტა 2000 წლის მაისისათვის მოქმედი საგადასახადო კოდექსის 114-ე მუხლი. ამ ნორმის პირველი ნაწილის თანახმად, ამ მუხლის დებულებათა გათვალისწინებით, ჩასათვლელი დღგ-ს თანხა არის გადასახადის თანხა, რომელიც დასაბეგრი ოპერაციის დროის მიხედვით გადახდილ უნდა იქნეს ან გადახდილია წარდგენილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების შესაბამისად ან გადახდილია საბაჟო დეკლარაციის მიხედვით დასაბეგრი იმპორტზე ან დასაბეგრი ოპერაციებზე, თუ საქონელი, სამუშაო ან მომსახურება გამოიყენება ან გამოყენებული იქნება გადასახადის გადახდელის ეკონომიკური საქმიანობისათვის იმ შემთხვევაშიც კი თუ ისინი არ შეიტანება პროდუქციის თვითღირებულებაში. დღგ-ის ჩათვლას დაექვემდებარება საქართველოს ბიუჯეტში გადასახდელი ან გადახდილი დღგ-ის თანხა. ამ ნორმის შინაარსი მიუთითებს იმაზე, რომ დღგ-ის ჩათვლას შეიძლება დაექვემდებაროს ის თანხა, რომელიც, მართალია, არ არის ბიუჯეტში გადახდილი საქონლის მიმწოდებლის მიერ, მაგრამ აღნიშნული გადახდილია მყიდველის მიერ და მას ამის დამადასტურებლად გააჩნია სათანადო მტკიცებულება, კერძოდ, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა, რომლის ნამდვილობაც ეჭვს არ უნდა იწვევდეს. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მართალია, შპს «კიტომ» საქმეში წარმოდგენილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის მიხედვით გადასახადი სახელმწიფო ბიუჯეტში არ გადაიხადა, მაგრამ საქმეში წარმოდგენილი, კახეთის სამხარეო საგამომიებო სამსახურის უფროსის მოადგილის მიერ 2002 წლის 12 ნოემბერს მიღებულ იქნა სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე უარის თქმის შესახებ დადგენილება შპს «...-თან» სამეურნეო ურთიერთობაში მყოფი ორგანიზაციის შპს «...-ის» ხელმძღვანელ პირთა მიმართ მართლსაწინააღმდეგო ქმედების არ არსებობის გამო.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ მოცემულ შემთხვევაში საგადასახადო კოდექსის 114-ე მუხლთან (2000 წლის 25 მაისისათვის მოქმედი რედაქციით) მიმართებაში სრულად არ გამოიკვლია და არ შეაფასა საქმის ფაქტობრივი გარემოებები.

საკასაციო პალატა ასევე ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ სააპელაციო სასამართლომ ისე მიიჩნია შპს «...-ის» სარჩელი აქციზის ნაწილში უსაფუძვლოდ, რომ სააპელაციო პალატის 2008 წლის 11 მარტის სხდომაზე არ გამოიკვლია ჩასათვლელი აქციზის ნაწილში სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლიანობა, მხარეებს ახსნა-განმარტებები არ ჩამოუყალიბებიათ ამ ნაწილთან მიმართებაში, რის გამოც საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ მოცემულ შემთხვევაში გამოიტანა მოულოდნელი გადაწყვეტილება, რითაც დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მეორე ნაწილის მოთხოვნა იმის შესახებ, რომ სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ.

ყოველივე ზემოაღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია, რის გამოც იგი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის «ე» პუნქტის თანახმად, კანონის დარღვევით მიღებულად უნდა ჩაითვალოს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. შპს «...-ის» საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს მოცემულ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 11 მარტის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც არ დაკმაყოფილდა შპს «...-ის» სარჩელი და საქმე ამ ნაწილში ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე პალატას.
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### **გადაწყვეტილების გაუქმება დაუსაბუთებლობის გამო**

### **განჩინება**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. ცისკაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. სხირტლაძე,  
პ. სილაგაძე

**დავის საგანი:** ბათუმის საგადასახადო ინსპექციის 2005 წლის 19 აგვისტოს შემოწმების აქტისა და 159 საგადასახადო მოთხოვნის ბათილად ცნობა

**აღწერილობითი ნაწილი:**

ინდ.მეწარმე «მ. ბ-შვილმა» 2005 წლის სექტემბერში სარჩელით მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოპასუხე ბათუმის საგადასახადო ინსპექციის მიმართ და მოითხოვა ბათუმის საგადასახადო ინსპექციის 2005 წლის 19 აგვისტოს შემოწმების აქტისა და 159 საგადასახადო მოთხოვნის ბათილად ცნობა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 6 აპრილის გადაწყვეტილებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა ინდ. მეწარმე – «მ. ბ-შვილის» სარჩელი – ბათილად იქნა ცნობილი 159 საგადასახადო მოთხოვნა; ნაწილობრივ ბათილად იქნა ცნობილი ქ. ბათუმის საგადასახადო ინსპექციის 2005 წლის 19 აგვისტოს შემოწმების აქტი, კერძოდ, ინდ. მეწარმე «მ. ბ-შვილზე» დარიცხული 71 463 ლარის სამემოსავლო გადასახადი, აქედან 51 463 ლარი ძირითადი თანხაა და 20 000 ლარი – ჯარიმა-საურავი; დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ბათუმის საგადასახადო ინსპექციამ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 8 იანვრის განჩინებით ბათუმის საგადასახადო ინსპექციის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა – გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 6 აპრილის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 17 აპრილის გადაწყვეტილებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა ინდ. მეწარმე «მ. ბ-შვილის» სარჩელი; ბათილად იქნა ცნობილი საგადასახადო ინსპექციის უფროსის 2004 წლის 4 აგვისტოს 1754 ბრძანება და მის საფუძველზე მიღებული 159 საგადასახადო მოთხოვნა ინდ. მეწარმე «მ. ბ-შვილზე» დღგ-ს გადასახადის 13532, სამემოსავლო გადასახადის 22 723 ლარის, სოციალური დაზღვევის გადასახადის 35 212 ლარის და საერთო სარგებლობის საავტომობილო გზის გადასახადის 45,5 ლარის დარიცხვის ნაწილში, ხოლო სხვა გადასახადის გადახდის ნაწილის ბათილად ცნობაზე სარჩელი არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ბათუმის რეგიონალურმა ცენტრმა (საგადასახადო ინსპექციამ).

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 19 მაისის გადაწყვეტილებით ბათუმის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 17 აპრილის გადაწყვეტილების მეორე პუნქტი, რომლითაც მოსარჩელეს სახელმწიფო ბაჟის სახით დაეკისრა 200 ლარის გადახდა, რაც ჩაეთვალია გადახდილად, ხოლო ზედმეტად გადახდილი 1 768, 37 ლარი დაუბრუნდა უკან; დანარჩენ ნაწილში გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი.

სააპელაციო პალატამ დადგინდა, რომ ი/მ «მ. ბ-შვილს» 159 საგადასახადო მოთხოვნით საქველმოქმედო მიზნით დარიცხული საქონლის რეალიზაციის გამო დღგ-ს გადასახდელად დაერიცხა 13 532 ლარი, სამემოსავლო გადასახადი 22 723 ლარი, სოციალური დაზღვევის გადასახადი 35 212 ლარი, საერთო სარგებლობის საავტომობილო გზის გადასახადი 45,5 ლარი, სხვა გადასახადი 6223,3 ლარი, სულ – 78 735,8 ლარი.

სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ ი.მ «მ. ბ-შვილი» მოქმედებდა გერმანული საქველმოქმედო ფონდის სახელით, შესაბამისად ის ვერ აღწერდა მის შემოსავალში საქველმოქმედო მისიისათვის მიღებულ საქონელს, ვინაიდან არ მომხდარა საქონლის სასყიდლიანი გასხვისება.

სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა საგადასახადო კოდექსის მე-13-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ბ» პუნქტი, მე-14, 43-ე მუხლის მე-2 ნაწილი, 104-ე მუხლის მე-6 ნაწილი, 146-ე მუხლის მე-6 ნაწილი, 166-ე, 173-ე, 175-ე, 282-ე მუხლის მე-2 ნაწილი და მიუთითა, რომ, მართალია, საქონელი დარიცხულ იქნა ი/მ-ის სახელით, მაგრამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ის წარმოადგენდა გერმანულ ფირმას და შესაბამისად არ უნდა დაბეგრულიყო ქველმოქმედების მიზნით გასხვისებული საქონელი.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ბათუმის რეგიონალურმა ცენტრმა და მოითხოვა სააპელაციო პალატის გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

კასატორის მოსაზრებით, საპელაციო სასამართლომ არ გამოარკვია მოსარჩელე ინდ.მეწარმე მ. ბ-შვილი თავისი სახელით ახდენდა გერმანიიდან მიღებული საქონლის უსასყიდლოდ დარიცხვას, თუ გერმანული მისიის სახელით, ვინაიდან საქმეში არ მოიპოვება საგადასახადო კოდექსის 43-ე მუხლის მოთხოვნათა დაც-

ვით შედგენილი ისეთი წერილობითი დოკუმენტი, რომ მოსარჩელე იყო «...-ს» კანონით გათვალისწინებული წარმოდგენილი, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ საქმეში წარმოდგენილი 2004 წლის 1 მარტის ხელშეკრულება თავისი შინაარსით არ წარმოადგენს დავალების ხელშეკრულებას. კასატორი მიუთითებს, რომ საქმეში წარმოდგენილი ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის განბაჟება მოხდა მოსარჩელის სახელით, მოსარჩელე თავისი სახელით ახდენდა ასევე გერმანიიდან მიღებულ საქონლის მიწოდებას და ამ შემთხვევაში საგადასახადო მიზნებისათვის მნიშვნელობა არა აქვს მოსარჩელემ მიიღო თუჯარა შემოსაველი.

კასატორის აზრით, საპელაციო სასამართლომ არასწორი შეფასება მისცა გერმანიის საქველმოქმედო ფონდ «...-ს» პრეზიდენტის წერილს, რითაც იგი აღიარებს დაშვებულ დარღვევებს და მომხდარს ფაქტიურად ქართული კანონმდებლობის სათანადოდ არცოდნით ხსნის. კასატორი თვლის, რომ მოსარჩელე საქართველოს საგადასახადო კოდექსის 32-ე მუხლის თანახმად, არ წარმოადგენს საქველმოქმედო ორგანიზაციას, იგი დაფუძნებულია «მეწარმეთა შესახებ» საქართველოს კანონის შესაბამისად და მისი საქმიანობის მიზანი არ არის ქველმოქმედების განხორციელება, რის გამოც მიაჩნია, რომ მასზე არ უნდა გავრცელდეს ის საგადასახადო შეღავათები, რაც საქველმოქმედო ორგანიზაციის მიმართ ვრცელდება.

### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, საკასაციო საჩივრის დასაბუთებულობისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ბათუმის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს; მოცემულ საქმეზე გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 19 მაისის გადაწყვეტილება გასაჩივრებულ ნაწილში და საქმე ამ ნაწილში ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე პალატას შემდეგ გარემოებათა გამო:

როგორც საქმის მასალებით ირკვევა, ბათუმის საგადასახადო ინსპექციამ 2005 წლის 19 აგვისტოს აქტის თანახმად ჩაატარა საკონტროლო გასვლითი საგადასახადო შემოწმება ი/ს «მ. ბ-შვილში» ბიუჯეტსა და სახელმწიფო სპეციალურ ფონდებთან ანგარიშსწორების საკითხებზე, შემოწმებამ მოიცვა 2004 წლის 1 იანვრიდან 2005 წლის 1 აგვისტომდე განვლილი საანგარიშგებო პერიოდი.

სააპელაციო სასამართლომ დადგინდა, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის ქ. ბათუმის საგადასახადო ინსპექციის 159 საგადასახადო მოთხოვნით, ი/მ «მ. ბ-შვილს» საქველმოქმედო მიზნით დარიგებული საქონლის რეალიზაციის გამო დღგ-ს გადასახდელად დაერიცხა 13 532 ლარი, საშემოსავლო გადასახადი 22 723 ლარი, სოც. დაზღვევის გადასახადი 35 212 ლარი, საერთო სარგებლობის საავტომობილო გზის გადასახადი 45,5 ლარი, სხვა გადასახადი 6223,3 ლარი, სულ 78 735,8 ლარი.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ვინაიდან ინდ. მეწარმე «მ. ბ-შვილის» შემოწმება მოიცვა 2004 წლის 1 იანვრიდან 2005 წლის 1 აგვისტომდე განვლილი საანგარიშგებო პერიოდი, ამიტომ სააპელაციო სასამართლოს მოცემულ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები უნდა შეეფასებინა არა მხოლოდ 2005 წლის 1 იანვრიდან მოქმედი საგადასახადო კოდექსის შესაბამისი ნორმებით, არამედ – 2004 წლის 31 დეკემბრამდე მოქმედი საგადასახადო კოდექსის შესაბამისი ნორმებით, რის გამოც საკასაციო პალატას არასწორად მიაჩნია სააპელაციო სასამართლოს მიერ საგადასახადო კოდექსის (2005 წლის 1 იანვრიდან მოქმედი რედაქცია) 282-ე მუხლის მე-2 ნაწილის გამოყენება. ამ ნორმის თანახმად, ამ კოდექსის პროცედურული დებულებები ვრცელდება 2005 წლის 1 იანვრიდან იმ საგადასახადო პერიოდებზეც, რომლებიც მთავრდება 2005 წლის 1 იანვრიდან, რადგან მოცემულ საქმეზე დავის საგანს არ წარმოადგენს მხოლოდ პროცედურული დებულებების კანონიერების შემოწმება.

საკასაციო პალატა დაუსაბუთებლად მიაჩნია ასევე სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება იმის შესახებ, ვინაიდან ინდ.მეწარმე «მ. ბ-შვილი» არ ახორციელებს საგადასახადო კოდექსის მე-14 მუხლის მეორე ნაწილით განსაზღვრულ საქმიანობას, ამიტომ მის მიერ განხორციელებული მოქმედება წარმოადგენს ქველმოქმედებას.

საკასაციო პალატა თვლის, რომ დაუსაბუთებელია სააპელაციო სასამართლოს მიერ მოცემული დავის გადასაწყვეტად საგადასახადო კოდექსის მე-14 მუხლის მეორე ნაწილის გამოყენება, რომლის თანახმად ჩათვალა, რომ ი/მ «მ. ბ-შვილი» ახორციელებდა საქველმოქმედო საქმიანობას, რადგან სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ იმისათვის პირმა საქველმოქმედო საქმიანობის გამო ისარგებლოს საგადასახადო შეღავათით, იგი იმავდროულად უნდა აკმაყოფილებდეს საგადასახადო კოდექსის 32-ე მუხლის მოთხოვნას; ამ ნორმის პირველი ნაწილის თანახმად საქველმოქმედო ორგანიზაციად ითვლება ორგანიზაცია, რომელსაც ამ მუხლის შესაბამისად მინიჭებული აქვს საქველმოქმედო ორგანიზაციის სტატუსი. იმავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად კი საქველმოქმედო ორგანიზაციის სტატუსი ენიჭება ორგანიზაციას, რომელიც შექმნილია საქველმოქმედო საქმიანობის განსახორციელებლად, რეგისტრირებულია კანონმდებლობით დადგენილი წესით. აქვს საქველმოქმედო საქმიანობის არანაკლებ 1 წლის გამოცდილება და აკმაყოფილებს



ამ მუხლით დადგენილ მოთხოვნებს. ხოლო საქმის მასალებით ირკვევა, რომ საგადასახადო შემოწმების პერიოდისათვის მოსარჩელე წარმოადგენდა ინდივიდუალურ მეწარმეს და არა ორგანიზაციას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ არ გამოიკვლია და შეფასება არ მისცეს საქმის ფაქტობრივ გარემოებებს, რითაც დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მოთხოვნა, რომლის მეორე ნაწილის თანახმად სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ.

როგორც საქმის მასალებით ირკვევა, სააპელაციო სასამართლომ სარჩელი დააკმაყოფილა იმ საფუძველით, რომ, მართალია, საქონელი დარიგებულ იქნა ინდ.მეწარმე «მ. ბ-შვილის» სახელით, მაგრამ იგი ხელშეკრულებიდან გამომდინარე წარმოადგენდა გერმანულ ფირმას და იგი მოქმედებდა გერმანული საქველმოქმედო ფონდის სახელით, რის გამოც ჩათვალა, რომ ქველმოქმედების მიზნით გასხვისებული საქონელი არ უნდა დაბეგრულიყო. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნულის დასასაბუთებლად გამოიყენა საგადასახადო კოდექსის (2005 წლის 1 იანვრის რედაქცია) 43-ე მუხლის მე-2 ნაწილი; ამ ნორმის პირველი წინადადების თანახმად, საწარმოს/ორგანიზაციის კანონიერ წარმომადგენლებად ითვლებიან მისი ორგანოები ან/და საქართველოს საკანონმდებლო აქტებითა და ამ საწარმოს/ორგანიზაციის სადამფუძნებლო დოკუმენტებით უფლებამოსილი სხვა პირები. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ საქმეში წარმოდგენილი ხელშეკრულება დადებულია 2004 წლის 1 მარტს ქ. ბათუმში, ერთის მხრივ გამყიდველს, საქველმოქმედო მისია «...-სა» და მეორეს მხრივ მყიდველს, ინდივიდუალურ მეწარმე მ. ბ-შვილს შორის; ამ ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს გამყიდველის მიერ მყიდველისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის საკუთრებაში გადაცემა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო, საკასაციო პალატა თვლის, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის «ე» პუნქტის თანახმად სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია. ამიტომ მოცემული საქმის ხელახალი განხილვისას სააპელაციო სასამართლომ უნდა გამოიკვლიოს ინდ.მეწარმე «მ. ბ-შვილსა» და საქველმოქმედო მისია «ფრიდენსბოტეს» შორის ზემოაღნიშნული ხელშეკრულების საგანი, მხარეთა უფლება-მოვალეობების შინაარსი და სწორი სამართლებრივი შეფასება მისცეს ამ ხელშეკრულების არსებით პირობებს.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ბათუმის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს მოცემულ საქმეზე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 19 მაისის გადაწყვეტილება გასაჩივრებულ ნაწილში და საქმე ამ ნაწილში ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე პალატას.
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### **გადაწყვეტილების გაუქმება დაუსაბუთებლობის გამო**

#### **განჩინება**

18ს-835-803(კ-08)

28 იანვარი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. ცისკაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. სხირტლაძე,  
პ. სილაგაძე

დავის საგანი: მიწის იჯარის ხელშეკრულების გაუქმება

აღწერილობითი ნაწილი:

მცხეთის რაიონის გამგეობამ 2004 წლის 24 აგვისტოს სასარჩელო განცხადებით მიმართა მცხეთის რაიონულ სასამართლოს მოპასუხე გ. გ-ძის მიმართ და მოითხოვა სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარის ხელშეკრულების გაუქმება.

მცხეთის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 31 მარტის გადაწყვეტილებით მცხეთის რაიონის გამგეობის სარჩელი დაკმაყოფილდა – გაუქმდა მცხეთის რაიონის გამგეობასა და გ. გ-ძეს შორის 2002 წლის 4 ივლისის გაფორმებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის იჯარის ხელშეკრულება.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა გ. გ-ძემ.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 29 ივნისის განჩინებით გ. გ-ძის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა მცხეთის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 31 მარტის გადაწყვეტილება.

აღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა გ. გ-ძემ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2006 წლის 19 აპრილის განჩინებით გ. გ-ძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა პალატის 2005 წლის 29 ივნისის განჩინება და საქმე არსებითად განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 15 აპრილის განჩინებით საქმეში ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილით მესამე პირად ჩაბმულ იქნა ქ. თბილისის მერია.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 29 აპრილის გადაწყვეტილებით გ. გ-ძის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა – მცხეთის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 31 მარტის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის (მცხეთის რაიონის გამგეობის უფლებამონაცვლე) სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო პალატის განჩინება ეფუძნება შემდეგ მოტივებს: მცხეთის რაიონის გამგეობასა და გ. გ-ძეს შორის 1997 წლის 27 თებერვალს დაიდო სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის იჯარის ხელშეკრულება 36,21 ჰა მიწის ნაკვეთზე 10 წლის ვადით. სასამართლოს დადგენილად ჩათვალა, რომ მცხეთის რაიონის გამგეობის 2002 წლის 30 მაისის '87 დადგენილებით ნაწილობრივ იქნა ცვლილებები შეტანილი გამგეობის 1997 წლის თებერვლის '19 დადგენილებაში, დაკმაყოფილდა გ. გ-ძის მოთხოვნა – დამტკიცდა სახელმწიფო მიწის იჯარით გამცემი მუდმივმოქმედი კომისიის საოქმო დადგენილება; მცხეთის რაიონის გამგეობასა და გ. გ-ძის შორის 2002 წლის 4 ივლისის დაიდო მიწის იჯარის ხელშეკრულება 7,95 ჰა მიწის ნაკვეთზე 49 წლის ვადით, საიჯარო ქირა განისაზღვრა წელიწადში 226 ლარით. სასამართლოს მითითებით, ეს თანხა საგადასახადო კოდექსის 152-ე მუხლის მე-4 ნაწილით მოიცავდა როგორც მიწის, ისე საიჯარო გადასახადს. აღნიშნული სასამართლოს მოსაზრებით, დასტურდება მცხეთის რაიონის სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამმართველოს საიჯარო კომისიის თავმჯდომარის წერილით, რომლის თანახმად გ. გ-ძის მიერ იჯარით აღებული მიწის გადასახადი წელიწადში შეადგენდა 206 ლარს, ხოლო საიჯარო ქირა – 20 ლარს. სასამართლომ საქმეში წარმოდგენილი მიწის გადასახადის ქვითრებით დადასტურებულად ჩათვალა, რომ გ. გ-ძე ყოველ წელს იხდიდა სხვადასხვა თანხის გადასახადს, სადაც ზოგან მითითებულია «გადასახადის დასახელებად» მიწის იჯარა, ხოლო ზოგან – მიწის გადასახადი. სააპელაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ მცხეთის რაიონის გამგეობის მიერ არ იქნა მითითებული შესაბამისი საბანკო რეკვიზიტები და ანგარიშის ნომერი, სადაც მოიჯარეს უნდა მოეხდინა აღნიშნული თანხების ჩარიცხვა. მოიჯარის მიმართ არასოდეს დასმულა საკითხი იჯარის ქირის აუცილებლად გამგეობის ანგარიშზე ჩარიცხვის თაობაზე. სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს არ უნდა გამოეყენებინა სამოქალაქო კოდექსის 558-ე მუხლი, სასამართლომ არ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 405-ე მუხლის მე-3 ნაწილის «გ» ქვეპუნქტი, რომელიც გამორიცხავს ხელშეკრულების მოშლას, თუ ვალდებულების დარღვევისათვის კრედიტორი უმთავრესად თვითონაა პასუხისმგებელი. სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ მცხეთის რაიონის გამგეობამ დაარღვია სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული კეთილსინდისიერების პრინციპი.

სააპელაციო პალატამ ასევე მიუთითა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს არ უმსჯელია მოსარჩელის იმ არგუმენტზე, როგორც იყო მოიჯარის მიერ მიწის არადანიშნულებისამებრ გამოყენება. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა გამგეობის მოსაზრება და მიუთითა, რომ საქმის მასალებით არ დასტურდება გ. გ-ძის მიერ სადავო მიწის არამიზნობრივად გამოყენების ფაქტი. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის I ნაწილის თანახმად კი აღნიშნული მტკიცების ტვირთი ეკისრება მცხეთის რაიონის გამგეობას. სასამართლომ ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს და მცხეთის რაიონული სასამართლოების დადგენილებებით დაკისრებული ადმინისტრაციული სახდელები არ ჩათვალა იმის დასტურად, რომ გ. გ-ძე სადავო მიწის ნაკვეთს იყენებდა არამიზნობრივად, ვინაიდან ამ უკანასკნელთან სადავო საიჯარო ხელშეკრულება დადებულია 2002 წლის 4 ივლისს, ანუ სასამართლოს მიერ დასახელებული დადგენილებების მიღების შემდეგ.

სააპელაციო პალატის გადაწყვეტილებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა ქ. თბილისის მერიამ და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება. კასატორმა განმარტა, რომ მცხეთის რაიონის გამგეობასა და მოქ. გ. გ-მეს შორის 2002 წლის 4 ივლისს გაფორმებული სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარის შესახებ ხელშეკრულების მე-4 მუხლის 1 პუნქტის «გ» ქვეპუნქტის შესაბამისად მეიჯარეს უფლება აქვს იჯარის ვადის გასვლამდე შეწყვიტოს ხელშეკრულება, თუ მოიჯარე არ იხდის იჯარის ქირას ხელშეკრულებით დადგენილი ვადის გასვლიდან 3 თვის განმავლობაში. სასამართლომ დადგენილად ჩათვალია ის ფაქტი, რომ გ. გ-მის მიერ ხდებოდა ხელშეკრულებით ნაკისრი თანხის გადახდა საგადასახადო ორგანოში, თუმცა ყურადღება არ გაუმახვილებია იმ გარემოებაზე, რომ გადახდის ქვითრებში ზოგან მითითებულია მიწის გადასახადი, ხოლო ზოგან მიწის იჯარა. კასატორი მიუთითებს, რომ სასამართლომ არ დააჯამა ქვითრებით გადახდილი თანხა (სადაც მითითებულია იჯარის გადასახადი) და არ შეადარა იმ თანხას, რომელიც რეალურად გადახდილი უნდა ყოფილიყო მოიჯარის მიერ. კასატორი აღნიშნავს, რომ სასამართლომ არ გაიზიარა მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მითითება იმ ფაქტზე, რომ მოიჯარე აუარესებდა იჯარით აღებული ნივთის მდგომარეობას და მას არადანიშნულებისამებრ იყენებდა, რაც ზემოთ აღნიშნული ხელშეკრულების შესაბამისად (მე-4 მუხლის პირველი პუნქტის «გ» ქვეპუნქტი) ასევე არის ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლის საფუძველი. ის რომ მოქ. გ. გ-მე არასათანადოდ იყენებდა მიწის ნაკვეთს და აუარესებდა მის მდგომარეობას, კასატორის მოსაზრებით ნათლად ჩანს გარემოს დაცვის სამინისტროს 2005 წლის ივლისის წერილში (მდინარე მტკვრის მარჯვენა სანაპირო ზოლში არსებული მდგომარეობის სწავლული კომისიის მიერ მომზადებული დასკვნები და რეკომენდაციები).

### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, ქალაქ თბილისის მერიის საკასაციო საჩივრის მოტივების შემოწმების შედეგად თვლის, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ; მოცემულ საქმეზე უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 29 აპრილის გადაწყვეტილება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე პალატას შემდეგ გარემოებათა გამო:

როგორც საქმის მასალებით ირკვევა, მცხეთის რაიონის გამგეობამ 1997 წლის 24 თებერვლის 119 დადგენილებით გ. გ-მეს იჯარით გადასცა 36,21 ჰა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი 10 წლის ვადით. მცხეთის რაიონის გამგეობამ ცვლილება შეიტანა აღნიშნულ დადგენილებაში და 2002 წლის 30 მაისს გ. გ-მეს ნაცვლად 36,21 ჰა სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთისა იჯარით დაუტოვა 7,95 ჰა მიწის ნაკვეთი 49 წლის ვადით. საქმეში წარმოდგენილი სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარის ხელშეკრულების (2002 წლის 4 ივლისის) მე-2.1 პუნქტის თანახმად იჯარით აღებული მიწის ნაკვეთებით სარგებლობისათვის საიჯარო ქირა წელიწადში შეადგენს 226 ლარს. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო კოდექსის 581-ე მუხლის პირველი ნაწილის მეორე წინადადების თანახმად მოიჯარე მოვალეა გადაუხადოს მეიჯარეს დათქმული საიჯარო ქირა. ზემოაღნიშნული იჯარის ხელშეკრულებით მეიჯარეს წარმოადგენს რა მცხეთის რაიონის გამგეობა, ხელშეკრულების შინაარსიდან გამომდინარე მოიჯარეს სწორედ მის წინაშე ეკისრება საიჯარო ქირის გადახდის ვალდებულება. სამოქალაქო კოდექსის 386-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად შესრულების ადგილის საეკვიპოობისას ფულადი ვალდებულება უნდა შესრულდეს კრედიტორის ადგილსამყოფელის (საცხოვრებელი ადგილი ან იურიდიული მისამართი) მიხედვით. ამ ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ საიჯარო ხელშეკრულებაში გამგეობის ანგარიშის, საბანკო რეკვიზიტების მიუთითებლობა არ ათავისუფლებს გ. გ-მეს ვალდებულებისაგან – არ გადაეხადა საიჯარო ქირა მოსარჩელისათვის.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატამ 2006 წლის 19 აპრილის განჩინებით მოცემულ დავასთან დაკავშირებით მიუთითა, რომ მცხეთის რაიონის სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამმართველოს საიჯარო კომისიის თავმჯდომარის წერილით დადასტურებულია, რომ გ. გ-მის მიერ იჯარით აღებული მიწის გადასახადი წელიწადში შეადგენდა 206 ლარს, ხოლო საიჯარო ქირა – 20 ლარს. საკასაციო სასამართლომ აქვე მიუთითა, რომ სააპელაციო პალატას უნდა გამოერკვია მიწის გადასახადისა და საიჯარო ქირის მოსარჩელის მიერ გადახდის ფაქტობრივი გარემოება, ვინაიდან საქმეში წარმოდგენილი ქვითრები ყოველ წელს სხვადასხვა თანხის გადახდას ადასტურებს.

საკასაციო პალატამ ზემოაღნიშნული გარემოებების დასადგენად საკასაციო სასამართლოს მითითების მიუხედავად, კვლავ მცხეთის რაიონის სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამმართველოს საიჯარო კომისიის თავმჯდომარის წერილი გამოიყენა და მიუთითა საგადასახადო კოდექსის 152-ე მუხლის მე-4 ნაწილზე. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ზემოაღნიშნული ნორმა საგადასახადო კოდექსის 152-ე მუხლს დაემატა 2003 წლის 18 ივლისს. ამ ნორმის თანახმად, სახელმწიფო საკუთრების სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწით სარგებლობისათვის მოიჯარეები იხდიან საიჯარო ქირას, რომელიც მოიცავს მიწის გადასახადს. საიჯარო ქირა არ შეიძლება იყოს იმავე მიწით სარგებლობისათვის დაწე-

სებულ გადასახადზე ნაკლები. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საგადასახადო კოდექსის 152-ე მუხლი შედიოდა ამავე კოდექსის მე-6 კარში, ხოლო საგადასახადო კოდექსის მე-6 კარი კი ამოღებულ იქნა კოდექსიდან 2003 წლის 31 დეკემბერს, ამიტომ სააპელაციო სასამართლომ ზემოაღნიშნული ნორმა ისე გამოიყენა, რომ არ გამოარკვია მოპასუხის მიერ გადასახდელი საიჯარო ქირის დავალიანების პერიოდი, ასევე, ამ პერიოდის გათვალისწინებით გადასახდელი საიჯარო ქირის მოცულობა, რის გამოც საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ არ შეასრულა ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს მითითება და არ გამოიკვლია საქმისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოება.

საკასაციო სასამართლოს დაუსაბუთებლად მიაჩნია ასევე სააპელაციო პალატის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ საქმის მასალებით არ დასტურდება გ. გ-ძის მიერ სადავო მიწის ნაკვეთის არამიზნობრივად გამოყენების ფაქტი; საკასაციო პალატა თვლის, რომ გ. გ-ძის იჯარით აღებული მიწის ნაკვეთის ფართის შემცირება არ წარმოადგენს იმის უტყუარ მტკიცებულებას, რომ მოსარჩელე 7,95 ჰა მიწის ნაკვეთს არ იყენებს არამიზნობრივად. ამიტომ საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ არ გამოიკვლია და არ შეაფასა საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მოთხოვნის შესაბამისად, რომლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა, ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ.

ყოველივე ზემოაღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია, რის გამოც იგი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის «ე» პუნქტის თანახმად, კანონის დარღვევით მიღებულად უნდა ჩაითვალოს.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს ქ. თბილისის მერიის საკასაციო საჩივარი;
2. გაუქმდეს მოცემულ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 29 აპრილის გადაწყვეტილება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე პალატას
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდე

#### **გადაწყვეტილების გაუქმება უფლებამოსილი მოსამართლის ხელმოუწერლობის გამო**

#### **განჩინება**

18ს-1189-1151(2კ-08)

12 მარტი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. ქადაგიძე,  
მ. ცისკაძე

**სარჩელის საგანი:** ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა და სამუშაოზე აღდგენა

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

2007 წლის 29 თებერვალს ი. მ-მემ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის მიმართ და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის 2007 წლის 26 იანვრის 127-ა ბრძანების ბათილად ცნობა და სამუშაოზე აღდგენა მოითხოვა.

მოსარჩელის განმარტებით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის თავმჯდომარის 2004 წლის 7 სექტემბრის 12287-პ ბრძანების საფუძველზე დაინიშნა თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის საოლქო საგადასახადო ინსპექციის გადასახადების ადმინისტრირების განყოფილების უფრო-

სი ინსპექტორის მოვალეობის შემსრულებლად. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის თავმჯდომარის 2004 წლის 1 ოქტომბრის '2809-პ ბრძანების საფუძველზე გადაყვანილ იქნა ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის გამამხდელთა მომსახურების სამმართველოს ვაკე-საბურთალოს განყოფილების უფროსი ინსპექტორის მოვალეობის შემსრულებლად. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის თავმჯდომარის 2006 წლის 20 დეკემბრის '3119-პ ბრძანებით გადაყვანილ იქნა საგადასახადო ადმინისტრირების სამმართველოს საგადასახადო გამამხდელის საქმიანობაზე დაკვირვების საგადასახადო კონტროლის პროცედურების განყოფილების უფროსი ინსპექტორის მოვალეობის შემსრულებლად, ხოლო საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის 2007 წლის 26 იანვრის '127-ა ბრძანებით, «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 95-ე მუხლის შესაბამისად (გათავისუფლება საკუთარი ინიციატივის საფუძველზე) გათავისუფლება სამსახურიდან.

მოსარჩელის განმარტებით, მისი სამსახურიდან გათავისუფლების ბრძანება უკანონო იყო და ლახავდა მის კანონიერ უფლებებსა და ინტერესებს, ვინაიდან სამსახურიდან გათავისუფლების მოთხოვნით განცხადება მას არ დაუწერია და არც ხელი მოუწერია მასზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 28 მარტის საოქმო განჩინებით მოპასუხე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტი შეიცვალა მისი უფლებამონაცვლე – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 7 აპრილის საოქმო განჩინებით მოცემულ საქმეში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ მესამე პირად საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია) ჩაება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილებით ი. მ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა – ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის 2007 წლის 26 იანვრის '127-ა ბრძანება და ი. მ-მ აღდგენილ იქნა გათავისუფლებამდე დაკავებულ თანამდებობაზე.

აღნიშნული გადაწყვეტილება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონალურმა ცენტრმა (საგადასახადო ინსპექცია) სააპელაციო წესით გაასაჩივრა. აპელანტმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურმა, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 14 ივლისის გადაწყვეტილებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) სააპელაციო საჩივრები ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილების შეცვლით მოცემულ საქმეზე მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ი. მ-ძის სასარჩელო განცხადება ნაწილობრივ დაკმაყოფილდა – სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის 2007 წლის 26 იანვრის '127-ა ბრძანება და ამავე ადმინისტრაციულ ორგანოს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების შეფასებისა და გამოკვლევის შემდეგ ახალი ადმინისტრაციული აქტის გამოცემა დაევალა გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან 1 თვის ვადაში; ი. მ-მეს უარი ეთქვა გათავისუფლებულ თანამდებობაზე აღდგენაზე.

აღნიშნული გადაწყვეტილება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურმა საკასაციო წესით გაასაჩივრა. კასატორმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 14 ივლისის გადაწყვეტილება საკასაციო წესით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონალურმა ცენტრმა (საგადასახადო ინსპექცია) გაასაჩივრა. კასატორმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორები აღნიშნავენ, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება გამოტანილი იყო იმ მოსამართლის მიერ, რომელიც საქმის განხილვაში საერთოდ არ მონაწილეობდა, ხოლო მოსამართლე, რომელიც მონაწილეობდა საქმის განხილვაში, გადაწყვეტილებას ხელს არ აწერდა, რაც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის შესაბამისად, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველს წარმოადგენდა.

კასატორები ასევე მიუთითებენ, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ არ იყო დაცული საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 389-ე მუხლით დადგენილი იმპერატიული მოთხოვნები, კერძოდ, სააპე-

ლაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არ პასუხობდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 249-ე მუხლის მოთხოვნებს.

კასატორები უსაფუძვლოდ მიიჩნევენ ადმინისტრაციული ორგანოსათვის ხელახალი ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების დავალებას, ვინაიდან, თუ სააპელაციო სასამართლომ დადგინდა მიიჩნია, რომ განცხადება სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე დაწერილი იყო, არა მოსარჩელის მიერ და აღნიშნული წარმოდგენდა სადავო ბრძანების უპირობო გაუქმების საფუძველს, მაშინ გაუგებარი იყო ადმინისტრაციული წარმოების დროს რა გარემოება უნდა ყოფილიყო გამოკვლეული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 31 ოქტომბრის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) საკასაციო საჩივრები; მხარეებს მიეცათ უფლება, 2008 წლის 31 ოქტომბრის განჩინების ჩაბარებიდან 14 დღის ვადაში წარმოედგინათ მოსაზრება, თუ რამდენად იყო დასაშვები განსახილველად საკასაციო საჩივარი საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით; საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დასაშვებობის შემოწმება განისაზღვრა 2008 წლის 25 დეკემბრამდე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 25 დეკემბრის განჩინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) საკასაციო საჩივრები მიჩნეულ იქნა დასაშვებად საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის «გ» ქვეპუნქტით და საკასაციო საჩივრების განხილვა დაინიშნა 2009 წლის 12 მარტს მხარეთა დასწრების გარეშე;

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრების საფუძვლიანობის შესწავლის, გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) საკასაციო საჩივრები უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივი შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 25 დეკემბრის განჩინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) საკასაციო საჩივრები მიჩნეულ იქნა დასაშვებად საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის «გ» ქვეპუნქტით, კასატორები საკასაციო საჩივრებში მიუთითებენ, რომ გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას ხელს აწერს ის მოსამართლე, რომელსაც არ მიუღია მონაწილეობა საქმის განხილვაში.

საკასაციო სასამართლომ კასატორების პრეტენზიის საფუძველზე შეამოწმა ზემოაღნიშნული დარღვევის არსებობის ფაქტი და მიიჩნია, რომ არსებობს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველი.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის «ვ» ქვეპუნქტის საფუძველზე, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილებას ხელს არ აწერენ ის მოსამართლეები, რომლებიც გადაწყვეტილებაში არიან აღნიშნული.

საქმეში წარმოდგენილია თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 14 ივლისის სხდომის ოქმი, რომლითაც ირკვევა, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის სააპელაციო საჩივრის განხილვაში მონაწილეობდნენ მოსამართლეები – ნ. ჭ-შვილი, მ. ჩ-ელი და თ. ე-შვილი. გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას ხელს აწერენ მოსამართლეები – ნ. ჭ-შვილი, მ. ჩ-ელი და ლ. მ-შვილი.

ამდენად უდავოა, რომ არ მომხდარა საქმის განხილვაში მონაწილე მოსამართლეთა და გადაწყვეტილებაზე ხელმოწერ მოსამართლეთა ვინაობის თანხვედრას, რაც ზემოაღნიშნული მუხლის საფუძველზე წარმოადგენს გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს.

საგულისხმოა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლი შეიცავს იმ საპროცესო დარღვევების ჩამონათვალს, რომლებიც კანონმდებლის მიერ შეფასებულია იმ სახის დარღვევად, რომელიც უცილობლად

იწვევს გადაწყვეტილების გაუქმებას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით, რომ წინამდებარე შემთხვევაში არსებობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის «ვ» პუნქტით დადგენილი გარემოება, საკასაციო სასამართლო შეუძლებლად მიიჩნევს გადაწყვეტილების სამართლებრივი საფუძვლების შემოწმებას და თვლის, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო საჩივრები ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 412-ე მუხლით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) საკასაციო საჩივრები დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 14 ივლისის გადაწყვეტილება და საქმე განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### **გადაწყვეტილების გაუქმება დაუსაბუთებლობის გამო**

#### **განჩინება**

18ს-929-893(კ-08)

1 აპრილი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. ცისკაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი)  
ნ. სხირტლაძე,  
პ. სილაგაძე

**დავის საგანი:** ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა და ახალი აქტით თანხის ჩამოწრა

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

ნ. ბ-შვილმა 2007 წლის 13 მარტს სარჩელით მიმართა თელავის რაიონულ სასამართლოს მოპასუხე თელავის საგადასახადო ინსპექციის მიმართ და მოითხოვა თელავის საგადასახადო ინსპექციის 2007 წლის 28 თებერვლის 19 საგადასახადო მოთხოვნის ბათილად ცნობა. მან ასევე მოითხოვა თელავის საგადასახადო ინსპექციას დავალებოდა ახალი აქტის გამოცემა, რომლითაც მას ჩამოეწერებოდა 2395 ლარი.

თელავის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 13 აპრილის გადაწყვეტილებით ნ. ბ-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ – ბათილად იქნა ცნობილი 2007 წლის 28 თებერვლის 19 საგადასახადო მოთხოვნა; თელავის საგადასახადო ინსპექციას დაევალა ნ. ბ-შვილის მიმართ გამოეცა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი 2005 წლის საიჯარო გადასახადისა და დარიცხული შესაბამისი საურავის მოხსნის შესახებ 17,48 ჰა მიწის ნაკვეთზე; თელავის საგადასახადო ინსპექციას ასევე დაევალა გამოეკვლია ნ. ბ-შვილის მიმართ 2001-2004 წლებში საიჯარო გადასახადის ოდენობა არსებული დოკუმენტის გათვალისწინებით და გამოეცა ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თელავის საგადასახადო ინსპექციამ.

სააპელაციო სასამართლოში შეგებებული სააპელაციო საჩივარი წარადგინა ნ. ბ-შვილმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 18 მარტის გადაწყვეტილებით თელავის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) სააპელაციო საჩივარი და ნ. ბ-შვილის შეგებებული სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ – თელავის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 13 აპრილის გადაწყვეტილების შეცვლით სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ნ. ბ-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ – სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი თელავის საგადასახადო ინსპექციის 2007 წლის 28 თებერ-

ვლის 19 საგადასახადო მოთხოვნა და თელავის რეგიონალურ ცენტრს (საგადასახადო ინსპექცია) დაევალა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი აქტის გამოცემა.

სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 276-ე მუხლის პირველი პუნქტის «ჯ» ქვეპუნქტის თანახმად, შესაბამისი დაბეგვრის ობიექტის მიხედვით ქონების გადასახადისაგან გათავისუფლებულია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები, რომლებზედაც მოწყული მოსავლის ნახევარზე მეტი განადგურდა სტიქიის (ქარიშხალი, სეტყვა, წყალდიდობა) და სხვა ფორმისაქორული შემთხვევების შედეგად. მიწის გადასახადისაგან გათავისუფლების საფუძველია ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს გადაწყვეტილება, რომელიც მიიღება საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამის ტერიტორიულ ორგანოსთან შეთანხმებით. კომისიის დასკვნა დგება ორჯერ: სტიქიის დამთავრების მომენტიდან ორი კვირის ვადაში და მოსავლის აღების წინ; სააპელაციო პალატამ მიუთითა, საქმეში არსებული, ლაგოდეხის რაიონის საკრებულოს 2005 წლის 29 აგვისტოს 112 გადაწყვეტილებით (სტიქიის და ფორმისაქორული გარემოებების შედეგად დაზარალებული მოიჯარეების მიწის გადასახადისაგან გათავისუფლების შესახებ) დადგენილ იქნა მოიჯარეების, მათ შორის, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 276-ე მუხლის შესაბამისად ნ. ბ-შვილის 17.53 ჰა სახნავი მიწის ფართობის, გადასახადისაგან გათავისუფლება; სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ საქმეში წარმოდგენილია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის თელავის საგადასახადო ინსპექციის 2005 წლის 30 მაისის საგადასახადო მოთხოვნა 12063, რომლის ჩანაწერების თანახმად, 2005 წლის 1 მაისის მდგომარეობით ნ. ბ-შვილზე რიცხული საგადასახადო დავალიანება, საიჯარო მიწის ქონების გადასახადი და საძოვარი მიწის ქონების გადასახადი შეადგენს – 39.77 ლარს, საურავი – 3.344 ლარს; თელავის საგადასახადო ინსპექციის მიერ გაცემული ფორმა 123-ის თანახმად, ნ. ბ-შვილს (ს/ნ ...) 2006 წლის 2 თებერვლიდან 2006 წლის 27 მარტამდე ნარჩენი და საურავი არ ერიცხება და 2006 წლის 26 მარტის მდგომარეობით ერიცხება ზედმეტობა 144.40 ლარი; წარმოდგენილია ქვითარი 2001 წელში მიწის გადასახადის, 249 ლარის, ასევე, 2001 წელში ქონების გადასახადის – 300 ლარის, გადახდის შესახებ; სასამართლომ მიუთითა, რომ მოსარჩელე ითხოვდა რა სადავო საგადასახადო მოთხოვნის ბათილად ცნობას, მიუთითებს 2001-2005 წლების გადასახადისაგან გათავისუფლებაზე. მოპასუხე სადავოდ არ ხდის იმ გარემოებას, რომ საგადასახადო მოთხოვნაში მითითებული თანხა აღნიშნული წლებისაა, საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-80.2 მუხლის თანახმად კი საგადასახადო მოთხოვნის წარდგენის კონკრეტულ საფუძველზე შესაბამის პირებს წარედგინება ერთი საგადასახადო მოთხოვნა; მითითებულ ფაქტობრივ გარემოებათა საფუძველზე სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის, 2007 წლის 28 თებერვლის 19 საგადასახადო მოთხოვნის, გამოცემისას მოპასუხე თელავის საგადასახადო ინსპექციამ არ გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები, არ დააზუსტა გადასახადის ზუსტი ოდენობები წლების მიხედვით და იგი გამოსცა მათი გამოკვლევისა და შეფასების გარეშე.

სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თელავის რეგიონალურმა ცენტრმა (საგადასახადო ინსპექცია) და მოითხოვა სააპელაციო პალატის გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელზე უარის თქმა. კასატორი აღნიშნავს, რომ საქმეში არსებული მასალების მიხედვით მოსარჩელეს 1998 წლიდან იჯარით ჰქონდა აღებული 17,48 ჰა სახნავი მიწის ფართობი, რომელიც 2005 წლის სტიქიის გამო დაიტბორა და შეუძლებელი გახდა მისი დამუშავება. კასატორისათვის გაურკვეველია, თუ მოსარჩელეს მიწის ნაკვეთი არ დაუმუშავებია, როგორ უნდა გათავისუფლდეს იგი გადასახადისაგან მოსავლის დაზიანების გამო, ხოლო ნიადაგის ნაყოფიერი ფენის დაზიანების შესახებ მოსარჩელეს მტკიცებულება არ წარმოუდგენია. კასატორი განმარტავს, რომ გასაჩივრებული საგადასახადო მოთხოვნით მოთხოვნილია 2006 წლის მიმდინარე გადასახადი, რაზეც რაიონულ და სააპელაციო სასამართლოებს არ უმსჯელიათ, ხოლო რაზეც იმსჯელეს (2001-2005 წლების გადასახადები), ამის შესახებ გასაჩივრებულ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში არაფერია აღნიშნული.

#### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თელავის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) საკასაციო საჩივრის მოტივების შემოწმების შედეგად თვლის, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ; მოცემულ საქმეზე უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 18 მარტის გადაწყვეტილება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე პალატას შემდეგ გარემოებათა გამო:

როგორც საქმის მასალებით ირკვევა, ლაგოდეხის რაიონის გამგეობასა და ნ. ბ-შვილს შორის 1998 წლის 24 სექტემბერს დაიდო სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარის ხელშეკრულება 10 წლის ვადით 17.84 ჰა (სახნავი-8.91 ჰა; საძოვარი-8.62 ჰა; ტყე-0.12 ჰა; გზები-0.15 ჰა; შენობა-ნაგებობანი-0.04 ჰა) მიწის ნაკვეთზე; ნ. ბ-შვილს თელავის საგადასახადო ინსპექციის 2007 წლის 28 თებერვლის საგადასახადო მოთხოვნა 19-ით საგადასახადო კოდექსის 275-ე მუხლის საფუძველზე გადასახადებად დაერიცხა 2006 წლის მიმდინარე გადა-



სახდელი საგადასახადო დავალიანება, მიწის გადასახადი (სასოფლო) ძირითადი თანხა-**949.62**, საურავი-**1445.51** ლარი.

სააპელაციო სასამართლომ დადგინდად მიიჩნია ფაქტობრივი გარემოება იმის შესახებ, რომ ლაგოდეხის რაიონის საკრებულოს **2005** წლის **29** აგვისტოს **112** გადაწყვეტილებით (სტიქიის და ფორსმაჟორული გარემოებების შედეგად დაზარალებული მოიჯარეების მიწის გადასახადისაგან გათავისუფლების შესახებ) დადგინდა იქნა მოიჯარეების, მათ შორის, ნ. ბ-შვილის **17.53** ჰა სახნავი მიწის ფართობის, საქართველოს საგადასახადო კოდექსის **276**-ე მუხლის შესაბამისად გადასახადისაგან გათავისუფლება; სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ საქმეში წარმოდგენილია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის თელავის საგადასახადო ინსპექციის **2005** წლის **30** მაისის საგადასახადო მოთხოვნა **12063**, რომლის ჩანაწერების თანახმად, **2005** წლის **1** მაისის მდგომარეობით ნ. ბ-შვილზე რიცხული საგადასახადო დავალიანება, საიჯარო მიწის ქონების გადასახადი და სამოვარი მიწის ქონების გადასახადი შეადგენს – **39.77** ლარს, საურავი – **3.344** ლარს; თელავის საგადასახადო ინსპექციის მიერ გაცემული ფორმა **123**-ის თანახმად, ნ. ბ-შვილს (ს/ნ ...) **2006** წლის **2** თებერვლიდან **2006** წლის **27** მარტამდე ნარჩენი და საურავი არ ერიცხება და **2006** წლის **26** მარტის მდგომარეობით ერიცხება ზედმეტობა **144.40** ლარი; წარმოდგენილია ქვიტარი **2001** წელში მიწის გადასახადის, **249** ლარის, ასევე **2001** წელში ქონების გადასახადის – **300** ლარის გადახდის შესახებ; სასამართლომ მიუთითა, რომ მოსარჩელე ითხოვდა რა სადავო საგადასახადო მოთხოვნის ბათილად ცნობას, მიუთითებს **2001-2005** წლების გადასახადისაგან გათავისუფლებაზე. აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების დადგენის შემდეგ კი სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ გასაჩივრებული ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის, **2007** წლის **28** თებერვლის **19** საგადასახადო მოთხოვნის, გამოცემისას მოპასუხე თელავის საგადასახადო ინსპექციამ არ გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები, არ დააზუსტა გადასახადის ზუსტი ოდენობები წლების მიხედვით და იგი გამოსცა მათი გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, რის გამოც სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის **32**-ე მუხლის მე-4 ნაწილი და ადმინისტრაციულ ორგანოს დაევალი ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა. საკასაციო პალატას დაუსაბუთებლად მიაჩნია სასამართლოს ამგვარი მსჯელობა, რადგან საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლით განმტკიცებულია ადმინისტრაციულ პროცესში შეჯიბრებითობისა და სასამართლოს მიერ საქმის გარემოებების გამოკვლევის პრინციპი. ამ ნორმის თანახმად ადმინისტრაციული საქმის განხილვისას მხარეები სარგებლობენ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლით მინიჭებული უფლება-მოვალეობებით. ამასთან, სასამართლო უფლებამოსილია, თავისი ინიციატივით მიიღოს გადაწყვეტილება დამატებითი ინფორმაციის ან მტკიცებულების წარმოსადგენად. ამიტომ საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს მოცემული დავის გადაწყვეტისას ინკვიზიციურობის პრინციპიდან გამომდინარე უნდა გამოეყენებინა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-19 მუხლის პირველი ნაწილი, რომელშიც მითითებულია, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის **103**-ე მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების გარდა, სასამართლო უფლებამოსილია, საკუთარი ინიციატივითაც შეაგროვოს ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის თელავის საგადასახადო ინსპექციის **2007** წლის **28** თებერვლის **19** საგადასახადო მოთხოვნით ნ. ბ-შვილს დაერიცხა **2006** წლის მიმდინარე გადასახდელი. მართალია სააპელაციო პალატის **2008** წლის **18** მარტის სხდომაზე თელავის საგადასახადო ინსპექციის წარმომადგენელმა განმარტა, რომ დავის საგანს წარმოადგენდა **2005** წლამდე და **2005** წლის განმავლობაში წარმოშობილი დავალიანება, მაგრამ სააპელაციო პალატის სხდომის ოქმით ირკვევა, რომ სასამართლომ **2006** წლის მიმდინარე გადასახადის თაობაზე მოპასუხის პოზიცია არ გამოარკვია; მით უფრო, რომ საკასაციო საჩივარში მოპასუხე ორგანიზაციის წარმომადგენელმა მიუთითა, რომ სადავო საგადასახადო მოთხოვნა ეხება **2006** წლის მიმდინარე გადასახადსაც, რაზედაც სასამართლოებმა საერთოდ არ იმსჯელეს; ამიტომ საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ მოცემული დავის ხელახლა განხილვისას სადავო საგადასახადო მოთხოვნის კანონიერება უნდა შეამოწმოს **2006** წლის მიმდინარე გადასახადთან მიმართებაშიც.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო პალატის გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია, რის გამოც იგი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის **394**-ე მუხლის «ე1» ქვეპუნქტის თანახმად, კანონის დარღვევით მიღებულად უნდა ჩაითვალოს.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის **412**-ე მუხლით და

**და ა დ გ ი ნ ა:**

1. ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თელავის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) საკასაციო საჩივარი;
2. გაუქმდეს მოცემულ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 18 მარტის გადაწყვეტილება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე პალატას
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## გადაწყვეტილების გაუქმება დაუსაბუთებლობის გამო

### განჩინება

18ს-1198-1160(კ-08)

22 აპრილი, 2009 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა**  
**შემადგენლობა: მ. ცისკაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),**  
**ნ. სხირტლაძე,**  
**პ. სილაგაძე**

**დავის საგანი:** ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა

#### აღწერილობითი ნაწილი:

ვ. ბ-შვილმა 2006 წლის აგვისტოში სარჩელი აღძრა თელავის რაიონულ სასამართლოში მოპასუხე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის თელავის საგადასახადო ინსპექციის მიმართ და მოითხოვა თელავის საგადასახადო ინსპექციის 2006 წლის 27 ივლისის ბრძანება 1226 და 2006 წლის 11 ივნისის საგადასახადო მოთხოვნა 198 ბათილად ცნობა.

თელავის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 23 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ – ბათილად იქნა ცნობილი თელავის საგადასახადო ინსპექციის 2006 წლის 11 ივნისის 198 საგადასახადო მოთხოვნა და თელავის საგადასახადო ინსპექციის უფროსის 2006 წლის 27 ივლისის 1226 ბრძანება; თელავის საგადასახადო ინსპექციას დაევალა საქმის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოეცა ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

პირველი ინსტანციის სასამართლომ მიუთითა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის პირველი ნაწილზე და განმარტა, რომ დაუშვებელია, ადმინისტრაციული აქტის გამოცემას საფუძვლად დაედოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ არის გამოკვლეული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ. პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნით თელავის საგადასახადო ინსპექციის 2006 წლის 11 ივნისის 198 საგადასახადო მოთხოვნა და თელავის საგადასახადო ინსპექციის უფროსის 2006 წლის 27 ივლისის ბრძანება 1226 გამოიცა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების შეფასების გარეშე.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის თელავის საგადასახადო ინსპექციამ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 27 მაისის განჩინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის თელავის საგადასახადო ინსპექციის უფლებამონაცვლედ დადგენილ იქნა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თელავის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია).

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 27 მაისის განჩინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თელავის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თელავის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 23 ოქტომბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის თელავის საგადასახადო ინსპექციის 2006 წლის 11 ივნისის 198 საგადასახადო მოთხოვნით ვ. ბ-შვილს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 80-ე მუხლის საფუძველზე 2006 წლის 11 ივნისის მდგომარეობით დაერიცხა ბიუჯეტის დავალიანება – 29940, 51 ლარი. მათ შორის: დღგ – ძირითადი თანხა 6472 ლარი, სანქცია 1618, საურავი 16741, 88 ლარი; საშემოსავლო გადასახადი – ძირითადი თანხა 1199 ლარი, სანქცია 200 ლარი, საურავი 2 525,19 ლარი; მიწის გადასახადი (სასოფლო) – ძირითადი თანხა 163 ლარი, საურავი 65,01 ლარი; სოც დაზღვევის გადასახადი-სანქცია – 200 ლარი; ქონების გადასახადი – 200 ლარი.

სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ სადავო ადმინისტრაციული აქტების – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის თელავის საგადასახადო ინსპექციის 2006 წლის 11 ივნისის 198 საგადასახადო მოთხოვნის და 2006 წლის 27 ივლისის 1226 ბრძანების ბათილად ცნობისათვის არსებობს მოსარჩელის გადაუდებელი კანონიერი ინტერესი, რაც გამოიხატება იმაში, რომ სადავო აქტებით მოსარჩელე ვ. ბ-შვილს დაეკისრა გადასახადების (ძირითადი თანხის, საურავის, სანქციის) გადახდა.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა ასევე საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-5 მუხლზე და ჩათვალა, რომ «საგადასახადო მოთხოვნის» (გადასახადის ან/და სანქციის თანხის დარიცხვის შესახებ) წარდგენის ხანდაზმულობის ვადაა 6 წელი, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. ეს ვადა აითვლება შესაბამისი ვალდებულების წარმოშობის კალენდარული წლის დასრულებიდან; სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, საგადასახადო ორგანოს მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი დამადასტურებელი მტკიცება იმის თაობაზე, რომ სადავო საგადასახადო მოთხოვნა ვ. ბ-შვილს წარედგინა საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-5 მუხლის მოთხოვნათა დაცვით.

სააპელაციო პალატის განჩინებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თელავის რეგიონალურმა ცენტრმა (საგადასახადო ინსპექცია) და მოითხოვა საჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა. კასატორმა განმარტა, რომ საგადასახადო კოდექსის (1997 წლის რედაქციით) 92-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, პირი, რომელიც ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას და ნებისმიერი უწყვეტი 12 კალენდარული თვის განმავლობაში ახორციელებს დღ-ით დასაბეგრ ოპერაციებს, რომელთა საერთო თანხა აღემატება 24000 ლარს, ვალდებულია, ამ მომენტის დადგომიდან არა უგვიანეს მეორე დღისა საგადასახადო ორგანოში წარადგინოს განცხადება დღ-ს გადამხდელად რეგისტრირებისათვის. ამდენად მოცემულ მუხლში არ არის მითითება იმის შესახებ, რომ დღ-ს დაუბეგრავი თანხა შეადგენს 24000 ლარს, და რომ მხოლოდ ამ თანხის ზევით არსებული შემოსავლები უნდა იქნეს დაბეგრილი დღ-ს გადასახადით. საშემოსავლო გადასახადში არსებულ დეკლარაციასთან დაკავშირებით კასატორი აღნიშნავს, რომ მოსარჩელე აღიარებს, რომ არ ჰქონდა დეკლარაციაზე დართული დანართები, რომლითაც დასტურდება გაწეული ხარჯების ნამდვილობა, ასეთი დოკუმენტის გარეშე კი საგადასახადო ორგანო ვერ განსაზღვრავს, თუ რა თანხა უნდა გააკლდეს შემოსავლებს.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატა საქმის მასალების განხილვის, საკასაციო საჩივრის შემოწმების შედეგად თვლის, რომ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, მოცემულ საქმეზე უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 27 მაისის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ დადგინებულად მიიჩნია ფაქტობრივი გარემოება იმის შესახებ, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის თელავის საგადასახადო ინსპექციის 2006 წლის 11 ივნისის 198 საგადასახადო მოთხოვნით ვ. ბ-შვილს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 80-ე მუხლის საფუძველზე 2006 წლის 11 ივნისის მდგომარეობით დაერიცხა ბიუჯეტის დავალიანება 29940, 51 ლარი. მათ შორის: დღგ – ძირითადი თანხა 6472 ლარი, სანქცია – 1618, საურავი – 16741, 88 ლარი; საშემოსავლო გადასახადი – ძირითადი თანხა 1199 ლარი, სანქცია – 200 ლარი, საურავი 2 525,19 ლარი; მიწის გადასახადი (სასოფლო) – ძირითადი თანხა 163 ლარი, საურავი – 65,01 ლარი; სოც დაზღვევის გადასახადი – სანქცია 200 ლარი; ქონების გადასახადი – 200 ლარი.

საკასაციო პალატას დასაბუთებულად მიაჩნია კასატორის მოსაზრება იმის შესახებ, რომ მოცემული საქმის განხილველი სასამართლო გასცდა სასარჩელო მოთხოვნას, რადგან მოსარჩელე სადავო საგადასახადო მოთხოვნაში მითითებული თანხებიდან ნაწილს ეთანხმება. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ თელავის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 23 ოქტომბრის სხდომაზე ვ. ბ-შვილის წარმომადგენელმა განმარტა, რომ პრეტენზია არ გააჩნიათ 543 ლარის გადახდაზე და ამიტომ გასაჩივრებული აქტების ბათილად ცნობას ითხოვს დანარჩენ ნაწილში; აღნიშნული განმარტების მიუხედავად სასამართლოებმა მთლიანად ბათილად ცნეს თელავის საგადასახადო ინსპექციის 2006 წლის 11 ივნისის 198 საგადასახადო მოთხოვნა და თელავის საგადასახადო ინსპექციის უფროსის 2006 წლის 27 ივლისის 1226 ბრძანება, რის გამოც დარღვეულ იქნა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 248-ე მუხლის მოთხოვნა იმის შესახებ, რომ სასამართლოს უფლება არა აქვს, მიაკუთვნოს თავისი გადაწყვეტილებით მხარეს ის, რაც მას არ უთხოვია, ან იმაზე მეტი, ვიდრე ის მოითხოვდა.

საკასაციო სასამართლოს დაუსაბუთებლად მიაჩნია სააპელაციო პალატის მიერ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენება; ამ ნორმის თანახმად, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, იგი უფლებამოსილია, სადავო საკითხის გადაწყვეტლად, ბათილად ცნოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და დაავალოს ადმინისტრაციულ ორგანოს, ამ გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოს-

ცეს ახალი. სასამართლო ამ გადაწყვეტილებას იღებს, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისათვის არსებობს მხარის გადაუდებელი კანონიერი ინტერესი.

საკასაციო პალატა თვლის, რომ მოცემული დავის გადასაწყვეტად სააპელაციო სასამართლოს არ უნდა გამოეყენებინა ზემოაღნიშნული ნორმა, რადგან სასამართლომ არ დაასაბუთა, რატომ იყო შეუძლებელი თვითონ გამოეკვლია საქმის გარემოებები და სადავო საკითხის არსებითად გადაწყვეტით, საქმეზე დასაბუთებული გადაწყვეტილება მიეღო. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ არ იმსჯელა მოპასუხის მოტივებზე იმის შესახებ, გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისათვის საკმარისი იყო თუ არა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევის მოცულობა.

საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლოს პირველ ყოვლისა თვითონ უნდა დაედგინა შესაბამისი ფაქტობრივი გარემოებები, გამოეკვლია საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები. საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლით განმტკიცებულ ინკვიზიციურობის პრინციპზე, რომლის თანახმად, ადმინისტრაციული საქმის განხილვისას სასამართლო უფლებამოსილია, თავისი ინიციატივით მიიღოს გადაწყვეტილება დამატებითი ინფორმაციის ან მტკიცებულების წარმოსადგენად.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ დაარღვია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის მიხედვით, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს სასამართლო სხდომაზე მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ.

ყოველივე ზემოაღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ სააპელაციო პალატის განჩინების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია, რის გამოც იგი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის «ე» ქვეპუნქტის თანახმად, კანონის დარღვევით მიღებულად უნდა ჩაითვალოს.

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

#### და ა დ გ ი ნ ა:

1. ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თელავის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) საკასაციო საჩივარი;
2. გაუქმდეს მოცემულ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 27 მაისის განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე პალატას;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### მხარის დაუსწრებლად საქმის განხილვის დაუშვებლობა

#### განჩინება

ბს-487-460(კს-09)

20 მაისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ცისკაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ნ. სხირტლაძე,

პ. სილაგაძე

დავის საგანი: ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობა

#### აღწერილობითი ნაწილი:

ლ. ბ-მემ 2006 წლის სექტემბერში სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე – ქ.თბილისის მთავრობის, მესამე პირი შპს «...» მიმართ და მოითხოვა ქ. თბილისის მთავრობის 2006 წლის 20 იანვრის 101-39-39 დადგენილების ლ. ბ-მის მიერ დაკავებული საცხოვრებელი ფართის ნაწილში, მდებარე თბილისში, ... გამზ. 137-ში, 12ა კორპუსის ბინა 137, ბათილად ცნობა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 23 აპრილის გადაწყვეტილებით ლ. ბ-მის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ – სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი ქ.თბილისის მთავრობის 2006 წლის 20 იანვრის 101-39-39 დადგენილება ლ. ბ-მის

მიერ დაკავებული საცხოვრებელი ფართის ნაწილში, მდებარე თბილისში, ... გამზ. 137-ში 12ა კორპუსი, ბინა 137; თბილისის მთავრობას დაევალა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შედეგად ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ლ. ბ-ძის მიმართ ბინაზე, მდებარე თბილისში, ... გამზ. 137-ში 12ა კორპუსის ბინა 137, გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ქ. თბილისის მერიამ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 28 ნოემბრის განჩინებით მესამე პირის შპს «...» უფლებამონაცვლედ ქ. თბილისის მთავრობის 2006 წლის 1 იანვრის #013939 დადგენილების მე-4 პუნქტის შესაბამისად დადგენილ იქნა შპს «...».

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 30 იანვრის განჩინებით ქ.თბილისის მერიის და შპს «...» წარმომადგენლების შუამდგომლობა საქმის შეწყვეტის შესახებ დაკმაყოფილდა – ადმინისტრაციულ საქმეზე 13ბ/760-08 ლ. ბ-ძის სარჩელთან დაკავშირებით, შეწყდა წარმოება დაუშვებლობის გამო; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 23 აპრილის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ თავისი განჩინება დაასაბუთა იმით, რომ ლ. ბ-ძემ 2003 წლის 25 ივნისს სასარჩელო განცხადებით მიმართა ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს, მოპასუხე თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგეობისა და მესამე პირის – ნ. ლ-შვილის მიმართ, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე, მოსარჩელე სასარჩელო განცხადებით ითხოვდა, ქ. თბილისის ვაკე – საბურთალოს რაიონის გამგეობისათვის ბინაზე ორდერის გადაცემის დავალებას. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგეობამ 2003 წლის 19 ნოემბერს შეგებებული სარჩელით მიმართა თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოს, მოპასუხე – ლ. ბ-ძის მიმართ, რომლითაც მოითხოვა ლ. ბ-ძის თანმხლებ პირებთან ერთად სადავო ბინიდან გამოსახლება. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2003 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილებით ლ. ბ-ძის სასარჩელო განცხადება არ დაკმაყოფილდა, ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგეობის შეგებებული სარჩელი დაკმაყოფილდა და ლ. ბ-ძე გამოსახლებულ იქნა სადავო ბინიდან თანხლებ პირებთან ერთად. აღნიშნული გადაწყვეტილება ლ. ბ-ძემ გაასაჩივრა სააპელაციო საჩივრით. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2005 წლის 25 იანვრის განჩინებით, ლ. ბ-ძის სააპელაციო საჩივრი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2003 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილება. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2005 წლის 25 იანვარს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ლ. ბ-ძემ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2005 წლის 17 ნოემბრის განჩინებით ლ. ბ-ძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა – გაუქმდა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციულ სამართლისა და საგადასახადო საქმეთა პალატის 2005 წლის 25 იანვრის განჩინება და საქმე ხელახალა განსახილველად დაუბრუნდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 22 მაისის გადაწყვეტილებით, ლ. ბ-ძის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ – თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2003 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებული იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ლ. ბ-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა. ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგეობის შეგებებული სარჩელის ნაწილში შეწყდა საქმის წარმოება დაუშვებლობის მოტივით. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 22 მაისის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ლ. ბ-ძემ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 18 დეკემბრის განჩინებით, ლ. ბ-ძეს უარი ეთქვა საკასაციო საჩივრის განსახილველად დაშვებაზე. შესაბამისად თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 22 მაისის გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში. სააპელაციო პალატის გადაწყვეტილებით დადგენილადაა ცნობილი, რომ ვაკის რაიონის სასამართლოს 1996 წლის 25 აპრილის კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილებით, ... მე-2ა კორპუსის 137 ბინაში შესახლებული იქნა ნ. ლ-შვილი. ქ. თბილისის მთავრობის 2002 წლის 5 აგვისტოს 112-40-264 დადგენილებით ყოფილი ... ტერიტორიაზე არსებული საერთო საცხოვრებლები, მათ შორის, მე-2 კორპუსი ჩაირიცხა გამგეობის საბინაო ფონდში. ლ. ბ-ძეს უარი ეთქვა მის სახელზე სადავო ბინის გაფორმებაზე იმ მოტივით, რომ იგი ბინაში შესახლებულ იქნა დროებით, ხოლო სასამართლოს გადაწყვეტილებით აღნიშნულ ბინაში უნდა შესახლდეს ნ. ლ-შვილი. გარდა ამისა, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 20 ივნისის კანონიერ ძალაში შესული განჩინებით, დაუშვებლად იქნა ცნობილი ლ. ბ-ძის სარჩელი ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგეობის მიმართ, რომლითაც მოსარჩელე ითხოვდა მოპასუხის დავალდებულებას, განახორციელოს სადავო ბინის მის სახელზე პრივატიზაცია. საქალაქო სასამართლომ ჩათვალა, რომ ბინაზე ორდერის გაცემის შესახებ ზემოთაღნიშნული დავის გადაწყვეტამდე, არ დგინდება მოსარჩელის მიერ ბინით სარგებლობის კანონიერება, შესაბამისად, პრივატიზაციის განხორციელებაზე ადმინისტრაციულ ორგანოს უარი არ შეიძლება ზიანს აყენებდეს მოსარჩელის კანონიერ უფლებას.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-2 ნაწილსა და ამავე კოდექსის 26<sup>2</sup> მუხლზე და მიიჩნია, რომ კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილებებით არ დგინდება ლ. ბ-ძის კანონიერი უფლება სადავო ბინაზე, შესაბამისად ადმინისტრაციული ორგანოს-ქ.თბილისის მთავრობის მიერ გამოცემული 2006 წლის 20 იანვრის <sup>1</sup> 01-39-39 დადგენილების გასაჩივრებელი ნაწილი, მოსარჩელეს არ აყენებს პირდაპირ და უშუალო ზიანს, რაც სააპელაციო სასამართლომ სარჩელის დაუშვებლად ცნობის და საქმის წარმოების შეწყვეტის უპირობო საფუძველად მიიჩნია.

სააპელაციო პალატის განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა ლ. ბ-მემ და მოითხოვა სააპელაციო პალატის განჩინების გაუქმება და საქმის დაბრუნება იმავე ინსტანციის სასამართლოში არსებითი განხილვისათვის.

კერძო საჩივრის ავტორის აზრით, სააპელაციო სასამართლოს განჩინება საქმის წარმოების შეწყვეტის თაობაზე უკანონო და დაუსაბუთებელია შემდეგ გარემოებათა გამო: სასამართლო პალატამ საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძველად არასწორად მიიჩნია მითითებული, კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილება და ის ფაქტი, რომ თითქოს არ დგინდება ლ. ბ-ძის მიერ სადავო ბინით სარგებლობის კანონიერება, რაც მოკლებულია საფუძველს და დასაბუთებას, რადგანაც კერძო საჩივრის ავტორის აზრით, წინამდებარე სარჩელი აღძრულია სრულიად სხვა სამართლებრივ საფუძველზე.

კერძო საჩივრის ავტორი თვლის, რომ წინამდებარე სარჩელის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს სრულიად სხვა კანონმდებლობა. კერძოდ, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის 173 ბრძანებულება «კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ» მეორე მუხლის პირველი ნაწილის «ე» ქვეპუნქტი.

კერძო საჩივრის ავტორი მიუთითებს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 23 აპრილის გადაწყვეტილებაზე, რომლითაც დადგენილად იქნა ცნობილი, რომ სადავო აქტის მიღების დროს თბილისის მთავრობას არ გამოუკვლევია, შესრულებულია თუ არა ქ.თბილისის მთავრობის 2005 წლის 5 აგვისტოს 112-40.264 დადგენილების მეოთხე პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნები; კერძოდ, თბილისის მთავრობას არ შეუძლონ მისი მოსარჩელის მიერ დაკავებული ფართის კანონიერი საფუძველი. ასევე, კერძო საჩივრის ავტორის აზრით, არ არსებობს რაიმე დოკუმენტი, რომ ლ. ბ-ძის მიერ დაკავებული საცხოვრებელი ფართი არ ექვემდებარება პრივატიზებას, რადგან მოსარჩელე 2001 წლიდან შესახლებულია ბინაში, დღემდე ფლობს და სარგებლობს სადავო ფართით და მის ფართში შესახლების საკითხი სადავოდ არ გამხდარა.

კერძო საჩივრის ავტორი თვლის, რომ გასაჩივრებული განჩინება გამოტანილია ადმინისტრაციული და სამოქალაქო საპროცესო კოდექსებით დადგენილი წესების დარღვევით. კერძოდ, სასამართლო სხდომა ჩატარდა მოსარჩელის დაუსწრებლად, ვინაიდან სასამართლოს მიერ გაგზავნილი დეპეშის თანახმად, მხარე სასამართლო სხდომაზე უნდა გამოცხადებულიყო 14 სთ და 30 წუთზე, სხდომა კი ჩატარდა 12 საათზე. სასამართლო სხდომაზე 14 საათზე გამოცხადებული მისი წარმომადგენლისათვის კი ცნობილი გახდა, რომ საქმის განხილვა უკვე დამთავრებული იყო.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის მოტივების შემოწმების შედეგად თვლის, რომ ლ. ბ-ძის კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს; მოცემულ საქმეზე უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 30 იანვრის განჩინება და ლ. ბ-ძის სარჩელის დასაშვებობის შესამოწმებლად საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

კერძო საჩივრის ავტორმა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 30 იანვრის განჩინების გაუქმების ერთ-ერთ საფუძველად მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ იგი სასამართლო სხდომაზე არ იყო მიწვეული საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-76-ე მუხლით დადგენილ წესით.

საკასაციო სასამართლო მოცემულ შემთხვევაში იზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ მას სასამართლო სხდომის დღის შესახებ ეცნობა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესის დარღვევით; როგორც საქმის მასალებით ირკვევა, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 16 იანვრის სხდომაზე ლ. ბ-მე და მისი წარმომადგენელი არ გამოცხადდნენ და სასამართლო სხდომა გაგრძელდა 2009 წლის 30 იანვარს 12 საათზე. ტელეფონით სასამართლო შეტყობინების შესახებ 2008 წლის 16 იანვრის აქტით ირკვევა, რომ ლ. ბ-ძის წარმომადგენელ დ. ჯ-ძეს ეცნობა სასამართლო სხდომის დრო – 2009 წლის 30 იანვარი, 13 საათი, ხოლო დეპეშით – 2009 წლის 30 იანვარი, 14.30 საათი. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 30 იანვრის სხდომის ოქმით ირკვევა, რომ სხდომა დაიწყო 12 საათზე და დამთავრდა 12.30 საათზე, სხდომაზე არ გამოცხადდა ლ. ბ-ძის წარმომადგენელი დ. ჯ-მე.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის მე-3 ნაწილზე, რომლის თანახმად, მხარეები, მათი წარმომადგენლები, აგრეთვე, მოწმეები, ექსპერტები, სპეციალისტები და თარჯიმნები შეიძლება დაიბარონ ტელეფონით, დეპეშებით, ელექტრონული ფოსტით, ფაქსით ან სხვა ტექნიკური საშუალებით. ტექნიკური საშუალებით დაბარებისას მიეთითება ამ კოდექსის 72-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული საკითხები, რა დროსაც დგება აქტი, რომელიც ჩაიკვრება საქმეში. აქტს ადგენს სასამართლოს შესაბამისი მოხელე. ამავე კოდექსის 73-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» ქვეპუნტის თანახმად ტექნიკური საშუალებით გაგზავნილი სასამართლო უწყების ჩაბარება დასტურდება ტელეფონის შემთხვევაში – ტექნიკური საშუალებით დაბარების შესახებ შედგენილი აქტით. იმავე კოდექსის 70-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადების თანახმად კი მხარეს ან მის წარმომადგენელს სასამართლო უწყებით ეცნობება სასამართლო სხდომის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების დრო და ადგილი. მოცემულ შემთხვევაში, საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ კერძო საჩივრის ავტორი სააპელაციო პალატის 2009 წლის 30 იანვრის სასამართლო სხდომის შესახებ გაფრთხილებულ იქნა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესის დარღვევით.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის «ბ» პუნქტის თანახმად გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ სასამართლომ საქმე განიხილა ერთ-ერთი მხარის დაუსწრებლად, რომელსაც არ მიუღია შეტყობინება კანონით დადგენილი წესით ან მისი კანონიერი წარმომადგენლის გარეშე, თუ ასეთი წარმომადგენლობა კანონით იყო გათვალისწინებული, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ასეთი კანონიერი წარმომადგენელი ცნობს სასამართლო პროცესის წარმართვის მართულობიერებას; ამ ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 30 იანვრის განჩინება უნდა გაუქმდეს და მოცემული საქმე ლ. ბ-მის სარჩელის დასაშვებობის შესამოწმებლად დაუბრუნდეს იმავე პალატას.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-420-ე მუხლებით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. დაკმაყოფილდეს ლ. ბ-მის კერძო საჩივარი;
2. გაუქმდეს მოცემულ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 30 იანვრის განჩინება და საქმე ლ. ბ-მის სარჩელის დასაშვებობის შესამოწმებლად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

#### **განჩინების გაუქმება დაუსაბუთებლობის გამო**

#### **განჩინება**

18ს-82-80(კ-09)

27 მაისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ცისკაძე,  
ნ. სხირტლაძე

**სარჩელის საგანი:** ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებისა და აუქციონის შედეგების ბათილად ცნობა, საჯარო რეესტრში ცვლილების შეტანა

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

2008 წლის 19 მარტს ე. გ-მემ სარჩელი აღძრა ბათუმის საქალაქო სასამართლოში, მოპასუხეების – ე. ბათუმის მერიისა და შპს «...» მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, ე. ბათუმის მერიის, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურისა და შპს «...» მიმართ მისი სარჩელის გამო საქმეზე, 2006 წლის 2 აგვისტოს მორიგების აქტით შპს «...» აიღო ვალდებულება თავის მიერ აუქციონის წესით შეძენილ სადავო მიწის ნაკვეთზე

საცხოვრებელი სახლის აშენების შემდეგ ამავე საცხოვრებელ სახლში, მე-8-12 სართულს შორის, ე. გ-ისათვის საკუთრების უფლებით 70 კვ.მ-დან 90 კვ.მ-მდე ინდივიდუალური საკუთრების ფართის გადაცემის შესახებ, ხოლო სანაცვლოდ, ე. გ-მემ უარი თქვა საჯარო რეესტრის მონაცემების, აუქციონის გამოცხადების შესახებ ქ. ბათუმის მერიის ბრძანებისა და აუქციონის შედეგების ბათილად ცნობის თაობაზე სასარჩელო მოთხოვნაზე. სადავო აუქციონი გაუქმდა ქ. ბათუმის მერიის მიერ და ქ. ბათუმის მერიის 2008 წლის 21 იანვრის 134 ბრძანებით კვლავ გამოცხადდა აუქციონი, რომლის ერთადერთი მონაწილე იყო შპს «...», რომელიც გამოცხადდა გამარჯვებულად, ხოლო ე. გ-ის ინტერესები არ იქნა გათვალისწინებული არც პირობიანი აუქციონის გამოცხადების შესახებ ქ. ბათუმის მერიის ბრძანებით და არც აუქციონის ოქმით.

მოსარჩელის მტკიცებით, მას ჰქონდა უფლება სადავო მიწაზე, რადგან საკომლო ჩანაწერებით, იგი იყო მისი ოჯახის საკუთრება, ხოლო ხსენებული მიწა გასხვისებული იყო ქ. ბათუმის მერიის მიერ, შესაბამისი მორიგების აქტით კი შპს «...» და ქ. ბათუმის მერია იღებდნენ ვალდებულებას, დაეკმაყოფილებინათ ე. გ-მე სადავო მიწის ნაკვეთზე მშენებარე სახლში შესაბამისი საცხოვრებელი ფართით. მოსარჩელემ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1513-ე მუხლზე, «უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის შესახებ» საქართველოს კანონზე, საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსზე, საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსზე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსსა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მოითხოვა: ქ. ბათუმის მერიის 2008 წლის 21 იანვრის 134 ბრძანების ბათილად ცნობა, რომლითაც გამოცხადდა პირობიანი აუქციონი ქ. ბათუმში, ... და ... ქუჩების კვეთაში მდებარე 3626 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საკუთრებაში განკარგვაზე; 2008 წლის 25 თებერვლის აუქციონის შედეგების (ოქმის) ბათილად ცნობა; შესაბამისი ცვლილების შეტანა საჯარო რეესტრში.

მოსარჩელე ე. გ-ის წარმომადგენელმა ნ. ბ-მემ მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს და დამატებით მოითხოვა 2008 წლის 16 აპრილის 101 საკუთრების უფლების მოწმობის ბათილად ცნობა. ნ. ბ-მემ მიუთითა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-13, 67-ე, 75-ე, 95-ე და მე-60<sup>1</sup> მუხლებზე და დამატებით განმარტა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 32-ე-34-ე მუხლების შესაბამისად, ქ. ბათუმის მერია ვალდებული იყო, «ქ. ბათუმში, ... და ... ქუჩების კვეთაში მდებარე 3626 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საკუთრებაში განკარგვაზე პირობიანი აუქციონის გამოცხადების შესახებ» ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის – 2008 წლის 21 იანვრის 134 ბრძანების გამოცემის დროს მოსარჩელე ჩაეხსნა ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილედ და შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემისას გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო ედუარდ გოგიტიძის უფლებები.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 19 ივნისის 1114 ყ/დ განჩინებით ე. გ-ის განცხადება დაკმაყოფილდა; სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით, ყადაღა დაედო შპს «...» საკუთრებაში რიცხულ, ქ. ბათუმში, ... და ... ქუჩების კვეთაში მდებარე 3626 კვ.მ მიწის ნაკვეთს.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 4 ივლისის გადაწყვეტილებით ე. გ-ის სასარჩელო განცხადება არ დაკმაყოფილდა; გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 19 ივნისის 1114 ყ/დ განჩინება, რომლითაც ყადაღა დაედო შპს «...» საკუთრებაში რიცხულ, ქ. ბათუმში, ... და ... ქუჩების კვეთაში მდებარე 3626 კვ.მ მიწის ნაკვეთს.

საქალაქო სასამართლომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე, დადგინდად მიიჩნია, რომ ბათუმის საქალაქო სასამართლოში მიმდინარეობდა ადმინისტრაციული დავა ე. გ-ის სარჩელის გამო, რომლითაც ე. გ-მე მოითხოვდა საჯარო რეესტრის იმ ჩანაწერის ბათილად ცნობას, რომლის თანახმადაც, ქ. ბათუმში, ... და ... ქუჩების კვეთაში არსებული 4000 კვ.მ მიწის ნაკვეთი აუქციონის წესით შეიძინა შპს «...» და საკუთრების უფლებით რეგისტრაციაში გატარდა მის სახელზე. აღნიშნული საქმის განხილვისას, 2006 წლის 2 აგვისტოს მორიგების აქტის საფუძველზე, მხარეებს შორის შედგა მორიგება, რომლის მიხედვითაც, შპს «...» აიღო ვალდებულება, ქ. ბათუმში, ... და ... ქუჩების კვეთაში არსებულ 4000 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე განეხორციელებინა მრავალსართულიანი საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობა, ქ. ბათუმის მთავრობასა და შპს «...» შორის 2006 წლის 31 მაისს დადებული 11-5888 ხელშეკრულების შესაბამისად. ამავე მორიგების აქტის თანახმად, აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე საცხოვრებელი სახლის აშენებისა და მისი ექსპლუატაციაში მიღების შემდეგ, შპს «...» ე. გ-ისათვის საკუთრების უფლებით უნდა გადაეცა ამ სახლში 70 კვ.მ-დან 90 კვ.მ-მდე ინდივიდუალური საკუთრების ფართი, მე-8-მე-12 სართულს შორის. ხსენებული მორიგების აქტის საფუძველზე, ე. გ-მემ, თავის მხრივ, უარი განაცხადა სასარჩელო მოთხოვნაზე. აღნიშნული მორიგების აქტის შედგენის შემდეგ, ქ. ბათუმის მერიასა და შპს «...» შორის 2006 წლის 31 მაისს დადებული ხელშეკრულება გაუქმდა, ბათილად გამოცხადდა აუქციონის შედეგები და შესაბამისად, გაუქმდა შპს «...» საკუთრების უფლება ხსენებულ მიწის ნაკვეთზე, ხოლო მიწა საჯარო რეესტრში კვლავ აღირიცხა ქ. ბათუმის მერიის სახელზე. ზემოაღნიშნულის შემდეგ, ქ. ბათუმის მერიამ 2008 წლის 21 იანვარს გამოსცა 134 ბრძანება ქ. ბათუმში, ... და ... ქუჩების კვეთაში მდებარე 3626 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საკუთრებაში განკარგვაზე პირობიანი აუქციონის გამოცხად-



დების შესახებ. აუქციონში კვლავ მიიღო მონაწილეობა შპს «...» და საქმეში წარმოდგენილი თვითმმართველი ქალაქ ბათუმის მუდმივმოქმედი სააუქციონო კომისიის 2008 წლის 25 თებერვლის ოქმის თანახმად, გამარჯვებულად იგი გამოცხადდა, რომელმაც აღნიშნული მიწის ნაკვეთი შეიძინა 410000 ლარად.

საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის მტკიცება იმის თაობაზე, რომ ქ. ბათუმის მერის 2008 წლის 21 იანვრის 134 ბრძანება მიღებული იყო კანონის დარღვევით და ქ. ბათუმის მერია ვალდებული იყო, ხსენებული აქტის მიღებისას ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების დროს მიეწვია ე. გ-მე. ამასთან დაკავშირებით, საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ, მართალია, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ კანონით სხვა რამ არ იყო დადგენილი, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის არარა აქტად აღიარების, ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ სარჩელის წარდგენის შემთხვევაში, მტკიცების ტვირთი ეკისრებოდა ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელმაც გამოსცა ეს აქტი, მაგრამ აღნიშნული არ ათავისუფლებდა მოსარჩელეს ვალდებულებისაგან, დაესაბუთებინა თავისი სარჩელი და წარედგინა სათანადო მტკიცებულებანი. მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელე ვერ ასაბუთებდა თავისი მოთხოვნის საფუძვლიანობას და ვერ მიუთითებდა, თუ მისი რა კანონიერი ინტერესი დაირღვა ქ. ბათუმის მერიის მიერ მის საკუთრებაში რიცხულ ფართზე გამოცხადებული აუქციონით. იმ გარემოებას, რომ ე. გ-მესა და შპს «...» შორის ადრე არსებობდა მორიგების აქტი, არანაირი სამართლებრივი კავშირი არ გააჩნდა ქ. ბათუმის მერის 2008 წლის 21 იანვრის 134 ბრძანების კანონიერებასთან. ქ. ბათუმის მერიას სადავო ბრძანების მიღების უფლებამოსილება გააჩნდა «ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ» საქართველოს ორგანული კანონის, «სახელმწიფო ქონების და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ» საქართველოს კანონისა და საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2007 წლის 20 სექტემბრის 11-1/1417 ბრძანების შესაბამისად. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60<sup>1</sup> მუხლის თანახმად კი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილი იყო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ეწინააღმდეგებოდა კანონს ან არსებითად იყო დარღვეული მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები. არსებით დარღვევად ჩაითვლებოდა კანონის ისეთი დარღვევა, რომლის არარსებობის შემთხვევაში, მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება. აღნიშნულზე მითითება იყო საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლშიც, რომლის თანახმადაც, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან მისი ნაწილი მხოლოდ მაშინ შეიძლება მოხდეს ყოფილიყო ცნობილი ბათილად, თუ იგი ეწინააღმდეგებოდა კანონს და ის პირდაპირ და უშუალო ზიანს აყენებდა მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს, ან უკანონოდ ზღუდავდა მის უფლებას, რაც მოცემულ შემთხვევაში, სახეზე არ იყო. აღნიშნულის დამადასტურებელი მტკიცებულებები საქმეში არ მოიპოვებოდა. შესაბამისად, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობდა სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60<sup>1</sup> მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი საფუძველი. ე. გ-მის მოთხოვნა იყო დაუსაბუთებელი, უსაფუძვლო და არ არსებობდა მისი დაკმაყოფილების სამართლებრივი და არც ფაქტობრივი საფუძველი.

ამასთან, საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199<sup>1</sup> მუხლზე, რომლის თანახმადაც, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის, სარჩელის განუხილველად დატოვების ან საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში, სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით (განჩინებით) აუქმებდა ამ სარჩელთან დაკავშირებით გამოყენებულ უზრუნველყოფის ღონისძიებას. საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ, ვინაიდან ე. გ-მეს უარი ეთქვა სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, ამიტომ აღნიშნული მუხლის ნორმიდან გამომდინარე, მოცემულ შემთხვევაში, აღარ არსებობდა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საფუძველიც, რის გამოც უნდა გაუქმებულიყო ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 19 ივნისის 114 ყ/დ განჩინება, რომლითაც სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით, ყადაღა დაედო ქ. ბათუმში, ... და ... ქუჩების კვეთაში მდებარე, შპს «...» საკუთრებაში რიცხულ 3626 კვ.მ მიწის ნაკვეთს.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 4 ივლისის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ე. გ-მემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 30 ოქტომბრის განჩინებით ე. გ-მის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 4 ივლისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობდა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების სამართლებრივი და ფაქტობრივი საფუძველები. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, მისი სამართლებრივი დასკვნები, დამატებით მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლზე და საქმეში წარმოდგენილი მორიგების აქტის ასლის მიხედვით, დადგენილად მიიჩნია, რომ ხსენებული მორიგების აქტით, ერთი მხრივ, მოსარჩელე ე. გ-მე და მეორე მხრივ, მესამე პირი შპს «...» შეთანხმდნენ შემდეგ პირობებზე: შპს «...» იკისრა ვალდებულება, ქ. ბათუმში, ... და ... ქუჩების კვეთაში არსებულ 4000 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშ-

ნულების მიწის ნაკვეთზე საცხოვრებელი სახლის აშენებისა და ექსპლუატაციაში მიღების შემდეგ, მოსარჩელე ე. გ-ძისათვის ამავე საცხოვრებელ სახლში საკუთრების უფლებით გადაეცა 70 კვ.მ-დან 90 კვ.მ-მდე ინდივიდუალური საკუთრების ფართი, მე-8-მე-12 სართულებს შორის. 2006 წლის 2 აგვისტოს მორიგების აქტს ხელს აწერდნენ მხოლოდ შპს «...» და ე. გ-ძე. ამ მორიგების აქტის შესაბამისად, ქ. ბათუმის მერიას არ აუღია რაიმე ვალდებულება ე. გ-ძის მიმართ და ხელიც არ მოუწერია შესაბამის აქტზე. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 3 აგვისტოს განჩინებით 13/549 ადმინისტრაციულ საქმეზე დამტკიცდა მორიგების აქტი, რის გამოც შეწყდა აღნიშნული საქმის წარმოება.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება იმის შესახებ, რომ ზემოაღნიშნული მორიგების აქტის საფუძველზე, ქ. ბათუმის მერიას წარმოემვა რაიმე ვალდებულება ე. გ-ძის მიმართ. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ის გარემოება, რომ შპს «...» იკისრა ვალდებულება ე. გ-ძის მიმართ, არ შეიძლებოდა გამხდარიყო აუქციონის შესახებ ქ. ბათუმის მერიის მიერ გამოცემული აქტისა და აუქციონის შედეგების ბათილობის საფუძველი. მოცემულ შემთხვევაში, არ არსებობდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის არც ერთი საფუძველი.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 30 ოქტომბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ე. გ-ძემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაფასა საქმის ფაქტობრივი გარემოებები, კერძოდ, შესაბამის მორიგების აქტს ხელს აწერს ყველა მხარე, მათ შორის, ქ. ბათუმის მერია და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახური, რომლებიც იყვნენ მოპასუხეები, ხოლო შპს «...» იყო მესამე პირი. შესაბამისი მორიგების აქტით მესამე პირმა აიღო ვალდებულება ე. გ-ძის მიმართ, მაგრამ მორიგების მონაწილეები იყვნენ ხსენებული მოპასუხეები და ისინი ეთანხმებოდნენ ამ მორიგებას, რითაც აღიარებდნენ ე. გ-ძის შესაბამის უფლებას, რომელიც მათ ედავებოდა თავის საკუთრებაზე, კერძოდ, თუ რატომ გატარდა მისი მიწის ნაკვეთი ქ. ბათუმის მერიის სახელზე რეგისტრაციაში, მაშინ, როდესაც საკომლო ჩანაწერით, იგი იყო მისი და მისივე ოჯახის საკუთრება. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ არ იყო დარღვეული ე. გ-ძის რაიმე კანონიერი უფლება. სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1513-ე მუხლი, რომლის თანახმად, ფიზიკურ პირთა კანონიერ სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთები, რომლებზედაც ინდივიდუალური სახლებია განლაგებული, სამოქალაქო კოდექსის ამოქმედებამდე, ითვლება ამ პირთა საკუთრებად და მათზე ვრცელდება სამოქალაქო კოდექსით უძრავი ნივთებისათვის გათვალისწინებული წესები. ხელახალი პირობიანი აუქციონის გამოცხადების შესახებ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიღებისას, ე. გ-ძეს მონაწილეობა უნდა მიეღო ადმინისტრაციულ წარმოებაში, რადგან იგი არის დაინტერესებული მხარე და დაირღვა მისი საკუთრების უფლება. თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი კანონს ეწინააღმდეგება ან დარღვეულია მისი გამოცემის, კერძოდ, დაინტერესებული მხარის მიწვევისა და მისი კანონიერი უფლების გათვალისწინების წესი, აღნიშნული, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60<sup>1</sup> მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის საფუძველია. სააპელაციო სასამართლომ დაარღვია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე და 244-ე მუხლები, რაც ამ კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლების თანახმად, გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველია.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 5 თებერვლის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული ე. გ-ძის საკასაციო საჩივარი; მხარეებს მიეცათ უფლება, 2009 წლის 5 თებერვლის განჩინების ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში წარმოედგინათ მოსაზრება, თუ რამდენად იყო დასაშვები განსახილველად საკასაციო საჩივარი საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 30 მარტის განჩინებით ე. გ-ძის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ა» ქვეპუნქტით და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრებით, 2009 წლის 22 მაისს, 12.00 საათზე.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებანი, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობა, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძველიანობა და მიიჩნია, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: ბათუმის საქალაქო სასამართლოს წარმოებაში იყო ადმინისტრაციული საქმე ე. გ-ძის სარჩელის გამო, ქ. ბათუმის მერიის, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურისა და შპს «...» მიმართ, საჯარო რეესტრის ჩანაწერის ბათილად ცნობის მოთხოვნით, ხოლო 2006 წლის 2 აგვისტოს მორიგების აქტის საფუძველზე, მხარეები – ერთი მხრივ, ე. გ-ძე და მეორე მხრივ, მესამე პირი შპს «...» შეთანხმდნენ

და მათ ხსენებული ადმინისტრაციული საქმე დაამთავრეს მორიგებით, რომლის მიხედვითაც, შპს «...» აიღო ვალდებულება, ქ. ბათუმში, ... და ... ქუჩების კვეთაში არსებულ 4000 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე საცხოვრებელი სახლის აშენებისა და ექსპლუატაციაში მიღების შემდეგ, ამავე საცხოვრებელ სახლში ე. გ-მისათვის საკუთრების უფლებით გადაეცა 70 კვ.მ-დან 90 კვ.მ-მდე ინდივიდუალური საკუთრების ფართი, მე-8-მე-12 სართულებს შორის. იმავე მორიგების აქტის თანახმად, შპს «...» ვალდებული იყო, ქ. ბათუმში, ... და ... ქუჩების კვეთაში არსებულ 4000 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე მრავალსართულიანი საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობა განეხორციელებინა ქ. ბათუმის მთავრობასა და შპს «...» შორის 2006 წლის 31 მაისს დადებული 11-5888 ხელშეკრულების შესაბამისად. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 3 აგვისტოს განჩინებით დამტკიცდა აღნიშნული მორიგების აქტი და შეწყდა ქ. ბათუმის მერიის, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურისა და შპს «...» მიმართ ე. გ-მის სარჩელის გამო საქმის წარმოება.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მხარეთა შორის სადავო არ არის, რომ ე. გ-მესა და შპს «...» შორის 2006 წლის 2 აგვისტოს მორიგების აქტის შედგენის შემდგომ, ქ. ბათუმის მერიასა და შპს «...» შორის 2006 წლის 31 მაისს დადებული 11-5888 ხელშეკრულება გაუქმდა, ბათილად გამოცხადდა აუქციონის შედეგები და შესაბამისად, გაუქმდა შპს «...» საკუთრების უფლება ზემოხსენებულ მიწის ნაკვეთზე, ხოლო მიწა საჯარო რეესტრში კვლავ აღირიცხა ქ. ბათუმის მერიის სახელზე, რის შემდეგაც ქ. ბათუმის მერმა 2008 წლის 21 იანვარს გამოსცა «ქ. ბათუმში, ... და ... ქუჩების კვეთაში მდებარე 3626 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საკუთრებაში განკარგვაზე პირობიანი აუქციონის გამოცხადების შესახებ» 134 ბრძანება. ხსენებული აუქციონის პირობა იყო ქ. ბათუმში, ... და ... ქუჩების კვეთაში მდებარე 3626 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე მრავალსართულიანი საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობა. თვითმმართველი ქალაქ ბათუმის მერიის მუდმივმოქმედი სააუქციონო კომისიის პირობებით გამოცხადებულ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი 2008 წლის 25 თებერვლის ოქმის თანახმად, ქ. ბათუმში, ... და ... ქუჩების კვეთაში მდებარე 3626 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საკუთრებაში განკარგვაზე პირობიანი აუქციონში მონაწილეობა მიიღო შპს «...» და გამარჯვებულად იგი გამოცხადდა, რომელმაც აღნიშნული მიწის ნაკვეთი შეიძინა 410000 ლარად. ხსენებული ოქმის მიხედვით, მყიდველი – შპს «...» ვალდებული იყო, მისთვის საკუთრებაში გადაეცემულ მიწის ნაკვეთზე აეშენებინა მრავალსართულიანი საცხოვრებელი კომპლექსი, ასევე – საცხოვრებელი კომპლექსის საერთო ფართის 15% საცხოვრებელი ბინების სახით, საკუთრების უფლებით გადაეცა თვითმმართველი ქ. ბათუმისათვის.

საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ე. გ-მემ საჯარო რეესტრის ჩანაწერის ბათილად ცნობის მოთხოვნით ქ. ბათუმის მერიის, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურისა და შპს «...» მიმართ სარჩელზე უარი თქვა სწორედ 2006 წლის 2 აგვისტოს მორიგების აქტის საფუძველზე, ქ. ბათუმში, ... და ... ქუჩების კვეთაში არსებულ 4000 კვ.მ მიწის ნაკვეთზე მრავალსართულიანი საცხოვრებელი კომპლექსის აშენების შემდეგ, შპს «...» მიერ მისთვის ამ სახლში 70 კვ.მ-დან 90 კვ.მ-მდე ინდივიდუალური საკუთრების ფართის, მე-8-მე-12 სართულებს შორის, გადაცემის ვალდებულების აღების გამო. ამდენად, სადავო ვერ გახდება ქ. ბათუმში, ... და ... ქუჩების კვეთაში არსებულ 4000 კვ.მ მიწის ნაკვეთზე ასაშენებელ მრავალსართულიან საცხოვრებელ სახლში 70 კვ.მ-დან 90 კვ.მ-მდე ინდივიდუალური საკუთრების ფართზე ე. გ-მის საკუთრების უფლების არსებობა, რადგან ხსენებული უფლების ე. გ-მისათვის მინიჭება იურიდიულად დადასტურებულია 2006 წლის 2 აგვისტოს მორიგების აქტის დამტკიცების შესახებ ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 3 აგვისტოს კანონიერ ძალაში შესული განჩინებით. ამასთან, 2006 წლის 2 აგვისტოს მორიგების აქტში მიეთითა ქ. ბათუმში, ... და ... ქუჩების კვეთაში არსებულ 4000 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე მრავალსართულიანი საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობის შესახებ ქ. ბათუმის მთავრობასა და შპს «...» შორის 2006 წლის 31 მაისს დადებულ 11-5888 ხელშეკრულებაზე, ხსენებული ხელშეკრულება კი გაუქმდა. გარდა ამისა, მოსარჩელესა და შპს «...» შორის გაფორმებული, 2006 წლის 2 აგვისტოს მორიგების აქტის პირობა იყო შპს «...» მიერ ქ. ბათუმში, ... და ... ქუჩების კვეთაში არსებულ 4000 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე საცხოვრებელი სახლის აშენება და ამავე საცხოვრებელ სახლში ე. გ-მისათვის საკუთრების უფლებით 70 კვ.მ-დან 90 კვ.მ-მდე ინდივიდუალური საკუთრების ფართის სავალდებულო წესით გადაცემა, ხოლო ქ. ბათუმის მერის 2008 წლის 21 იანვრის 134 ბრძანებისა და თვითმმართველი ქ. ბათუმის მერიის მუდმივმოქმედი სააუქციონო კომისიის პირობებით გამოცხადებულ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი 2008 წლის 25 თებერვლის ოქმის საფუძველზე, იმავე შპს «...» ქ. ბათუმში, ... და ... ქუჩების კვეთაში მდებარე 3626 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საკუთრებაში გადაცემის პირობა იყო ხსენებულ მიწის ნაკვეთზე მრავალსართულიანი საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობა. 2008 წლის 16 აპრილის 101 საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა კი შპს «...» გაიცა სწორედ 2008 წლის 25 თებერვლის ზემოხსენებული ოქმით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების პირობით.

საკასაციო სასამართლო ასევე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ კონკრეტულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ არასრულყოფილად იმსჯელა მოცემულ საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებებზე, კომპლექსურად არ შეუფასებია ამ საქმის ყველა გარემოება და შესაბამისად, მიიღო დაუსაბუთებელი განჩინება. საკასა-

ციო სასამართლო სააპელაციო სასამართლოს ყურადღებას მიაპყრობს ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 4 ივლისის სხდომაზე მოსარჩელის წარმომადგენლის მიერ მიცემულ განმარტებაზე იმის შესახებ, რომ ქ. ბათუმის მერიამ ისე გამოაცხადა აუქციონი ქ. ბათუმში, ... და ... ქუჩების კვეთაში მდებარე მიწის ნაკვეთზე, რომ არ გაუთვალისწინებია ე. გ-ძის ინტერესები, მაშინ, როდესაც არსებობდა 2006 წლის 2 აგვისტოს მორიგების აქტი, ასევე – ე. გ-ძის სააპელაციო საჩივარში მითითებას იმის თაობაზე, რომ ქ. ბათუმის მერია ვალდებული იყო, 2008 წლის 21 იანვრის 134 ბრძანების მიღებისას ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების დროს ე. გ-ძე მიეწვია დაინტერესებულ მხარედ და არ იქნა გათვალისწინებული ე. გ-ძის უფლებები. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ იმსჯელა მხოლოდ შემდეგზე: ვინაიდან 2006 წლის 2 აგვისტოს მორიგების აქტს ხელს აწერდნენ მხოლოდ შპს «...» და ე. გ-ძე, ამ მორიგების აქტის შესაბამისად, ქ. ბათუმის მერიას არ აუღია რაიმე ვალდებულება ე. გ-ძის მიმართ, ხოლო ის გარემოება, რომ შპს «...» იკისრა ვალდებულება ე. გ-ძის მიმართ, არ შეიძლება გამხდარიყო აუქციონის შესახებ ქ. ბათუმის მერიის მიერ გამოცემული აქტისა და აუქციონის შედეგების ბათილობის საფუძველი. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კონკრეტულ შემთხვევაში ე. გ-ძის მიერ წინამდებარე სარჩელის აღძვრის მოტივაცია და მოსარჩელის ნამდვილი მიზანი რეალურად მდგომარეობს 2006 წლის 2 აგვისტოს მორიგების აქტით გათვალისწინებული და კანონიერ ძალაში შესული შესაბამისი განჩინებით დამტკიცებული მისი საკუთრების უფლების დაცვასა და ამავე უფლების განხორციელებაში, რის გამოც ამ შემთხვევაში, მთავარია არა საჯარო რეესტრის ჩანაწერში მითითებულ მესაკუთრე და ვალდებულ სუბიექტზე ან ხსენებული მორიგების აქტის ფარგლებში ვალდებულების ამღები სუბიექტის განსაზღვრაზე მსჯელობა, არამედ ამ საქმის მხარეთა შორის დავის მართებულად რეგულირებისა და ამავე საქმეზე სწორი გადაწყვეტილების მისაღებად არსებითი მნიშვნელობა აქვს ქ. ბათუმის მერის 2008 წლის 21 იანვრის 134 გასაჩივრებული ბრძანების გამოცემით ე. გ-ძის ხსენებული საკუთრების უფლების შესაძლო დარღვევაზე მსჯელობას, ასევე – ამ უფლების რეალიზებასა და შესაბამისი ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებით, მოპასუხე შპს «...» პოზიციას, იმის გათვალისწინებით, რომ 2006 წლის 2 აგვისტოს მორიგების აქტში მიეთითა შემდეგზე: შეთანხმებაზე ხელმოწერით მხარეები ადასტურებდნენ, რომ წინამდებარე მორიგების მიღწევისა და მორიგების აქტის დამტკიცების შესახებ სასამართლოს განჩინების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ მიღებული რომელიმე სამართლებრივი აქტი, გადაწყვეტილება ან/და დადგენილება, სასამართლო გადაწყვეტილება ან მიმდინარე სასამართლო დავა ზეგავლენას ვერ მოახდენდა ამ შეთანხმების ნამდვილობაზე მთლიანად ან მისი ცალკეული დებულებების აღსრულებაზე; ხელმოწერილი შეთანხმება წარმოადგენდა მხარეთათვის შესასრულებლად უპირობოდ მავალბელ სამართლებრივ დოკუმენტს; წინამდებარე შეთანხმება თანაბრად იყო სავალდებულო შესასრულებლად, როგორც მისი ხელმოწერილი მხარეებისათვის, ასევე, მათი უფლებამონაცვლელებისათვის.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის «ე» ქვეპუნქტზე, რომლის მიხედვით, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ამ შემთხვევაში, სახეზეა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის «ე» ქვეპუნქტით გათვალისწინებული, გასაჩივრებული განჩინების გაუქმების აბსოლუტური საფუძველი – ხსენებული განჩინება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ მოცემული საქმის ხელახლა განხილვისას სრულყოფილად უნდა შეაფასოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები, იმსჯელოს იმის თაობაზე, რომ «ქ. ბათუმში, ... და ... ქუჩების კვეთაში მდებარე 3626 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საკუთრებაში განკარგვაზე პირობიანი აუქციონის გამოცხადების შესახებ» 2008 წლის 21 იანვრის 134 ბრძანების გამოცემისას, უნდა გაეთვალისწინებინა თუ არა ქ. ბათუმის მერიას ე. გ-ძის ინტერესები, რადგან ხსენებული პირობიანი აუქციონი გამოცხადდა იმ მიწის ნაკვეთზე (2006 წლის 2 აგვისტოს მორიგების აქტში მითითებულია ქ. ბათუმში, ... და ... ქუჩების კვეთაში არსებულ 4000 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე, ხოლო ქ. ბათუმის მერიის 2008 წლის 21 იანვრის 134 ბრძანებაში – იმავე ქუჩების კვეთაში მდებარე 3626 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე), რომელზე ასაშენებელ საცხოვრებელ სახლშიც საგნობრივად განისაზღვრა შპს «...» ვალდებულება ე. გ-ძისათვის ამავე სახლში 70 კვ.მ-დან 90 კვ.მ-მდე ინდივიდუალური საკუთრების ფართის გადაცემის შესახებ და შესაბამისად – ამ ფარგლებში ე. გ-ძის საკუთრების უფლების განხორციელება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ე. გ-ძის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად გადაეგზავნოს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

### და ა დ გ ი ნ ა:

1. ე. გ-მის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 30 ოქტომბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად გადაეგზავნოს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## მხარის დაუსწრებლად საქმის განხილვის დაუშვებლობა

### განჩინება

18ს-1003-961 (კ-09)

16 ნოემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

მ. ვაჩაძე,

პ. სილაგაძე

**სარჩელის საგანი:** ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა

#### აღწერილობითი ნაწილი:

შპს «...» 2006 წლის 13 ივნისს სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის მსხვილ გადამხდელთა საგადასახადო ინსპექციის მიმართ და ამავე ინსპექციის 2006 წლის 25 მაისის 1260 საგადასახადო მოთხოვნის, 2006 წლის 16 მაისის 1128 ბრძანებისა და ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის 2005 წლის 16 დეკემბრის 12-03/10186 წერილის ბათილად ცნობა მოითხოვა.

მოსარჩელის განმარტებით, 2006 წლის 29 მაისს შპს «...» ჩაბარდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის მსხვილ გადამხდელთა საგადასახადო ინსპექციის 2006 წლის 16 მაისის 1128 ბრძანება და 1260 საგადასახადო მოთხოვნა, რომლითაც შპს-ს გადასახდელად დაერიცხა 50 179 ლარი, მათ შორის, დღგ – 31 991 ლარი, ჯარიმა – 7 998 ლარი, საურავი – 10 190 ლარი. აღნიშნული ბრძანების თანახმად, დარიცხვის საფუძველი გახდა კამერალური შემოწმების აქტი, ხოლო დასაბეგრი ბაზის განსაზღვრა უნდა განხორციელებულიყო ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის 2005 წლის 16 დეკემბრის 12-03/10186 წერილის საფუძველზე, რომელიც შეიცავდა საგადასახადო კოდექსის 227-ე მუხლის განმარტებას და გააჩნდა მეთოდური ხასიათი. მოსარჩელე თვლის, რომ ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის 2005 წლის 16 დეკემბრის 12-03/10186 წერილით საგადასახადო კოდექსის 227-ე მუხლის მე-3 ნაწილი განმარტებული იყო არასწორად, კანონშეუსაბამოდ. აღნიშნულ წერილში დაფიქსირებული მითითებების თანახმად, კავშირგაბმულობის მომსახურების ოპერაციებისათვის დღგ-ით დაბეგვრა უნდა განხორციელებულიყო კოდექსის ზოგად, თეორიულ პრინციპებზე დაყრდნობით. სადავო წერილი ასევე ეწინააღმდეგებოდა ამავე საკითხზე ამავე დეპარტამენტის 2005 წლის 25 მარტის 14-03/1984 წერილისა და მსხვილ გადამხდელთა საგადასახადო ინსპექციის 2005 წლის 28 თებერვლის 111/794 წერილში დაფიქსირებულ შემდეგ პოზიციას, რომ საქართველოდან საზღვარგარეთ განხორციელებული სატელეფონო საუბარი განხილული უნდა ყოფილიყო დღგ-ით დასაბეგრ ოპერაციად, სადაც დასაბეგრი ოპერაციის თანხა შეადგენდა აბონენტისგან მიღებულ (მისაღებ) თანხასა და ამ მომსახურებისათვის საზღვარგარეთის ოპერატორისათვის გადარიცხულ (გადასარიცხ) თანხებს შორის სხვაობას, ხოლო საზღვარგარეთიდან საქართველოში განხორციელებულ ზარზე დასაბეგრი ოპერაციის თანხას წარმოადგენდა ამ მომსახურებისათვის მიღებული ან მისაღები თანხა. მოსარჩელე თვლიდა, რომ ეს მოსაზრება ზუსტად განმარტავდა საგადასახადო კოდექსის 227-ე მუხლის მე-3 ნაწილს და ეთანხმებოდა მის პოზიციას.

ამდენად, მოსარჩელე მიიჩნევდა, რომ გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები ეწინააღმდეგებოდა საგადასახადო კოდექსის 227-ე მუხლის მე-3 ნაწილს და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60<sup>1</sup> მუხლის თანახმად, წარმოადგენდა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილობის საფუძველს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 22 იანვრის საოქმო განჩინებით საქმეში მოპასუხედ ჩაერთო საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტი. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილებით შპს «...» სარჩელი არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლოდ გამო. საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ შპს «...» მიერ 2005 წლის იანვრის თვეში საერთაშორისო კავშირგაბმულობის მომსახურების გაწევისას დასაბეგრი ოპერაციის თანხა გაანგარიშებული იყო არა თითოეული ოპერატორის მიხედვით, არამედ მთლიანი თანხიდან, ანუ შემომავალი ზარებისათვის მისაღები თანხები ერთი რიგის ოპერატორებისაგან, ხოლო გადასარიცხი თანხები სხვა რიგ ოპერატორებზე, რაც დაუშვებელი იყო საგადასახადო კოდექსის 277-ე მუხლის მე-3 ნაწილიდან (2004 წლის 22 დეკემბრის კანონი, 2006 წლის 25 მარტის ცვლილებებამდე) გამომდინარე. პირველი ინსტანციის სასამართლომ ასევე არ გაიზიარა მოსარჩელის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ მოპასუხის – მსხვილ გადამხდელთა საგადასახადო ინსპექციის მიერ დარიცხვა განხორციელდა არაკანონისმიერი საფუძვლით, ვინაიდან მოსარჩელეს არ მიუთითებია და არც წარუდგენია აღნიშნულის დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება. საქალაქო სასამართლომ ასევე არ გაიზიარა მოსარჩელე მხარის მოსაზრება საგადასახადო დეპარტამენტის 2005 წლის 16 დეკემბრის 12-03/10186 ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის უკანონობის თაობაზე, ვინაიდან მიიჩნია, რომ აქტში აღნიშნული გაანგარიშების პრინციპები იყო კანონშესაბამისი და არ არსებობდა მისი ბათილად ცნობის წინაპირობები.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შპს «...» (მსხვილ გადამხდელთა საგადასახადო ინსპექციის 2007 წლის 11 ივნისის 1113 ბრძანებით სამეწარმეო რეესტრში შეტანილი ცვლილებების თანახმად, შპს «...» ეწოდა შპს «...»), რომელმაც 2007 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა. სააპელაციო საჩივრის ავტორი მიიჩნევს, რომ შემოწმების აქტში არსებული ჩანაწერი, დასაბეგრი ოპერაციის თანხის გაანგარიშების თაობაზე, გამომდინარეობს სადავო წერილში მითითებული მაგალითიდან, რაც ეწინააღმდეგება საგადასახადო კოდექსის იმ დროს მოქმედ 227-ე მუხლის მე-3 ნაწილს, ვინაიდან კანონის ამ ნორმაში საუბარია არა კონკრეტულ ოპერატორებზე, არამედ მათ ჯამზე და ისეთ ოპერატორებზეც, რომლებიც მას არ ემსახურებიან და საგადასახადო ორგანო დასაბეგრი ოპერაციის თანხის გამოთვლისას არ ითვალისწინებს. ამასთან, საგადასახადო კოდექსის ამ ნორმაში არსად არის მითითებული ტერმინები «თითოეული» და «ფარგლებში», რომელთა სადავო წერილში მოხსენება ხელს უწყობს კოდექსის ჩანაწერის არასწორ გაგებას. სააპელაციო საჩივრის ავტორი არ დაეთანხმა სასამართლოს მიერ საგადასახადო კოდექსის მე-18 მუხლზე მითითებით, მოპასუხეთა პოზიციის გაზიარებას და მიიჩნია, რომ სასამართლო გადაწყვეტილებაში არ იყო განსაზღვრული, თუ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე რომელი გარემოებები მიიჩნია დადგენილად. ამასთან, გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში არ იყო აღნიშნული სასამართლოს მოსაზრებანი, რომლებიც უარყოფდა ამა თუ იმ მტკიცებულებას, რითაც მოსარჩელის მოსაზრებით დარღვეული იყო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 244-ე და 249-ე მუხლის მე-4 ნაწილი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 1 ოქტომბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილება. სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, დაეთანხმა მათ სამართლებრივ შეფასებას და მიიჩნია, რომ არ არსებობდა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 1 ოქტომბრის განჩინება საკასაციო საჩივრით გაასაჩივრა შპს «...» და აღნიშნა, რომ საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში დანიშნული იყო 2008 წლის 1 ოქტომბერს, 16:30 საათზე. დანიშნულ დროს საქმის განხილვაში მონაწილეობის მისაღებად გამოცხადებულმა შპს «...» წარმომადგენელმა შეიტყო, რომ სხდომა ნაცვლად 16:30 საათისა, დაიწყო 16:10 საათზე და გადაწყვეტილება გამოცხადდა 16:25 საათზე. კასატორი მიიჩნევს, რომ აღნიშნულით საშუალება არ მიეცა, მონაწილეობა მიეღო სასამართლო განხილვაში. საკასაციო საჩივრის ავტორი ითხოვს გასაჩივრებული განჩინების გაუქმებას და საქმის ხელახალი განხილვისათვის სააპელაციო სასამართლოში დაბრუნებას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 29 ივლისის განჩინებით საკასაციო საჩივარი დასაშვებობის შესამოწმებლად მიღებულ იქნა წარმოებაში, ხოლო ამავე სასამართლოს 2009 წლის 19 ოქტომბრის განჩინებით საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და დადგინდა საქმის განხილვა მხარეთა დასწრების გარეშე.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენით გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობა, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიიჩნია, რომ შპს «...» საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლოს, საქმის მასალების მიხედვით, დადგენილად მიაჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

დადგენილია, რომ შპს «...» ჩატარებული 2006 წლის 16 მაისის კამერალური საგადასახადო შემოწმების შედეგად, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის მსხვილ გადასხედელთა საგადასახადო ინსპექციის 2006 წლის 16 მაისის 128 ბრძანებით დამატებით გადასახდელად დაერიცხა დღგ-ს თანხა, სულ 50 179 ლარი, მათ შორის, ძირითადი გადასახადი – 21 991 ლარი, ჯარიმა – 7998 ლარი, საურავი – 10 190 ლარი. ამავე ბრძანების საფუძველზე 2006 წლის 25 მაისს შპს «...» წარედგინა 1260 საგადასახადო მოთხოვნა, საგადასახადო კოდექსის 112-ე მუხლის საფუძველზე.

საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის მოსაზრებას, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა შპს «...» წარმომადგენლის მონაწილეობის გარეშე. სააპელაციო პალატაში 2008 წლის 24 სექტემბერს გამართულ სხდომაზე დადგინდა, რომ საქმის განხილვა გაგრძელდებოდა მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის სტადიიდან 2008 წლის 1 ოქტომბერს, 16:30 საათზე. შპს «...» ჩაპბარდა სასამართლო უწყება და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით ეცნობა სხდომის დღისა და დროის თაობაზე. სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვა გაგრძელდა 2008 წლის 1 ოქტომბერს, 16:10 საათზე და სხდომა დახურულად გამოცხადდა 16:25 საათზე. ამავე სხდომაზე საქმე განხილულ იქნა სააპელაციო საჩივრის ავტორის – შპს «...» წარმომადგენლის დასწრების გარეშე, ვინაიდან სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ ეს იყო ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26<sup>1.3</sup>-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევა.

მოცემულ შემთხვევაში საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო საჩივრის ავტორი სააპელაციო პალატის 2008 წლის 1 ოქტომბრის სასამართლო სხდომის შესახებ გაფრთხილებული იქნა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესის დაცვით, მაგრამ მიუხედავად ამისა, მისი მონაწილეობა საქმის განხილვაში არ იქნა უზრუნველყოფილი, ვინაიდან სასამართლო სხდომა დაიწყო და დამთავრდა მისთვის სასამართლო უწყებით ცნობილ დროზე ადრე.

საკასაციო პალატა თვლის, რომ სახეზეა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის «ბ» პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევა. კერძოდ, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ სასამართლომ საქმე განიხილა ერთ-ერთი მხარის დაუსწრებლად, რომელსაც არ მიუღია შეტყობინება კანონით დადგენილი წესით ან მისი კანონიერი წარმომადგენლის გარეშე, თუ ასეთი წარმომადგენლობა კანონით იყო გათვალისწინებული, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ასეთი კანონიერი წარმომადგენელი ცნობს სასამართლო პროცესის წარმართვის მართხომიერებას; ამ ნორმის შინაარსიდან გამომდინარე საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო პალატამ საქმე განიხილა ერთ-ერთი მხარის – შპს «...» წარმომადგენლის დაუსწრებლად, ვინაიდან საქმე განხილულ იქნა დანიშნულ დროზე ადრე. ამდენად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 1 ოქტომბრის განჩინება უნდა გაუქმდეს და მოცემული საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს იმავე პალატას.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. შპს «...» საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 1 ოქტომბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე პალატას;
3. სასამართლო ხარჯების განაწილების საკითხი გადაწყდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას;
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**გადაწყვეტილების გაუქმება უფლებამოსილი მოსამართლის ხელმოუწერლობის გამო**

#### **განჩინება**

<sup>1</sup>ზს-563-541 (კ-08)

5 აგვისტო, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე, (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. ქადაგიძე,



## ლ. მურუსიძე

**დავის საგანი:** ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა

**აღწერილობითი ნაწილი:**

03.02.03 წ. ი. ბ-ოვამ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოს მოპასუხეების ქ. თბილისის მთავარი არქიტექტორის, ქ. თბილისის არქიმენინსპექციის და გ. ბ-ძის მიმართ და მოითხოვა ქ. თბილისის მთავარი არქიტექტორის 26.06.2001 წ. 120/6 ბრძანების და ქ. თბილისის არქიმენინსპექციის 19.12.2001 წ. მშენებლობის ნებართვის ბათილად ცნობა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 30.03.07წ. განჩინებით ი. ბ-ოვას სარჩელი ქ. თბილისის არქიმენინსპექციის 19.12.2001 წ. მშენებლობის დაწყების ნებართვის ბათილად ცნობის ნაწილში ცნობილ იქნა დაუშვებლად და ამ ნაწილში შეწყდა საქმის წარმოება. ამავე სასამართლოს 30.03.2007 წ. გადაწყვეტილებით ი. ბ-ოვას სარჩელი დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი თბილისის მთავარი არქიტექტორის 14.09.2001 წ. 120/6 ბრძანება.

პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილად იქნა მიჩნეული შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები, კერძოდ: ქ. თბილისის მთავარი არქიტექტურის 14.09.2001 წ. 120/6 ბრძანების თანახმად, შეთანხმდა ქ. თბილისში, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში, ... ქ. 19ა-ში მოქ. ა. წ-შვილის სახლის ავარიული ნაწილის დანგრევისა და ახლის აშენების პროექტი. 19.12.2001 წ. ქ. თბილისის «არქიმენინსპექციის» 1409 მშენებლობის დაწყების ნებართვის თანახმად, ა. წ-შვილს ნება დაერთო ეწარმოებინა მშენებლობა ქ. თბილისში, ... ქ. 19ა-ში ავარიული ნაწილის ნაცვლად ახლის აშენების მიზნით.

პირველი ინსტანციის სასამართლომ დადგენილად სცნო, რომ ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტროს კომისიის მიერ ი. ბ-ოვას საცხოვრებელ სახლს მინიჭებული ჰქონდა ავარიული მდგომარეობის III კატეგორია. სახელმწიფო სამშენებლო მექანიკისა და სეისმომდეგობის ინსტიტუტის მიერ ... ქ. 113 საცხოვრებელი სახლის ვიზუალური დათვალიერების შედეგად, დადგინდა, რომ დეტალური დასაბუთებული დასკვნის გასაკეთებლად აუცილებელი იყო ობიექტისა და მისი ტერიტორიის რეალური მდგომარეობის დადგენა საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შესრულებით. ტერიტორიის გეოლოგიურად რთული პირობებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული განხორციელებულ პროექტში გარკვეული ცვლილებების შეტანა ნაგებობის გამსუბუქების მიზნით. საქმეში წარმოდგენილი საინჟინრო-გეოლოგიური პირობების შესახებ დასკვნის თანახმად გ. ბ-ძის სათავსოების მიერ გამოწვეული დატვირთვის მნიშვნელოვანი ნაწილი გადაეცემოდა ი. ბ-ოვას სახლის დეფორმირებულ კედელს, რაც დაუშვებლად იქნა მიჩნეული. მშენებლობის პროექტი საძირკვლის ნაწილში საჭიროებდა აუცილებელ შესწორებას, წინააღმდეგ შემთხვევაში ი. ბ-ოვას სახლის დეფორმირებული კედელი კვლავ გააგრძელებდა დეფორმაციას, რეალური საფრთხე შეექმნებოდა როგორც ი. ბ-ოვას ასევე გ. ბ-ძის დამხმარე სათავსოებს. საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, ქ. თბილისში, ... ქ. 19ა-ში წარმოებული დამხმარე სათავსოების მიშენების პროექტს უნდა ჩატარებოდა პროექტის ექსპერტიზა. ასევე დადგინდა, რომ ქ. თბილისში, ... ქ. 113-ში არსებული სახლის საყრდენ კედელთან 30 სმ.-ის მოშორებით დამხმარე სათავსოების მიშენების პროექტში არ იყო გათვალისწინებული რთული რელიეფიდან გამომდინარე ტექნიკური უსაფრთხოების პირობები.

პირველი ინსტანციის სასამართლომ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას დარღვეული იყო იმ დროს მოქმედი საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის მინისტრის 12.10.2001 წ. 14 ბრძანების მოთხოვნები, რომლის თანახმად, ყველა განაშენიანების პროექტი, რომლის სამშენებლო ღირებულება 500000 ლარზე ნაკლები იყო, ექვემდებარებოდა სავალდებულო სახელმწიფო კომპლექსურ ექსპერტიზას. სასამართლომ აღნიშნა, რომ თბილისის მთავარი არქიტექტორის 14.09.2001 წ. 120/6 ბრძანება, მართალია, წარმოადგენდა აღმჭურველ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, მაგრამ მან არსებითად ხელჰყო მოსარჩელის კანონიერი უფლებები და ინტერესი. კერძოდ, სასამართლომ დადგენილად სცნო ის გარემოება, რომ კანონსაწინააღმდეგო აქტის საფუძველზე განხორციელებულმა მშენებლობამ გამოიწვია ი. ბ-ოვას სახლის დანგრევა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 30.03.2007 წლის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა გ. ბ-ძემ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის წარმოების შეწყვეტა მოითხოვა. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 28.02.08წ. განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 30.03.2007 წ. გადაწყვეტილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 28.02.08წ. განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურმა, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღება მოითხოვა.

აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გასაჩივრდა ასევე გ. ბ-ძის მიერ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 23.06.2008 წ. განჩინებით გ. ბ-ძეს საკასაციო საჩივარზე დაუდგინდა ხარვეზი და მიეცა ვადა მის გამოსასწორებლად. ამავე სასამართლოს



**07.11.2008** წ. განჩინებით გ. ბ-ძის საკასაციო საჩივარი დარჩა განუხილველი, ხარვეზის გამოუსწორებლობის გამო.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის **13.05.2009** წ. განჩინებით ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის საკასაციო საჩივარი მიჩნეული იქნა დასაშვებად და საქმე განხილულ იქნა ზეპირი მოსმენის გარეშე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის **03.06.2009** წ. განჩინებით ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის უფლებამონაცვლედ დადგენილ იქნა სსიპ ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახური ქ. თბილისის მერიასთან ერთად.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო გაეცნო გასაჩივრებულ განჩინებას, ქ სსიპ ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის და ქ. თბილისის მერიის საკასაციო საჩივარს, საქმის მასალებს და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის **394-ე** მუხლის «ვ» ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილებას ხელს არ აწერენ ის მოსამართლეები, რომლებიც გადაწყვეტილებაში არიან აღნიშნულნი.

დადგენილია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მიერ საქმე განხილულ იქნა ზეპირი მოსმენით. საქმეზე სასამართლო შემადგენლობა განისაზღვრა შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე ი. ლ-ტი, მოსამართლეები: ნ. კ-ძე და ჯ. რ-შვილი. **14.02.2008** წ. სხდომაზე გამოცხადებულ იქნა შესვენება. სხდომა გაგრძელდა **28.02.2008** წ., შეცვლილი სასამართლო შემადგენლობით, კერძოდ მოსამართლე ნ. კ-ძის ნაცვლად საქმე განხილულ იქნა მოსამართლე ლ. ჭ-ძის მონაწილეობით. მხარეებს განემარტათ შეცვლილი მოსამართლისადმი აცილების უფლება, საქმის განხილვა გაგრძელდა მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის სტადიიდან. ამავე სხდომაზე სასამართლოს ამ შემადგენლობის მიერ მიღებულ იქნა განჩინება გ. ბ-ძის სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, განჩინებას მოსამართლე ლ. ჭ-ძის ნაცვლად ხელს აწერს მოსამართლე ნ. კ-ძე, რომელსაც **28.02.2008** წ. საქმის განხილვაში მონაწილეობა არ მიუღია.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ აღნიშნული გარემოება წარმოადგენს სსსკ-ის **394-ე** მუხლით გათვალისწინებულ გასაჩივრებული განჩინების გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის **399-ე** მუხლის თანახმად, საქმის განხილვა საკასაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რომლებიც დადგენილია სააპელაციო სასამართლოში საქმეთა განხილვისათვის, გარდა იმ გამონაკლისებისა, რომელთაც ეს თავი შეიცავს. ამავე კოდექსის **385-ე** მუხლის «ა» ქვეპუნქტის თანახმად, სააპელაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს უბრუნებს პირველი ინსტანციის სასამართლოს ხელახლა განსახილველად, თუ ადგილი აქვს **394-ე** მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებს.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის **412-ე** მუხლის თანახმად, ზემოთ აღნიშნული გარემოება გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და საქმის ხელახალი განხილვისათვის დაბრუნების საფუძველია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სსიპ ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის და ქ. თბილისის მერიის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის **28.02.2008** წ. განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს ამავე სასამართლოს.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის **390-ე, 394-ე, 399-ე** და **412-ე** მუხლებით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. სსიპ ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის და ქ. თბილისის მერიის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის **28.02.2008** წ. განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს ამავე სასამართლოს
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## 5. საკასაციო საჩივრის განუხილველად დატოვება

### საჩივრის განუხილველად დატოვება ხარვეზის შეუვსებლობის გამო

#### განჩინება

<sup>1</sup> ბს-740-705(კ-09)

24 ივნისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
პ. სილაგამე,  
ლ. მურუსიძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა შ. ხ-იკის უფლებამონაცვლე მ. ხ-იკის, დ. წ-იას, ე. ბ-ურის, ა. პ-ძის, გ. ჩ-ძის და ო. ლ-ძის საკასაციო საჩივრის წარმოებაში მიღების საკითხი, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 04.12.2008წ. განჩინებაზე

#### აღწერილობითი ნაწილი:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატამ 21.05.09წ. განჩინებით მიიჩნია, რომ ზ. წ-ძის, შ. ხ-იკის უფლებამონაცვლე მ. ხ-იკის, ნ. ბ-ძის, დ. წ-იას, ე. ბ-ურის, ა. პ-ძის, გ. ჩ-ძის და ო. ლ-ძის საკასაციო საჩივარი არ აკმაყოფილებდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 39-ე მუხლის «გ» ქვეპუნქტის მოთხოვნას. კერძოდ, კასატორები ითხოვდნენ სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან განთავისუფლებას იმ მოტივით, რომ არიან I და II ჯგუფის ინვალიდები, სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან ბაზაში რეგისტრირებული და სოლიდარული კრედიტორები. საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ საჩივარი წარმოდგენილი იყო ხარვეზით, კერძოდ: არ ჰქონდათ მითითებული საცხოვრებელი მისამართები, I და II ჯგუფის ინვალიდობისა და სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან ბაზაში რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტები, ასევე, არ იყო წარმოდგენილი მ. ხ-იკის უფლებამონაცვლეობის დამადასტურებელი დოკუმენტი შ. ხ-იკის მიმართ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 21.05.09წ. განჩინებით კასატორებს დაევალებათ აღნიშნული განჩინების ჩაბარებიდან 7 დღის ვადაში შეევსოთ ხარვეზი. კერძოდ, საქართველოს უზენაესი სასამართლოში წარმოედგინათ მ. ხ-იკის უფლებამონაცვლეობის დამადასტურებელი საბუთი, ასევე, კასატორების ინვალიდობის ან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში დადგენილი წესით რეგისტრაციისა და საარსებო შემწეობის მიღების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტაცია. აღნიშნული მტკიცებულებების წარმოდგენის შეუძლებლობის შემთხვევაში, საკასაციო სასამართლომ განუმარტა კასატორებს, რომ მათ უნდა წარმოედგინათ საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟის – 300 ლარის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი. მათვე განემარტათ დადგენილ ვადაში ხარვეზის გამოუსწორებლობის შედეგები.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 21.05.09წ. ხარვეზის შესახებ განჩინება საფოსტო გზავნილით კასატორებს ჩაჰბარდათ 2009 წლის 11-12 ივნისს.

კასატორებმა ზ. წ-ძემ, მ. ხ-იკმა, ნ. ბ-ძემ, დ. წ-იამ, ე. ბ-ურმა, ა. პ-ძემ, გ. ჩ-ძემ და ო. ლ-ძემ 15.06.2009 წელს განცხადებით მიმართეს სასამართლოს და განმარტეს, რომ «...» მიმართ აღძრულ ს/ს საქმეში ცნობილი არიან დაზარალებულებად და სამოქალაქო მოსარჩელებად, როგორც მეანაბრეები, დაზარალებულად მათი ცნობის დადგენილებები დღესაც კანონიერ ძალაშია. ასევე მათი მოთხოვნა გამომდინარეობს სსკ 173-ე მუხლიდან და აქვთ საერთო საკუთრებაზე დავა სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე, არიან სოლიდარული კრედიტორები სსკ 455-ე-456-ე მუხლების საფუძველზე. ვინაიდან მათი მოთხოვნა გამომდინარეობს კორპორაცია «...» მიმართ აღძრული ს/ს საქმიდან, სსსკ-ის 46-ე მუხლის პირველი ნაწილის «გ» ქვეპუნქტის საფუძველზე ექვემდებარებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან განთავისუფლებას. გარდა ამისა, ზ. წ-ძე არის სოციალურად დაუცველი პირი, იღებს საარსებო შემწეობას. მ. ხ-იკი და ნ. ბ-ძე არიან მე-2 ჯგუფის ინვალიდები. რაც შეეხება საკასაციო საჩივრის დანარჩენ ავტორებს, განმარტავენ, რომ არიან მოხუცები, პენსიონრები, შემოსავლის არმქონე პირები და ამ მხრივაც სსსკ-ის 47-ე მუხლის ფარგლებში ექვემდებარებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან განთავისუფლებას. ამასთან, საჩივრის ავტორები განმარტავენ, რომ საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 16.11.1994 წ. 1802 დადგენილებისა და სახელმწიფო მეთაურის 22.06.1995 წლის ბრძანებულების საფუძველზე ცნობილი არიან დაზარალებულად. კასატორებს საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟი არ გადაუხდიათ.

საკასაციო პალატის მიერ 15.06.2009 წ. განცხადებაზე თანდართული დოკუმენტების საფუძველზე, ზ. წ-ძის და ნ. ბ-ძის ნაწილში საკასაციო საჩივარზე დადგენილი ხარვეზი მიჩნეულ იქნა გამოსწორებულად და

**24.06.2009** წლის განჩინებით დასაშვებობის შესამოწმებლად საკსაცო საჩივარი მათ ნაწილში მიღებული იქნა წარმოებაში.

**სამოტივაციო ნაწილი:**

საკსაცო პალატა გაეცნო რა წარმოდგენილ განცხადებას და თანდართულ მასალას, მიიჩნევს, რომ საკსაცო საჩივარი შ. ხ-იკის უფლებამონაცვლე მ. ხ-იკის, დ. წ-იას, ე. ბ-ურის, ა. პ-ძის, გ. ჩ-ძის და ო. ლ-ძის ნაწილში უნდა დარჩეს განუხილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის **399-ე** მუხლის თანახმად, საქმის განხილვა საკსაცო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რომლებიც დადგენილია სააპელაციო სასამართლოში საქმეთა განხილვისათვის, გარდა იმ გამონაკლისებისა, რომელთაც ეს თავი შეიცავს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის **372-ე** მუხლის თანახმად, საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის, ამ თავში მოცემული ცვლილებებითა და დამატებებით.

საკსაცო პალატა აღნიშნავს, რომ კასატორების – შ. ხ-იკის უფლებამონაცვლე მ. ხ-იკის, დ. წ-იას, ე. ბ-ურის, ა. პ-ძის, გ. ჩ-ძის და ო. ლ-ძის მიერ არ იქნა შევსებული ხარვეზი, კერძოდ **15.06.2009** წლის განცხადება-შუამდგომლობაზე თანდართული დოკუმენტები მათ მიმართ არ ქმნიან საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის **46-ე-47-ე** მუხლების გამოყენების შესაძლებლობას. კასატორების მიერ არ არის წარმოდგენილი ინვალიდობის ან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში დადგენილი წესით რეგისტრაციისა და საარსებო შემწეობის მიღების დამატურებელი შესაბამისი დოკუმენტაცია. ასევე მ. ხ-იკის მიერ არ არის წარმოდგენილი შ. ხ-იკის მიმართ მისი უფლებამონაცვლეობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

საკსაცო პალატის განმარტებით, ის გარემოება, რომ კასატორები სისხლის სამართლის საქმეზე ცნობილი არიან დაზარალებულებად, არ ქმნის სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან განთავისუფლების შესაძლებლობას. კასატორების მიერ წარმოდგენილია ქ. თბილისის საგამომიებო სამმართველოს უფროსის დადგენილებები მათი სისხლის სამართლის საქმეზე დაზარალებულად ცნობის თაობაზე. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის **46.1** მუხლის «გ» ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდისაგან თავისუფლდებიან მოსარჩელები დანაშაულით მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურების სარჩელებზე. განსახილველ საქმეში კასატორები არ წარმოადგენენ მოსარჩელებს, არამედ ისინი სასკ-ის მე-16 მუხლის თანახმად ჩაბმული არიან მესამე პირებად მოსარჩელე – კოოპერატივ «...» მიერ აღძრულ საქმეში მოპასუხე – კახეთის სააღსრულებო ბიუროს მიმართ, აღმასრულებლის ქმედებით მიყენებული მატერიალური და მორალური ზიანის, თითოეული მეპაიის სასარგებლოდ **10 000** აშშ დოლარის (ეკვივალენტის ლარის) ანაზღაურების თაობაზე. ამდენად, საკსაცო საჩივარი არ გამომდინარეობს მათი სასარჩელო მოთხოვნიდან. რაც შეეხება იმ საფუძველს, რომ კასატორები არიან პენსიონრები და მოხუცებულები, აღნიშნული არ ქმნის სსსკ-ის **46.1** მუხლის შემადგენლობას, ხოლო ის გარემოება, რომ კასატორები არიან შემოსავლის არმქონე პირები, არ დასტურდება მათ მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საკსაცო პალატა მიიჩნევს, რომ შ. ხ-იკის უფლებამონაცვლე მ. ხ-იკის, დ. წ-იას, ე. ბ-ურის, ა. პ-ძის, გ. ჩ-ძის და ო. ლ-ძის **15.06.2009** წლის განცხადება-შუამდგომლობაში დაფიქსირებული გარემოებები, ასევე მათ მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები არ ქმნის სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან განთავისუფლების საფუძველს. გარდა ამისა, წარმოდგენილ განცხადებას თან ერთვის მ. ხ-იკის II ჯგუფის ინვალიდობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რაც სასამართლოს მიერ მხედველობაში ვერ იქნება მიღებული, ვინაიდან მას არ წარმოუდგენია შ. ხ-იკის მიმართ უფლებამონაცვლეობის დამადასტურებელი საბუთი, რის გამოც იგი ვერ იქნება განხილული საკსაცო საჩივრის წარდგენაზე უფლებამოსილ პირად.

სსსკ-ის **396.3** მუხლის მე-2 წინადადების თანახმად, თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული ან საკსაცო საჩივარი არ არის შეტანილი კანონით დადგენილ ვადაში, საკსაცო საჩივარი განუხილველი დარჩება.

ამდენად, კასატორების – შ. ხ-იკის უფლებამონაცვლე მ. ხ-იკის, დ. წ-იას, ე. ბ-ურის, ა. პ-ძის, გ. ჩ-ძის და ო. ლ-ძის მიერ არ იქნა გამოსწორებული ხარვეზი და მათ ნაწილში საკსაცო საჩივარი უნდა დარჩეს განუხილველი.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკსაცო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის **396.3** მუხლით და

## დაადგინა:

1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 04.12.2008წ. განჩინებაზე წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი კასატორების – შ. ხ-იკის უფლებამონაცვლე მ. ხ-იკის, დ. წ-იას, ე. ბ-ურის, ა. პ-ძის, გ. ჩ-ძის და ო. ლ-ძის ნაწილში დატოვებული იქნეს განუხილველად;
2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## საჩივრის განუხილველად დატოვება ხარვეზის შეუვსებლობისა და საჩივრის შეტანის ვადის დარღვევის გამო

### განჩინება

1ბს-425-410(კ-09)

17 ივნისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. ცისკაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. სხირტლაძე,  
პ. სილაგაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურის საკასაციო საჩივრის წარმოებაში მიღების წინაპირობები თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 11 დეკემბრის განჩინებაზე, საქმეზე – საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურის სარჩელისა გამო მოპასუხე შპს «...» მიმართ, ზიანის ანაზღაურების შესახებ.

### სასამართლომ გამოარკვია:

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნულმა სამსახურმა 2008 წლის მარტში სასარჩელო განცხადებით მიმართა თელავის რაიონულ სასამართლოს მოპასუხე შპს «...» მიმართ და მოითხოვა მოპასუხისათვის ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის პირგასამტეხლოს – 17 629 ლარის და ვაქცინების დაუბრუნებლობის გამო 176 165 ლარის გადახდის დაკისრება.

თელავის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 30 მაისის გადაწყვეტილებით საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნულ სამსახურს უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე მთლიანად უსაფუძვლობის გამო.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნულმა სამსახურმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 11 დეკემბრის განჩინებით საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნულ სამსახურის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თელავის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 30 მაისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატის განჩინებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნულმა სამსახურმა და მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად იმავე სასამართლოში დაბრუნება.

საკასაციო სასამართლომ შეამოწმა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურის საკასაციო საჩივრის წარმოებაში მიღების წინაპირობები და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დარჩეს განუხილველი შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლზე, რომლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ საკასაციო საჩივარი არ არის შეტანილი კანონით დადგენილ ვადაში, საკასაციო საჩივარი განუხილველი დარჩება.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 397-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო საჩივრის შეტანის ვადაა 1 თვე. ამ ვადის გაგრძელება (აღდგენა) არ შეიძლება და იგი იწყება მხარისათვის გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნულ სამსახურს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 11 დეკემბრის განჩინების ასლი ჩაჰპარდა 2009 წლის 6 თებერვალს. შესაბამისად, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურისათვის აღნიშნული განჩინების გასაჩივრების ვადის დინება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60 მუხლის შესაბამისად, დაიწყო 2009 წლის 7 თებერვალს და ამოიწურა ამავე კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად 2009 წლის 9 მარტს, რომელიც იყო სამუშაო დღე – ორშაბათი. საქმის მასალებით დგინდება, რომ საკასაციო საჩივარი საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნულმა სამსახურმა მისივე საკურიერო სამსახურს ჩააბარა 2009 წლის 10 მარტს, (რაც დასტურდება საქმეში არსებულ კონვერტზე დასმული საკურიერო სამსახურის ბეჭდით) ანუ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 397-ე მუხლის პირველ ნაწილში მითითებული ერთთვიანი ვადის დარღვევით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნულმა სამსახურმა დაარღვია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 397-ე მუხლის პირველ ნაწილში მითითებული საკასაციო საჩივრის შეტანის ერთთვიანი ვადა, რის გამოც საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურის საკასაციო საჩივარი უნდა დარჩეს განუხილველი.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 397-ე, 401-ე მუხლებით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. განუხილველად იქნეს დატოვებული საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 11 დეკემბრის განჩინებაზე;
2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### **საჩივრის განუხილველად დატოვება ხარვეზის შეუვსებლობის გამო**

#### **განჩინება**

<sup>1</sup> ბს-910-872 (2კ-09)

28 ივლისი, 2009 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა**  
**შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე; მომხსენებელი),**  
**ნ. ქადაგიძე,**  
**ლ. მურუსიძე**

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 401-ე მუხლის შესაბამისად, ზეპირი მოსმენის გარეშე შეამოწმა ე. ტ-ევის საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 16.04.09წ. განჩინებაზე.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 16.04.09წ. განჩინებით რ. კ-ძის, მ. მ-ძის და ე. ტ-ვეის სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 12.01.2009 წ. გადაწყვეტილება. სააპელაციო სასამართლოს 16.04.09 წ. განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ე. ტ-ვემა, რომელმაც აღნიშნული გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება მოითხოვა, კერძოდ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკუთრების უფლების აღიარების კომისიის 15.01.2008 წ. საოქმო გადაწყვეტილების, მასზე გაცემული 5580 საკუთრების უფლების მოწმობის და საჯარო რეესტრის ჩანაწერის ბათილად ცნობის ნაწილში. ე. ტ-ვეი საკასაციო საჩივრით ითხოვს, განჩინების გასაჩივრებული ნაწილის გაუქმებით საქმეზე მიღებული იქნეს ახალი გადაწყვეტილება, კერძოდ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აღიარების კომისიას დაევალოს აღადგინოს მისი უფლებები სადავო 2100 კვ.მ. მიწის ფართობზე. აღნიშნული განჩინება საკასაციო წესით ასევე გასაჩივრებული იქნა რ. კ-ძის მიერ მისი სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და ე. ტ-ვეის სარჩელის მოთხოვნის ნაწილში საქმის წარმოების შეწყვეტა მოითხოვა.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საკასაციო საჩივრის დასაშვებობის ერთ-ერთ პირობას წარმოადგენს სახელმწიფო ბაჟის გადახდა. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 02.07.09წ. განჩინებით ე. ტ-ვეს და რ. კ-ძეს ხარვეზის შესავსებად მიეცათ ვადა ხარვეზის შესახებ განჩინების ჩაბარებიდან 10 დღე.

14.07.09 წ. კასატორებს ჩაბარდათ ხარვეზის შესახებ განჩინება. 24.07.09 წ. განცხადებით რ. კ-ძემ წარმოადგინა სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი, რის საფუძველზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 28.07.09 წ. განჩინებით რ. კ-ძის საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში. ე. ტ-ვეის მიერ ხარვეზი არ იქნა გამოსწორებული სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში, მას არც ხარვეზის გამოსწორების ვადის გაგრძელების თხოვნით მოუმართავს საკასაციო პალატისთვის, რაც მისი საკასაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველს წარმოადგენს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების თანახმად, ე. ტ-ვეის საკასაციო საჩივარი უნდა დარჩეს განუხილველად.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით, 399-ე, 401-ე მუხლებით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ე. ტ-ვეის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 16.04.09წ. განჩინებაზე დატოვებული იქნეს განუხილველად;
2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### **საჩივრის განუხილველად დატოვება საჩივრის შეტანის ვადის დარღვევის გამო**

#### **განჩინება**

18ს-862-824(კ-09)

15 ივლისი, 2009 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. ცისკაძე (თავჯდომარე, მომხსენებელი),**

**ნ. სხირტლაძე,**

**პ. სილაგაძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მ. ვ. ვ-ჩის საკასაციო საჩივრის წარმოებაში მიღების წინაპირობები თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 25 მარტის განჩინებაზე, საქმეზე – მ. ვ. ვ-ჩის სარჩელისა გამო მოპასუხე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიმართ აღმი-

ნისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობისა და ქმედების განხორციელების დავალდებულების შესახებ.

**სასამართლომ გამოარკვია:**

მ. ვ. ვ-ჩმა 2008 წლის აგვისტოში სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიმართ და მოითხოვა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო საკითხთა დეპარტამენტის 2008 წლის 13 ივნისის '06/02-08-1079 გადაწყვეტილების და საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2008 წლის 15 ივლისის '01/27/07-2217 ბრძანების ბათილად ცნობა და მოპასუხისათვის მ. ვ. ვ-ჩისათვის საქართველოში 6 თვის ვადით ბინადრობის უფლების ნებართვის მინიჭების შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალაგება.

თბილისის საქალაქო სამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 17 დეკემბრის გადაწყვეტილებით მოსარჩელე მ. ვ. ვ-ჩის სასარჩელო განცხადება მოპასუხე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიმართ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო საკითხთა დეპარტამენტის 2008 წლის 13 ივნისის '06/02-08-1079 გადაწყვეტილების და საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2008 წლის 15 ივლისის '01/27/07-2217 ბრძანების ბათილად ცნობის და ქმედების დავალდებულების თაობაზე არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლოდ გამო.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მ. ვ. ვ-ჩმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 25 მარტის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 17 დეკემბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატის განჩინებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა მ. ვ. ვ-ჩმა და მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

საკასაციო სასამართლომ შეამოწმა მ. ვ. ვ-ჩის საკასაციო საჩივრის წარმოებაში მიღების წინაპირობები და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დარჩეს განუხილველი შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლზე, რომლის მე-3 ნაწილის ბოლო წინადადების თანახმად, თუ საკასაციო საჩივარი არ არის შეტანილი კანონით დადგენილ ვადაში, საკასაციო საჩივარი განუხილველი დარჩება.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 397-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო საჩივრის შეტანის ვადაა 1 თვე. ამ ვადის გაგრძელება (აღდგენა) არ შეიძლება და იგი იწყება მხარისათვის გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. იმავე კოდექსის 70-ე მუხლის 1 ნაწილის თანახმად, მხარეს ან მის წარმომადგენელს სასამართლო უწყებით ეცნობება სასამართლო ხედომის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების დრო და ადგილი. უწყება მხარისათვის და მისი წარმომადგენლისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩაბარდება ერთ-ერთ მათგანს ან ამ კოდექსის 74-ე მუხლით გათვალისწინებულ სუბიექტებს. წარმომადგენელი ვალდებულია, უწყების ჩაბარების შესახებ აცნობოს მხარეს. ხოლო იმავე კოდექსის 74-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად კი თუ სასამართლო უწყების ჩაბარებულმა სასამართლოში გამოსაძახებელი პირი ვერ ნახა მხარის მიერ მითითებულ მისამართზე, იგი უწყებას აბარებს მასთან მცხოვრებ ოჯახის რომელიმე სრულწლოვან წევრს, ხოლო, თუ უწყება ბარდება სამუშაო ადგილის მიხედვით – სამუშაო ადგილის ადმინისტრაციას, ამ კოდექსის 73-ე მუხლის მე-8 ნაწილით დადგენილი წესით, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ისინი განსახილველ საქმეში მონაწილეობენ, როგორც მოწინააღმდეგე მხარეები. უწყების მიმღები ვალდებულია, უწყების მეორე ეგზემპლარზე აღნიშნოს თავისი სახელი და გვარი, ადრესატთან დამოკიდებულება, დაკავებული თანამდებობა. უწყების მიმღები ვალდებულია, უწყება დაუყოვნებლივ ჩააბაროს ადრესატს. უწყების ჩაბარება ამ ნაწილით გათვალისწინებული პირისათვის ჩაითვლება უწყების ჩაბარებად ადრესატისათვის, რაც დასტურდება უწყების მეორე ეგზემპლარზე უწყების მიმღების ხელმოწერით.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მ. ვ. ვ-ჩის წარმომადგენელს – ა. ვ-შვილის მამას თ. ვ-შვილს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 25 მარტის განჩინების ასლი ჩაბარდა 2009 წლის 16 აპრილს. შესაბამისად, მ. ვ. ვ-ჩისათვის აღნიშნული განჩინების გასაჩივრების ვადის დინება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60 მუხლის შესაბამისად, დაიწყო 2009 წლის 17 აპრილს და ამოიწურა ამავე კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად 2009 წლის 18 მაისს, რომელიც იყო სამუშაო დღე – ორშაბათი. საქმის მასალებით დგინდება, რომ საკასაციო საჩივარი მ. ვ. ვ-ჩმა თბილისის სააპელაციო სასამართლოში შეიტანა 2009 წლის 28 მაისს, ანუ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 397-ე მუხლის პირველ ნაწილში მითითებული ერთთვიანი ვადის დარღვევით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მ. ვ. ვ-ჩმა დაარღვია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 397-ე მუხლის პირველ ნაწილში მითითებული საკასაციო საჩივრის შეტანის ერთთვიანი ვადა, რის გამოც მ. ვ. ვ-ჩის საკასაციო საჩივარი უნდა დარჩეს განუხილველი.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 397-ე და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. განუხილველად იქნეს დატოვებული მ. ვ. ვ-ჩის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 25 მარტის განჩინებაზე;
2. ა. ვ-შვილს დაუბრუნდეს მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 300 ლარი თბილისის არასაგადასახადო შემოსულობების 1200122900 (სახელმწიფო ხაზინა ბანკის კოდი – 1220101222, საბიუჯეტო შემოსულობების სახაზინო კოდი – 1300773150, დანიშნულება – სახელმწიფო ბაჟი საქართველოს უზენაეს სასამართლოში განსახილველ საქმეებზე) ანგარიშიდან;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### **საჩივრის განუხილველად დატოვება ხარვეზის შეუვსებლობის გამო**

#### **განჩინება**

1ბს-653-620(კ-09)

15 ივლისი, 2009 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა**  
**შემადგენლობა: მ. ცისკაძე (თავჯდომარე, მომხსენებელი),**

**ნ. სხირტლაძე,**

**პ. სილაგაძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ბ. ნ-ძის საკასაციო საჩივრის წარმოებაში მიღების წინაპირობები ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 27 თებერვლის განჩინებაზე, საქმეზე – ბ. ნ-ძის სარჩელისა გამო მოპასუხე ქ. ბათუმის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიმართ, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის შესახებ.

#### **სასამართლომ გამოარკვია:**

ბ. ნ-ძემ 2008 წლის ოქტომბერში სარჩელით მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოპასუხე ქ. ბათუმის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიმართ და მოითხოვა ქ. ბათუმის მერიის ზედამხედველობის ადგილობრივი სამსახურის 2008 წლის 16 ივნისის 191/08 დადგენილების ბათილად ცნობა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილებით ბ. ნ-ძის სარჩელი ქალაქ ბათუმის ზედამხედველობის ადგილობრივი სამსახურის მიმართ, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის შესახებ არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება საპელაციო წესით გაასაჩივრა ბ. ნ-ძემ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 27 თებერვლის განჩინებით ბ. ნ-ძის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა ბ. ნ-ძემ და მოითხოვა სააპელაციო პალატის განჩინების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება.

საკასაციო პალატამ ბ. ნ-ძის საკასაციო საჩივრის წარმოებაში მიღების წინაპირობების შემოწმების შედეგად მიიჩნია, რომ იგი განუხილველად უნდა იქნეს დატოვებული შემდეგი გარემოებების გამო:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 11 მაისის ხარვეზის შევსების შესახებ განჩინებით ბ. ნ-ძეს დაევალა, აღნიშნული განჩინების ჩაბარებიდან 7 დღის ვადაში წარმოედგინა საკასაციო საჩივრისათვის სახელმწიფო ბაჟის – 300 ლარის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი. მასვე განემარტა, რომ აღნიშნულ ვადაში ხარვეზის შეუვსებლობის შემთხვევაში საკასაციო საჩივარი არ დაიშვებოდა და დარჩებოდა განუხილველი.

საქმეში არსებული მასალებით ირკვევა, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 11 მაისის ხარვეზის შევსების შესახებ განჩინება ბ. ნ-ძეს



საქმეში მითითებულ მისამართზე გაეგზავნა 2009 წლის 15 მაისს და ჩაჰბარდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით 2009 წლის 22 მაისს. შესაბამისად, კასატორისთვის აღნიშნული ხარვეზის გამოსწორებისათვის დადგენილი ვადის დინება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60 მუხლის შესაბამისად, დაიწყო 2009 წლის 23 მაისს და ამოიწურა ამავე კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად 2009 წლის 29 მაისს, რომელიც იყო სამუშაო დღე – პარასკევი, მაგრამ წინამდებარე განჩინების გამოტანის დროისათვის საკასაციო საჩივრის ავტორმა ხარვეზი არ შეავსო.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ. საჩივარი ან საბუთები, რომლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველად დარჩება. ამ ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ ვინაიდან საკასაციო საჩივრის ავტორმა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დათქმულ ვადაში არ შეავსო ხარვეზი, გამოყენებულ უნდა იქნეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლის მესამე ნაწილი, რომლის თანახმად, თუ საკასაციო საჩივარი არ უპასუხებს აქ ჩამოთვლილ მოთხოვნებს ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს, შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც უნიშნავს მას ვადას. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, ან საკასაციო საჩივარი არ არის შეტანილი კანონით დადგენილ ვადაში, საკასაციო საჩივარი განუხილველი დარჩება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ ბ. ნ-მის საკასაციო საჩივარი უნდა დარჩეს განუხილველი.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე, 396-ე, 401-ე მუხლებით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. განუხილველად დარჩეს ბ. ნ-მის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 27 თებერვლის განჩინებაზე;
2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### **საჩივრის განუხილველად დატოვება ხარვეზის შეუვსებლობის გამო**

#### **განჩინება**

<sup>1</sup> ბს-885-847 (კ-09)

27 ივლისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე; მომხსენებელი),  
ნ. ქადაგიძე,

## ლ. მურუსიძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მ. კ-აიას, მ. ნ-ძის, ლ. მ-ია-ვ-ოვას და ზ. ბ-ურის საკასაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საკითხი, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 01.04.2009წ. განჩინებაზე

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 01.04.09წ. განჩინებით თ. შ-ძის, მ. გ-ძის და სხვათა სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა – უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 09.06.2008 წ. გადაწყვეტილება. სააპელაციო სასამართლოს 01.04.09 წ. განჩინებაზე თ. შ-ძის მ. გ-ძის და სხვათა წარმომადგენლის კ. კ-ძის მიერ წარდგენილ იქნა საკასაციო საჩივარი, რომელითაც აღნიშნული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა. კასატორები ითხოვენ მოპასუხე – საქართველოს ფინანსთა სამინისტროსათვის ქმედების განხორციელების დაკისრებას, აღიარებული სახელმწიფო ვალის გადახდას სარჩელში მითითებული ოდენობით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 02.07.2009 წ. განჩინებით კასატორებს განესაღვრათ 7 დღის ვადა საკასაციო საჩივარში არსებული ხარვეზის გამოსასწორებლად, კერძოდ: ხარვეზის შევსების მიზნით მხარეს უნდა წარმოედგინა საკასაციო საჩივრის ერთი ასლი მხარისათვის გადასაცემად და კ. კ-ძისადმი ნ. კ-ავას, მ. კ-აიას, მ. ნ-ძის, ლ. მ-ია-ვ-ოვას და ზ. ბ-ურის მიერ უფლებამოსილების მინიჭების დამადასტურებელი საბუთი. კასატორებს და მათ წარმომადგენელს კ. კ-ძეს განჩინება ხარვეზის შესახებ გაეგზავნათ ფოსტის მეშვეობით.

მ. კ-აიას და მ. ნ-ძეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 02.07.2009 წ. განჩინება ჩაბარდათ 11.07.2009წ., ხოლო ლ. მ-ია-ვ-ოვას განჩინება 13.07.2009 წ. ჩაბარდა. განსახილველ შემთხვევაში, სასამართლოს მიერ დადგენილი ხარვეზის შესავსებად განსაზღვრული ვადის ბოლო დღე იყო 20.07.2009 წ., მიუხედავად ამისა, კასატორებს ხარვეზი არ გამოუსწორებიათ სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში და მათ არც ხარვეზის გამოსწორების ვადის გაგრძელების მოთხოვნით მიუმართავთ საკასაციო პალატისთვის, რაც მათი საკასაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველს წარმოადგენს.

ზ. ბ-ურს განჩინება ვერ ჩაბარდა საკასაციო საჩივარში მითითებულ მისამართზე, ვინაიდან ადრესატი მითითებულ მისამართზე არ ცხოვრობს. ზ. ბ-ურს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 02.07.2009 წ. განჩინება განმეორებით გაეგზავნა 16.07.2009 წ., რაც ასევე ვერ ჩაბარდა იმავე მიზეზით.

სსკ-ის 73-ე მუხლის 1' ნაწილის თანახმად, თუ პირველად გაგზავნისას სასამართლო უწყების ადრესატი-სათვის ჩაბარება ვერ ხერხდება, უწყება დასაბარებელ პირს უნდა გაეგზავნოს დამატებით ერთხელ მაინც იმავე ან სასამართლოსთვის ცნობილ სხვა მისამართზე. სსკ-ის 76-ე მუხლის თანახმად, მხარეები და მათი წარმომადგენლები მოვალენი არიან აცნობონ სასამართლოს საქმის წარმოების განმავლობაში თავიანთი მისამართის შეცვლის შესახებ. ასეთი ცნობის უქონლობისას უწყება გაიგზავნება სასამართლოსათვის ცნობილ უკანასკნელ მისამართზე და ჩაბარებულად ითვლება, თუნდაც ადრესატი ამ მისამართზე აღარ ცხოვრობდეს. ამდენად, ზ. ბ-ურისათვის საქმეში მითითებულ მისამართზე გზავნილის ორჯერ გაგზავნით საკასაციო სასამართლოს 02.07.09 წ. განჩინება ითვლება ჩაბარებულად. ზ. ბ-ურს ხარვეზი არ გამოუსწორებია, რაც მისი საკასაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ საკასაციო საჩივარი არ უპასუხებს აქ ჩამოთვლილ მოთხოვნებს ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს, შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც უნიშნავს მას ვადას. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული ან საკასაციო საჩივარი არ არის შეტანილი კანონით დადგენილ ვადაში, საკასაციო საჩივარი განუხილველი დარჩება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების თანახმად, საკასაციო საჩივარი მ. კ-აიას, მ. ნ-ძის, ლ. მ-ია-ვ-ოვას და ზ. ბ-ურის ნაწილში უნდა დარჩეს განუხილველად.

### სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით, 399-ე, 401-ე მუხლებით და

### და ა დ გ ი ნ ა:

1. საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 01.04.09წ. განჩინებაზე მ. კ-აიას, მ. ნ-ძის, ლ. მ-ია-ვ-ოვას და ზ. ბ-ურის ნაწილში დატოვებულ იქნეს განუხილველად;

2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## საჩივრის განუხილველად დატოვება საჩივრის შეტანის ვადის დარღვევის გამო

### განჩინება

18ს-896-858(3კ-კს-09)

9 ივლისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
მ. ცისკაძე

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 401-ე მუხლის შესაბამისად, ზეპირი მოსმენის გარეშე, შეამოწმა ფ. მ-შვილისა და მისი წარმომადგენლის – ა. ჭ-ძის საკასაციო საჩივრის წარმოებაში მიღების საკითხი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 30 მარტის გადაწყვეტილებაზე.

#### აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 6 აგვისტოს რ. ბ-მემ სარჩელით მიმართა წყალტუბოს რაიონულ სასამართლოს, მოპასუხეების საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების წყალტუბოს რაიონის ტერიტორიული ორგანოს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს, წყალტუბოს სარეგისტრაციო სამსახურისა და ფ. მ-შვილის მიმართ და მოითხოვა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების წყალტუბოს რაიონის ტერიტორიული ორგანოს მიერ ფ. მ-შვილისათვის წყალტუბოს რაიონის სოფ. ... მდებარე 6 ჰა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის მიყიდვის შესახებ 2006 წლის 18 იანვრის 12 ოქმისა და მის საფუძველზე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წყალტუბოს სარეგისტრაციო სამსახურში 21900 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე, ფ. მ-შვილის საკუთრების უფლების რეგისტრაციის შესახებ არსებული ჩანაწერების ბათილად ცნობა.

წყალტუბოს რაიონული სასამართლოს 2008 წლის 30 ოქტომბრის საოქმო განჩინებით არასათანდო მოპასუხე, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ქონების აღრიცხვისა და პრივატიზაციის წყალტუბოს რაიონის ტერიტორიული ორგანო შეიცვალა სათანადო მოპასუხით საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების რაქა-ლეჩხუმ-იმერეთის სამხარეო სამმართველოთი.

წყალტუბოს რაიონული სასამართლოს 2008 წლის 5 ნოემბრის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქმეში მესამე პირად ჩართულ იქნა მ. ქ-ია.

2008 წლის 14 ნოემბერს რ. ბ-მემ დააზუსტა სასარჩელო მოთხოვნა და ასევე მოითხოვა წყალტუბოს რაიონის გამგეობის 2000 წლის 28 მარტის 115 დადგენილების, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის იჯარით გამცემი რაიონული კომისიის 2000 წლის 2 მარტის 11 ოქმის, ფ. მ-შვილსა და წყალტუბოს რაიონის გამგეობას შორის 2001 წლის 25 დეკემბერს გაფორმებული მიწის იჯარის ხელშეკრულების, ფ. მ-შვილსა და მ. ქ-იას შორის 2008 წლის 21 ივლისს დადებული მიწის ნაყიდობის ხელშეკრულებისა და ამ ხელშეკრულების საფუძველზე მ. ქ-იას საკუთრების უფლების შესახებ საჯარო რეესტრის ჩანაწერის ბათილად ცნობა.

წყალტუბოს რაიონული სასამართლოს 2008 წლის 15 ნოემბრის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქმეში მესამე პირად ჩართულ იქნა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობა.

წყალტუბოს რაიონული სასამართლოს 2008 წლის 15 ნოემბრის საოქმო განჩინებით მოსარჩელე რ. ბ-ძის მოთხოვნა მოპასუხე ფ. მ-შვილსა და მესამე პირ რ. ქ-იას შორის დადებული საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წყალტუბოს სარეგისტრაციო სამსახურში არსებული ჩანაწერის ბათილად ცნობის შესახებ სადავო 251,37 კვ.მ მიწის ნაკვეთთან დაკავშირებით გამოიყო მოცემული ადმინისტრაციული საქმიდან ცალკე წარმოებად და განხილულ იქნას სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2008 წლის 10 დეკემბრის სასამართლო სხდომაზე მოსარჩელის წარმომადგენელმა კვლავ დააზუსტა სარჩელი და მოითხოვა სადავო აქტების ბათილად ცნობა მხოლოდ მოსარჩელის ფაქტობრივ მფლობელობაში

არსებულ 251,37 კვ.მ მიწის ნაკვეთის ნაწილში, რომელზეც აშენებული აქვს კაპიტალური ნაგებობა ზომით 4X5.

წყალტუბოს რაიონული სასამართლოს 2008 წლის 16 დეკემბრის გადაწყვეტილებით რ. ბ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ბათილად იქნა ცნობილი: ა) სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის იჯარით გამცემი კომისიის 2000 წლის 2 მარტის 11 სხდომის ოქმი, ფ. მ-შვილისათვის საიჯარო ხელშეკრულების გაფორმების შესახებ, წყალტუბოს რაიონ სოფ. ... სადავო 251,37 კვ.მ მიწის ნაკვეთის ნაწილში; ბ) წყალტუბოს რაიონის გამგეობის 2000 წლის 28 მარტის 115 დადგენილება, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფ. მ-შვილზე იჯარით გაცემის შესახებ სადავო 251,37 კვ.მ მიწის ნაკვეთის ნაწილში; გ) ფ. მ-შვილსა და წყალტუბოს რაიონის გამგეობას შორის 2001 წლის 25 დეკემბერს გაფორმებული იჯარის ხელშეკრულება სადავო 251,37 კვ.მ მიწის ნაკვეთის ნაწილში; დ) საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების წყალტუბოს რაიონის ტერიტორიული ორგანოს 2006 წლის 18 იანვრის მიწისა და სხვა უძრავი ქონების შეძენის დამადასტურებელი 12 ოქმი, ფ. მ-შვილისათვის წყალტუბოს რაიონ სოფ. ... მდებარე სადავო 251,37 კვ.მ მიწის ნაკვეთის შეძენის ნაწილში; არ დაკმაყოფილდა რ. ბ-ძის მოთხოვნა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების წყალტუბოს რაიონის ტერიტორიული ორგანოს 2006 წლის 18 იანვრის მიწისა და სხვა უძრავი ქონების შეძენის დამადასტურებელი 12 ოქმის საფუძველზე, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წყალტუბოს სარეგისტრაციო სამსახურში ფ. მ-შვილის საკუთრების უფლების რეგისტრაციის შესახებ ჩანაწერის გაუქმების შესახებ, სადავო 251,37 კვ.მ მიწის ნაკვეთის ნაწილში.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა რ. ბ-ძემ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის სრულად დაკმაყოფილება.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა ასევე საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების რაჭა-ლეჩხუმ-იმერეთის სამხარეო სამმართველომ და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა სრულად.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 30 მარტის გადაწყვეტილებით რ. ბ-ძის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა – გაუქმდა წყალტუბოს რაიონული სასამართლოს 2008 წლის 16 დეკემბრის გადაწყვეტილება საჯარო რეესტრის ჩანაწერის ბათილად ცნობაზე უარის თქმის ნაწილში და მისი შეცვლით ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; რ. ბ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა – ბათილად იქნა ცნობილი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წყალტუბოს სარეგისტრაციო სამსახურის ჩანაწერი სადავო 251,37 კვ.მ მიწის ნაკვეთის ფ. მ-შვილის საკუთრებად აღრიცხვის თაობაზე; საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების რაჭა-ლეჩხუმ-იმერეთის სამხარეო მთავარი სამმართველოსა და ფ. მ-შვილის სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო საჩივრით გაასაჩივრა ფ. მ-შვილმა და მისმა წარმომადგენელმა – ა. ჭ-ძემ, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წყალტუბოს სარეგისტრაციო სამსახურმა და საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების რაჭა-ლეჩხუმ-იმერეთის სამხარეო სამმართველომ, რომლებმაც მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა სრულად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო ფ. მ-შვილისა და მისი წარმომადგენლის – ა. ჭ-ძის საკასაციო საჩივრის გაცნობის შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი განუხილველად უნდა იქნეს დატოვებული შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 397-ე მუხლის შესაბამისად, საკასაციო საჩივრის შეტანის ვადა არის ერთი თვე. ამ ვადის გაგრძელება (აღდგენა) არ შეიძლება და იგი იწყება მხარისათვის გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად კი ითვლება ამ გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის ჩაბარება უშუალოდ სასამართლოში ან ჩაბარება მითითებული კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების შესაბამისად. საქმეში დაცული დასტურიდან ირკვევა, რომ ფ. მ-შვილმა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება ჩაიბარა 2009 წლის 4 ივნისს, ხოლო ფ. მ-შვილის წარმომადგენელმა – ა. ჭ-ძემ – 2009 წლის 4 მაისს. ფ. მ-შვილმა და მისმა წარმომადგენელმა – ა. ჭ-ძემ აღნიშნულ

გადაწყვეტილებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანეს ქუთაისის საფოსტო განყოფილების მეშვეობით 2009 წლის 4 ივლისს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, საპროცესო მოქმედება სრულდება კანონით დადგენილ ვადაში. ამავე კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, თვეებით გამოსათვლელი ვადა გასულად ჩაითვლება ვადის უკანასკნელი თვის შესაბამის თვესა და რიცხვში, ხოლო ამავე მუხლის მეორე და მესამე ნაწილების თანახმად კი, საპროცესო მოქმედება, რომლის შესასრულებლადც დადგენილია ვადა, შეიძლება შესრულდეს ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამდე. თუ ვადის უკანასკნელი დღე ემთხვევა უქმე და დასვენების დღეს, ვადის დამთავრების დღედ ჩაითვლება მისი მომდევნო პირველი სამუშაო დღე.

საკასაციო სასამართლო კასატორის ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, წარმომადგენლისათვის ჩაბარებული დოკუმენტი ჩაითვლება მხარისათვის ჩაბარებულად, ხოლო მხარისათვის ჩაბარებული – წარმომადგენლისათვის ჩაბარებულად. რაც ნიშნავს იმას, რომ გასაჩივრების ვადის ათვლა იწყება იმ მომენტიდან, როდესაც ერთ-ერთ მათგანს ჩაჰბარდა სასამართლო დოკუმენტი.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განჩინების გასაჩივრების ვადის ათვლა იწყება განჩინების ფ. მ-შვილის წარმომადგენლის – ა. ჭ-ძისათვის ჩაბარების მომენტიდან. როგორც საქმის მასალებით დასტურდება, ფ. მ-შვილის წარმომადგენელს – ა. ჭ-ძეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება ჩაჰბარდა 2009 წლის 4 მაისს. ამდენად, მას საკასაციო საჩივრის შეტანის ვადა ჰქონდა 2009 წლის 4 ივნისის 24 საათამდე, ხოლო კასატორისა და მისი წარმომადგენლის მიერ საკასაციო საჩივარი შეტანილ იქნა 2009 წლის 4 ივლისს, რაც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, საკასაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ფ. მ-შვილისა და მისის წარმომადგენლის – ა. ჭ-ძის საკასაციო საჩივარი განუხილველად უნდა იქნეს დატოვებული გასაჩივრების ვადის გადაცილების გამო.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 61-ე, 63-ე, 390-ე, 397-ე, 401-ე მუხლებით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ფ. მ-შვილისა და მისი წარმომადგენლის – ა. ჭ-ძის საკასაციო საჩივარი დარჩეს განუხილველად;
2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

#### **საჩივრის განუხილველად დატოვება საკასაციო საჩივარზე უარის თქმის გამო**

#### **განჩინება**

18ს-618-586(კ-09)

5 მაისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. წიკვაძემე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ლ. მურუსიძე

ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ბათუმის რეგიონალური ცენტრის განცხადება საკასაციო საჩივარზე უარის თქმის შესახებ.

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

2007 წლის 20 დეკემბერს ი/მ «ჯ. ხ-შვილიძე» სარჩელი ადმრა ბათუმის საქალაქო სასამართლოში ბათუმის საგადასახადო ინსპექციის მიმართ და მოითხოვა ბათუმის საგადასახადო ინსპექციის 2007 წლის 21 თებერვლის 1392 საგადასახადო მოთხოვნის, 2007 წლის 2 მარტის 1912 საგადასახადო ბრძანებისა და 2007 წლის 6 მარტის 1187 საგადასახადო მოთხოვნის ბათილად ცნობა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 18 იანვრის განჩინებით საქმეში მესამე პირად ჩაერთო საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 11 თებერვლის გადაწყვეტილებით ი/მ «ჯ. ხ-შვილის» სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ – ბათილად იქნა ცნობილი ბათუმის საგადასახადო ინსპექციის 2007 წლის 21 თებერვლის 1392 საგადასახადო მოთხოვნა, 2007 წლის 2 მარტის 1912 საგადასახადო ბრძანება და 2007 წლის 6 მარტის 1187 საგადასახადო მოთხოვნა მოსარჩელისათვის პასუხისმგებლობის ზომად სანქციის სახით ჯარიმის – 24451 ლარის დარიცხვის ნაწილში, ხოლო დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ბათუმის რეგიონალურმა ცენტრმა და მოითხოვა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 11 თებერვლის გადაწყვეტილების გაუქმება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში და ახალი გადაწყვეტილებით ამ ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა უსაფუძვლობისა და დაუსაბუთებლობის გამო.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ბათუმის რეგიონალური ცენტრის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 11 თებერვლის გადაწყვეტილება მოსარჩელისათვის პასუხისმგებლობის ზომად სანქციის სახით ჯარიმის – 24451 ლარის დარიცხვის შესახებ ბათუმის საგადასახადო ინსპექციის 2007 წლის 21 თებერვლის 1392 საგადასახადო მოთხოვნის, 2007 წლის 2 მარტის 1912 საგადასახადო ბრძანებისა და 2007 წლის 6 მარტის 1187 საგადასახადო მოთხოვნის ბათილად ცნობის ნაწილში, ი/მ «ჯ. ხ-შვილის» სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი ბათუმის საგადასახადო ინსპექციის 2007 წლის 21 თებერვლის 1392 საგადასახადო მოთხოვნა, 2007 წლის 2 მარტის 1912 საგადასახადო ბრძანება და 2007 წლის 6 მარტის 1187 საგადასახადო მოთხოვნა ი/მ «ჯ. ხ-შვილისათვის» პასუხისმგებლობის ზომად სანქციის სახით ჯარიმის – 24451 ლარის დარიცხვის ნაწილში და ბათუმის რეგიონალურ ცენტრს დაევალა არსებითი მნიშვნელობის გარემოებების გამოკვლევა-შეფასების შემდეგ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა დავის საგნიდან გამომდინარე.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ბათუმის რეგიონალურმა ცენტრმა და მოითხოვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა უსაფუძვლობისა და დაუსაბუთებლობის გამო.

2009 წლის 27 აპრილს საკასაციო სასამართლოს განსახილველად გადმოეგზავნა მოცემული საქმე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ბათუმის რეგიონალური ცენტრის საკასაციო საჩივრით განსახილველად.

2009 წლის 22 აპრილს საკასაციო სასამართლოს განცხადებით მომართა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ბათუმის რეგიონალურმა ცენტრმა და მოითხოვა საკასაციო საჩივრის განუხილველად დატოვება საკასაციო საჩივარზე უარის თქმის გამო იმ მოტივით, რომ მოცემულ საქმეზე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურთან შეთანხმებით ჩამოყალიბდა ერთობლივი პოზიცია და საკასაციო წესით გასაჩივრება მიზანშეუწონლად იქნა მიჩნეული. აღნიშნულის შესაბამისად, ბათუმის რეგიონალურმა ცენტრმა უარი განაცხადა საკასაციო საჩივარზე და მოითხოვა მისი განუხილველად დატოვება.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის შესაბამისად, საქმის მასალების გაცნობისა და წარმოდგენილი განცხადების კანონიერებისა და დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ბათუმის რეგიონალური ცენტრის განცხადება უნდა დაკმაყოფილდეს და საკასაციო საჩივარი მასზე უარის თქმის გამო განუხილველად უნდა იქნეს დატოვებული, შემდეგ გარემოებებზე დაყრდნობით:

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მიხედვით, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მხარეები სარგებლობენ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლით მინიჭებული უფლება-მოვალეობებით, რომლის შესაბამისად, სამოქალაქო სამართალწარმოება აგებულია დისპოზიციურობის პრინციპზე, რაც მოცემულ საპროცესო სამართალში ნიშნავს მხარეთა ნების თავისუფლებას, შეხედულებისამებრ განკარგონ თავიანთი მატერიალური და საპროცესო უფლებები.

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 3.2 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მონაწილე ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია, საქმე მორიგებით დაამთავროს, უარი თქვას სარჩელზე ან ცნოს სარჩელი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 5.1 მუხლში რეგლამენტირებულია ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილების განხორციელების სავალდებულო პრინციპი – უფლებამოსილების განხორციელება კანონის საფუძველზე, კერძოდ, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის, კანონმდებლობის მოთხოვნის საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე მოქმედება.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, განსხვავებით სამოქალაქო სამართალწარმოებისაგან, ამკვიდრებს ადმინისტრაციული (საჯარო) კანონმდებლობის მნიშვნელოვან პრინციპს – ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღებას კანონით გათვალისწინებულ ფარგლებში, ანუ განსხვავებით კერძო სამართლებრივი ურთიერთობებისაგან, სადაც მოქმედებს ნების ავტონომიის პრინციპი, ადმინისტრაციული ორგანო მოქმედი კანონმდებლობით შეზღუდულია ნების გამოვლენის თვალსაზრისით, კერძოდ, მისი გადაწყვეტილება ნებისმიერ შემთხვევაში უნდა გამომდინარეობდეს მისთვის კანონით პირდაპირ მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებიდან. ადმინისტრაციული ორგანო სამართალწარმოებაში დისპოზიციურობის პრინციპის საფუძველზე ნების გამოვლენისას, კონკრეტულად, არსებითი ხასიათის საპროცესო მოქმედების განხორციელებისას, შეზღუდულია კანონით მინიჭებული უფლებამოსილების და კანონიერების ფარგლებით, რამდენადაც მისი ნების გამოვლენა (სარჩელის ცნობა, მორიგება, სარჩელზე უარის თქმა) ნებისმიერ შემთხვევაში უნდა იყოს მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით კანონიერი, კანონის ჩარჩოში მოქცეული. ადმინისტრაციული ორგანოს, როგორც პროცესუალური სუბიექტის, ნების გამოვლენა ექვემდებარება არა უპირობოდ გაზიარებას, როგორც ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირის შემთხვევაში, არამედ, სასამართლოს სამართლებრივ შეფასებას, ვინაიდან სასამართლო არ არის შეზღუდული ადმინისტრაციული ორგანოს ნების (სარჩელის ცნობა, სარჩელზე უარის თქმა, მორიგება) გამოვლენით. სასამართლოს ეს უფლებამოსილება ავალდებულებს შეამოწმოს ადმინისტრაციული ორგანოს ნების გამოვლენის შესაბამისობა მატერიალურ კანონმდებლობასთან, რაც გულისხმობს, რომ სასამართლო ვალდებულია ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 3.2 მუხლიდან გამომდინარე, საქმის განხილვა-გადაწყვეტის შედეგი განაპირობოს არა მხარის ნების გამოვლენით, არამედ სამართლის ნორმის შეფარდება-განმარტებით.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული მართლმსაჯულების ეს მნიშვნელოვანი ფუნქცია გამომდინარეობს სასამართლო ხელისუფლების კონსტიტუციური როლიდან, კერძოდ, განხორციელოს სრული სასამართლო კონტროლი მმართველობითი ორგანოს საქმიანობაზე. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში არსებითი ხასიათის საპროცესო მოქმედების განხორციელებაზე სასამართლო კონტროლის გავრცელება ემსახურება ადმინისტრაციულ საქმეზე კანონიერი გადაწყვეტილების დადგენის მიზანს, ხოლო ზემოაღნიშნული საპროცესო მოქმედებების განხორციელება იწვევს საქმის ამა თუ იმ სამართლებრივი შედეგით დასრულებას, შესაბამისად, კანონიერი სამართლებრივი შედეგით სასამართლო დავის გადაწყვეტა მხოლოდ ამ საპროცესო მოქმედებებზე სასამართლო კონტროლის განხორციელების გზით მიიღწევა. ამდენად, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 3.2 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სარჩელზე უარის თქმის შესახებ შუამდგომლობის განხილვისას სასამართლო ვალდებულია შეამოწმოს, რამდენად კანონიერია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ნების ამგვარი გამოვლენა.

მოცემულ შემთხვევაში კასატორმა საკასაციო სასამართლოში გამოხატა ნება საკასაციო საჩივარზე უარის თქმისა და მისი განუხილველად დატოვების თაობაზე, რაც პროცესუალური თვალსაზრისით იწვევს იმავე სამართლებრივ შედეგს, რასაც სარჩელის მოთხოვნის ნაწილობრივ ცნობა.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კასატორის – ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დისპოზიციურობის პრინციპის საფუძველზე საპროცესო უფლებაზე – წარმოდგენილ საკასაციო საჩივარზე, ანუ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლებაზე უარის თქმა არ ეწინააღმდეგება მოქმედ მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას, შემდეგ გარემოებათა გამო:

გასაჩივრებული გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს დაევალა ახალი აქტის გამოცემა.

ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ნების ამგვარი გამოვლენა გულისხმობს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი სამართლებრივი შედეგის მიღებას და აღსრულებას, კერძოდ, ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების საფუძველზე ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას.

აღსანიშნავია, რომ ამგვარი სამართლებრივი შედეგი აკმაყოფილებს მოსარჩელე ი/მ «ჯ. ხ-შვილს», რამდენადაც მას საკასაციო საჩივარი არ წარმოუდგენია.

ამასთან, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «დ» პუნქტის გამოყენების პროცესუალური წინაპირობა და საკასაციო საჩივარზე საქმის წარმოების შეწყვეტის პროცესუალური საფუძველი, რადგან საკასაციო საჩივარი სსსკ-ის 401-ე მუხლის შესაბამისად არ არის წარმოებაში მიღებული და საკასაციო საჩივარზე წარმოება არ დაწყებულია. შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლე-

ბის სამსახურის ბათუმის რეგიონალური ცენტრის მიერ საკასაციო საჩივარზე უარის თქმის გამო იგი განუხილველად უნდა იქნეს დატოვებული.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი, მე-3 მუხლებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე, 390-ე, 399-ე, 401-ე მუხლებით და

**და ა დ გ ი ნ ა:**

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ბათუმის რეგიონალური ცენტრის განცხადება საკასაციო საჩივარზე უარის თქმის შესახებ დაკმაყოფილდეს;
2. საკასაციო საჩივარი დარჩეს განუხილველად;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**საჩივრის განუხილველად დატოვება ხარვეზის შეუფასებლობის გამო**

**განჩინება**

18ს-1092-1048(კ-09) 9 სექტემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი  
საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
პ. სილაგაძე

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის შესაბამისად, ზეპირი მოსმენის გარეშე შეამოწმა, მათ შორის, თ. ბ-შვილის წარმომადგენელ მ. ს-ძის საკასაციო საჩივრის წარმოებაში მიღების წინაპირობები თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 15 მაისის განჩინებაზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატამ 2009 წლის 30 ივლისის ხარვეზის შესახებ განჩინებით მიიჩნია, რომ ე. ლ-შვილის, ა. ლ-შვილის, თ. ბ-შვილის, ა. წ-შვილის, ო. ჯ-შვილის, გ. ტ-შვილის, ო. ს-შვილის წარმომადგენლის – მ. ს-ძის მიერ შემოტანილ საკასაციო საჩივარს თან არ ერთვოდა ამ კასატორების მიერ მ. ს-ძეზე გაცემული მინდობილობები, რომლებითაც დადასტურდებოდა მ. ს-ძის მიერ მათი სახელით საკასაციო საჩივრის შეტანის, ანუ საკასაციო წესით გასაჩივრების სპეციალური უფლებამოსილება. აღნიშნული განჩინებით კასატორებს: ე. ლ-შვილს, ა. ლ-შვილს, თ. ბ-შვილს, ა. წ-შვილს, ო. ჯ-შვილს, გ. ტ-შვილს, ო. ს-შვილს დაევალი, ხარვეზის შესახებ იმავე განჩინების ჩაბარებიდან 7 დღის ვადაში წარმოედგინათ მ. ს-ძის სახელზე გაცემული, საკასაციო საჩივრის შეტანის სპეციალური უფლებამოსილების დამადასტურებელი მინდობილობები. ამავე კასატორებს განემარტათ, რომ ხარვეზის ვადაში შეუფასებლობის შემთხვევაში საკასაციო საჩივარი (მათ ნაწილში) არ დაიშვებოდა და დარჩებოდა განუხილველი.

2009 წლის 17 აგვისტოს მ. ს-ძემ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატას წარუდგინა კასატორების: ა. ლ-შვილის, გ. ტ-შვილის, ო. ჯ-შვილის, ა. წ-შვილისა და ო. ს-შვილის მიერ მ. ს-ძის სახელზე გაცემული, მათი სახელით საკასაციო საჩივრის შეტანის სპეციალური უფლებამოსილების დამადასტურებელი რწმუნებულებები და დანარჩენი – შესაბამისი კასატორების ნაწილში ითხოვა ხარვეზის შევსებისათვის დადგენილი ვადის გაგრძელება.

2009 წლის 25 აგვისტოს მ. ს-ძემ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატას წარუდგინა კასატორების: ე. ლ-შვილისა და ო. ჯ-შვილის მიერ მ. ს-ძის სახელზე გაცემული, მათი სახელით საკასაციო საჩივრის შეტანის სპეციალური უფლებამოსილების დამადასტურებელი რწმუნებულებები.

ამდენად, ზემოხსენებული კასატორებიდან მხოლოდ თ. ბ-შვილმა არ წარმოადგინა მის მიერ მ. ს-ძის სახელზე გაცემული, მისი სახელით საკასაციო საჩივრის შეტანის სპეციალური უფლებამოსილების დამადასტურებელი რწმუნებულება. შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კასატორმა თ. ბ-შვილმა არ შეავსო საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 30 ივლისის ხარვეზის შესახებ განჩინებით დადგენილი ხარვეზი. აღნიშნული გარემოება კი, მათ შორის, თ. ბ-შვილის წარმომადგენელ მ. ს-ძის საკასაციო საჩივრის (თ. ბ-შვილის ნაწილში) განუხილველად დატოვების წინაპირობას წარმოადგენს.



საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ საკასაციო საჩივარი არ უპასუხებს აქ (ამ მუხლში) ჩამოთვლილ მოთხოვნებს, სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს, შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც უნიშნავს მას ვადას, ხოლო თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, საკასაციო საჩივარი განუხილველი დარჩება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და 401-ე მუხლის თანახმად, მათ შორის, თ. ბ-შვილის წარმომადგენელ მ. ს-ძის საკასაციო საჩივარი (თ. ბ-შვილის ნაწილში) უნდა დარჩეს განუხილველი.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 401-ე მუხლით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. განუხილველი დარჩეს თ. ბ-შვილის წარმომადგენელ მ. ს-ძის საკასაციო საჩივარი (თ. ბ-შვილის ნაწილში);
2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### **საჩივრის განუხილველად დატოვება ხარვეზის შეუვსებლობის გამო**

#### **განჩინება**

18ს-1145-1092(კ-09)

2 ოქტომბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),**

**მ. ვაჩაძე,**

**პ. სილაგაძე**

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის შესაბამისად, ზეპირი მოსმენის გარეშე შეამოწმა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 7 ივლისის განჩინებაზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატამ 2009 წლის 16 სექტემბრის ხარვეზის შესახებ განჩინებით მიიჩნია, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის საკასაციო საჩივარს თან არ ერთვოდა სახელმწიფო ბაჟის გადახდის ქვითარი, ამასთან, კასატორი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან არ იყო გათავისუფლებული საქართველოს ადმინისტრაციული და სამოქალაქო საპროცესო კოდექსების და არც «სახელმწიფო ბაჟის შესახებ» საქართველოს კანონის შესაბამისად. აღნიშნული განჩინებით კასატორ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის საარეგისტრაციო სამსახურს დაევალა, ხარვეზის შესახებ იმავე განჩინების ჩაბარებიდან 7 დღის ვადაში წარმოედგინა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანგარიშზე სახელმწიფო ბაჟის – 300 ლარის გადახდის ქვითარი. კასატორს განემარტა, რომ ხარვეზის ვადაში შეუვსებლობის შემთხვევაში, საკასაციო საჩივარი არ დაიშვებოდა და განუხილველი დარჩებოდა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოში წარმოდგენილი საფოსტო გზავნილების ჩაბარების შესახებ შეტყობინებიდან ირკვევა, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 16 სექტემბრის ხარვეზის შესახებ განჩინება, საკასაციო საჩივარში მითითებულ მისამართზე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურს ჩაჰბარდა 2009 წლის 24 სექტემბერს და შესაბამისად, ხარვეზის შევსების ვადა კასატორს ამოეწურა 2009 წლის 1 ოქტომბერს (ხუთშაბათს). კასატორს მისთვის მიცემულ ვადაში არ შეუვსია ხარვეზი და არ წარმოუდგენია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანგარიშზე სახელმწიფო ბაჟის – 300 ლარის გადახდის ქვითარი. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ აღნიშნული გარემოება საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის საკასაციო საჩივრის განუხილველად დატოვების წინაპირობას წარმოადგენს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ საკასაციო საჩივარი არ უპასუხებს ამ მუხლში ჩამოთვლილ მოთხოვნებს, სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს, შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც უნიშნავს მას ვადას, ხოლო თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, საკასაციო საჩივარი განუხილველი დარჩება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და 401-ე მუხლის თანახმად, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის საკასაციო საჩივარი უნდა დარჩეს განუხილველი.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 401-ე მუხლით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. განუხილველი დარჩეს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის საკასაციო საჩივარი;
2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### **საჩივრის განუხილველად დატოვება ხარვეზის შეუვსებლობის გამო**

#### **განჩინება**

18ს-1367-1306(კ-09)

14 დეკემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

მ. ვაჩაძე,

პ. სილაგაძე

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის შესაბამისად, ზეპირი მოსმენის გარეშე შეამოწმა ჯ. მ-შვილის საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 30 ივნისის განჩინებაზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატამ 2009 წლის 22 ოქტომბრის ხარვეზის შესახებ განჩინებით მიიჩნია, რომ ჯ. მ-შვილის საკასაციო საჩივარს თან არ ერთვოდა სახელმწიფო ბაჟის გადახდის ქვითარი, ამასთან, კასატორი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან არ იყო გათავისუფლებული საქართველოს ადმინისტრაციული და სამოქალაქო საპროცესო კოდექსების და არც «სახელმწიფო ბაჟის შესახებ» საქართველოს კანონის შესაბამისად. აღნიშნული განჩინებით კასატორს დაევა-ლა, ხარვეზის შესახებ იმავე განჩინების ჩაბარებიდან 5 დღის ვადაში წარმოედგინა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანგარიშზე სახელმწიფო ბაჟის – 300 ლარის გადახდის ქვითარი. კასატორს განემარტა, რომ ხარვეზის ვადაში შეუვსებლობის შემთხვევაში, საკასაციო საჩივარი არ დაიშვებოდა და განუხილველი დარჩებოდა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოში წარმოდგენილი საფოსტო გზავნილების ჩაბარების შესახებ შეტყობინებიდან ირკვევა, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 22 ოქტომბრის ხარვეზის შესახებ განჩინება, საკასაციო საჩივარში მითითებულ მისამართზე ჯ. მ-შვილს (ხელვაჩაურის რაიონი სოფ. ...) ჩაჰბარდა 2009 წლის 3 ნოემბერს, ხოლო მის წარმომადგენელს ვ. ხ-შვილს (ბათუმი, ... გამზირი 153, ბინა 15) – 2 ნოემბერს და შესაბამისად, ხარვეზის შევსების ვადა მათ ამოეწურათ 2009 წლის 9 ნოემბერს (ორშაბათს).

ამდენად, ჯ. მ-შვილს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 22 ოქტომბრის ხარვეზის შესახებ განჩინებით განსაზღვრულ ვადაში არ შეუვსია ხარვეზი, ასევე, არ წარმოუდგენია რაიმე მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა მის მიერ ხარვეზის გამოსწორების შეუძლებლობას. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ აღნიშნული გარემოება საკასაციო საჩივრის განუხილველად დატოვების წინაპირობას წარმოადგენს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ საკასაციო საჩივარი არ უპასუხებს ამ მუხლში ჩამოთვლილ მოთხოვნებს, სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს, შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც უნიშნავს მას ვადას, ხოლო თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, საკასაციო საჩივარი განუხილველი დარჩება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და 401-ე მუხლის თანახმად, გ. ს-მის საკასაციო საჩივარი უნდა დარჩეს განუხილველი.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 401-ე მუხლით და

**და ა დ გ ი ნ ა:**

1. განუხილველი დარჩეს ჯ. მ-შვილის საკასაციო საჩივარი;
2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**საჩივრის განუხილველად დატოვება ხარვეზის შეუფასებლობის გამო**

**განჩინება**

18ს-1313-1256(კ-09) 14 დეკემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი  
საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
პ. სილაგაძე

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის შესაბამისად, ზეპირი მოსმენის გარეშე შეამოწმა გ. ს-მის საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 22 ივნისის გადაწყვეტილებაზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატამ 2009 წლის 15 ოქტომბრის ხარვეზის შესახებ განჩინებით მიიჩნია, რომ გ. ს-მის საკასაციო საჩივარს თან არ ეერთოდა სახელმწიფო ბაჟის გადახდის ქვითარი, ამასთან, კასატორი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან არ იყო გათავისუფლებული საქართველოს ადმინისტრაციული და სამოქალაქო საპროცესო კოდექსების და არც «სახელმწიფო ბაჟის შესახებ» საქართველოს კანონის შესაბამისად. აღნიშნული განჩინებით კასატორს დაევალა, ხარვეზის შესახებ იმავე განჩინების ჩაბარებიდან 7 დღის ვადაში წარმოედგინა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანგარიშზე სახელმწიფო ბაჟის – 300 ლარის გადახდის ქვითარი. კასატორს განემარტა, რომ ხარვეზის ვადაში შეუფასებლობის შემთხვევაში, საკასაციო საჩივარი არ დაიშვებოდა და განუხილველი დარჩებოდა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოში წარმოდგენილი საფოსტო გზავნილების ჩაბარების შესახებ შეტყობინებიდან ირკვევა, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 15 ოქტომბრის ხარვეზის შესახებ განჩინება, საკასაციო საჩივარში მითითებულ მისამართზე გ. ს-მეს (თბილისი, ... ქუჩა 122) ჩაჰბარდა 2009 წლის 17 ოქტომბერს, ხოლო მის წარმომადგენელ ა. ჭ-უას (თბილისი, ... გამზირი 14) – 20 ოქტომბერს და შესაბამისად, ხარვეზის შევსების ვადა მათ ამოეწურათ 2009 წლის 26 ოქტომბერს (ორშაბათს).

ამდენად, გ. ს-მეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 15 ოქტომბრის ხარვეზის შესახებ განჩინებით განსაზღვრულ ვადაში არ შეუვსია ხარვეზი, ასევე, არ წარმოუდგენია რაიმე მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა მის მიერ ხარვეზის გამოსწორების შეუძლებლობას. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ აღნიშნული გარემოება საკასაციო საჩივრის განუხილველად დატოვების წინაპირობას წარმოადგენს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ საკასაციო საჩივარი არ უპასუხებს ამ მუხლში ჩამოთვლილ მოთხოვნებს, სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს, შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც უნიშნავს მას ვადას, ხოლო თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, საკასაციო საჩივარი განუხილველი დარჩება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და 401-ე მუხლის თანახმად, გ. ს-მის საკასაციო საჩივარი უნდა დარჩეს განუხილველი.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 401-ე მუხლით და

**და ა დ გ ი ნ ა:**

1. განუხილველი დარჩეს გ. ს-ძის საკასაციო საჩივარი;
2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.